

როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს?

დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები

სამხრეთ კავკასიის რეგიონში

გიორგი გვალია

სადისერტაციო ნაშრომი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების

ინტერდისციპლინური პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2013 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

გიორგი გვალია

04.03.2013

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში კავშირების/ალიანსების შესახებ არსებული თეორიების გადამოწმების საფუძველზე იკვლევს პატარა ქვეყნების მიერ სტრატეგიული მოკავშირეების არჩევის გადაწყვეტილებებს. კვლევის მიზანია აჩვენოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ არსებული დომინანტური მიდგომები სრულყოფილად ვერ ხსნიან პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს როგორცაა: საფრთხეების შეფასება და სტრატეგიული პარტნიორების არჩევა. ასევე, ნაშრომი ეწინააღმდეგება პატარა ქვეყნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ მიდგომას, რომ პატარა ქვეყნები საგარეო საფრთხესთან მიმართებაში საფრთხის წყაროსთან მიტმასნების და არა მისი დაბალანსების სტრატეგიას ეყრდნობიან. კვლევაში ამ თეორიული არგუმენტების გადამოწმება ხორციელდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლის (Case-study) მეთოდს იყენებს. აღსანიშნავია, რომ გარდა სამი დამოუკიდებელი შემთხვევის ანალიზისა (იგულისხმება საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი), კვლევის შედეგების სანდოობის და დასკვნების განზოგადების უნარის გაზრდისთვის, თითოეული შესასწავლი შემთხვევა რამდენიმე დამატებით კვლევით ქეისად (Within case variation) არის დაყოფილი. ასევე, შესასწავლი საკითხის ტიპოლოგიიდან გამომდინარე ცვლადებს შორის კორელაციის დადგენისა და მათ შორის კაუზალური კავშირის გადამოწმებისთვის ნაშრომი ეყრდნობა ე.წ. პროცესის მიდევნის (Process

Tracing) მიდგომას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, თუ როგორ ზემოქმედებს კვლევის დამოუკიდებელი ცვლადი/ცვლადები დამოკიდებულ ცვლადზე. ამავდროულად, ნაშრომის ძირითადი საკვლევი ჰიპოთეზების გადამოწმებასთან ერთად, კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ალტერნატიული ჰიპოთეზების გადამოწმებას. გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში გამოყენებულია მეორადი წყაროების ანალიზი, ჩაღრმავებული ინტერვიუები და დოკუმენტების კონტენტ ანალიზი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ალიანსების და პატარა ქვეყნების შესახებ არსებული გავლენიანი თეორიები, კერძოდ: ძალთა წონასწორობის თეორია და ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია, ასევე, პატარა ქვეყნების მიერ საგარეო საფრთხესთან მიტმასნების სტრატეგიის შესახებ არსებული გაბატონებული მიდგომები სრულყოფილად ვერ ხსნის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს და მათ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. საკითხის ემპირიული გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ეს ქვეყნები, განსხვავებით დისციპლინაში გაბატონებული თეორიული მოსაზრებებისა, საფრთხის წყაროს დაბალანსების სტრატეგიას ირჩევენ, ვიდრე მასთან მიტმასნების. ასევე, კვლევამ დაადგინა, რომ პატარა ქვეყნები საგარეო საფრთხეების შეფასებისას არ ხელმძღვანელობენ რეგიონულ ან საერთაშორისო სისტემაში მხოლოდ ძალის შედარებითი განაწილების პრინციპით, არამედ საგარეო საფრთხეების შეფასებას გეოგრაფიული სიახლოვის და აგრესიული განზრახვების ფაქტორების საფუძველზე ახდენენ. ამავდროულად, კვლევაში გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ არსებული თეორიები ადეკვატურად ვერ ხსნიან სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს და ეკონომიკური ფაქტორების როლი დამოუკიდებელი ამხსნელობითი შესაძლებლობის მატარებელი არ არის.

წინამდებარე კვლევის შედეგები საკუთარ მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ზოგადად პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ არსებულ აკადემიურ დებატებში, ასევე, ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ აკადემიური დისკუსიების წახალისებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პატარა ქვეყნები, სამხრეთ კავკასია, ალიანსები, მიტმასნება, დაბალანსება, ეკონომიკური დამოკიდებულება.

Abstract

By testing the established theories of international relations about alliances and alignments present research explores how small states choose their strategic allies and alliances. Research aims to demonstrate that mainstream theoretical approaches of small states' foreign policy behavior are insufficient and deficient for the explanation of such important issues in small states' foreign policy as: threat assessment and choice of strategic allies. Paper argues against the widespread scientific consensus in international relations that small states rely on the strategy of bandwaggoning with the threatening great powers than balancing them. These theoretical conclusions are drawn from the detailed case study of three South Caucasian countries.

Methodologically the study is qualitative one and is based on extensive use of case study approach. In order to increase the external validity and the generality of research results, besides detailed analysis of three independent cases, study heavily relies on within case variation. In order to demonstrate that correlation among the variables is not spurious and clear cause-effect relationship exists, study uses process tracing approach that gives an opportunity to explore how independent and dependent variables relate to each other. Besides, testing study's major hypotheses, research tests the alternative explanations of the dependent variable. At the same time, study uses such specific methodological techniques as: analysis of secondary sources, elite interviews and content analysis.

Research demonstrates that existing influential theories of alliances and small states, namely Balance of Power and Economic Dependence theories and approaches regarding the strategy of bandwaggoning are insufficient and deficient for the analysis of strategic decisions that South Caucasian states make. Empirical analysis demonstrated that these countries, in contrast to predictions of mainstream theoretical approaches, prefer to balance the sources of external threat rather than bandwagon with them. The study demonstrated that small states assess threats to their national security interests based not only on the variable of relative distribution of power in international or regional systems, but take into account the role of such explanatory variables as geographic proximity and aggressive intentions as well. At the same time, study reveals that theories about the importance of economic variables in international politics are not supported empirically and the economic variables do not possess independent explanatory power.

Present research will contribute to the academic debates around small states' foreign policy priorities and behavior and to the debates specifically around international relations of South Caucasus

Key Words: Small states, South Caucasus, Alliances, Bandwaggoning, Balancing, Economic Dependence

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადება წარმოუდგენელი იქნებოდა რომ არა ჩემი კოლეგების და მეგობრების მხარდაჭერა კვლევის სხვადასხვა ეტაპზე. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ დავით აფრასიძეს. მან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებით და წინადადებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე. ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა, ბთკკ-ს პოლიტიკის კვლევის ჯგუფის თანამშრომლებს, განსაკუთრებით მამუკა კომახიას და რევაზ ბახტაძეს. 2008 წელს სწორედ მათ შემომთავაზეს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კვლევით პროექტში მონაწილეობის მიღება და წინამდებარე კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ზემოთაღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა. ამასთანავე, დიდ მადლობას ვუხდის ჩემს მეგობრებს: ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორანტს ბიძინა ლებანიძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს არჩილ აბაშიძეს და ტარიელ სიხარულიძეს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც დაძაბული და დატვირთული გრაფიკის მიუხედავად დამთანხმდა ინტერვიუზე.

ამავდროულად განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს დევიდ სიროკის, რომელმაც საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით და რჩევებით ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის მომზადებაში. ამ კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი 2011 წელს არიზონას უნივერსიტეტის პოლიტიკისა და გლობალური საკითხების სკოლაში ვიზიტისას მომზადდა, სადაც პროფესორი სიროკი აკადემიურ ხელმძღვანელობას მიწევდა. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა არიზონას უნივერსიტეტის იმ პროფესორებს, რომლებმაც

ს ა რ ჩ ე ვ ი

არაერთი სასარგებლო რჩევა მომცეს ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მათ შორის:
რიჩარდ ეშლის და სესილია მენჯივარს.

აბსტრაქტი	3
მადლობა	7
შესავალი	11
- თემის მიზანი, აქტუალობა და საკვლევი კითხვები	11
- მეთოდოლოგია	14
- ძირითადი თეორიული დაშვებები და საკვანძო ტერმინების განმარტებები ..	18
- ნაშრომის სტრუქტურა	23
თეორიული ნაწილი	25
თავი 1. პატარა ქვეყნების და კავშირების ფორმირების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	25
1.1 პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	32
1.2 ალიანსები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	34
1.2.1 ძალთა წონასწორობის თეორია	37
1.2.2 ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია	40
1.2.3 საფრთხის წონასწორობის თეორია	40
თავი 2. წინასწარი თეორიული ვარაუდები/ჰიპოთეზები	46
ემპირიული ნაწილი	49
თავი 3. საქართველოს საგარეო პოლიტიკა	49

3.1 1991-1992 წლები - გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა	50
3.2 1992-1995 - შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის პირველი ეტაპი - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანება	52
3.3 1995-2003 - შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის მეორე ფაზა	57
3.3.1 პანკისის კრიზისი	59
3.4. 2004-2008 საქართველოს საგარეო პოლიტიკა ვარდების რევოლუციის შემდეგ	63
თავი 4. აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა	74
4.1. 1992-1993 - აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა აზულფაზ ელჩიბეის მმართველობის დროს	74
4.2. 1993-2003 - ჰეიდარის ალიევის საგარეო პოლიტიკა	80
4.2. 1 კასპიის ზღვის კრიზისი	84
4.3 2003 – 2012 - ილჰამ ალიევის საგარეო პოლიტიკა	87
თავი 5. სომხეთის საგარეო პოლიტიკა	93
5.1 1991-1997 წლები - ტერ-პეტროსიანის საგარეო პოლიტიკა	93
5.2 1998-2008 - რობერტ ქოჩარიანის საგარეო პოლიტიკა	103
5.3. სერჟ სარქისიანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა	106
დასკვნა: კვლევის შედეგების მიმოხილვა	110
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	118

დანართი	123
- დანართი 1. სამხედრო დანახარჯების განაწილება მსოფლიოს მასშტაბით. 2005 წლის მონაცემები	123
- დანართი 2. სამხედრო დანახარჯების პროცენტული მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით. 2008 წლის მონაცემები	124
- დანართი 3. სამხედრო დანახარჯების პროცენტული განაწილება მსოფლიოს მასშტაბით. 2009 წლის მონაცემები	125
- დანართი 4. სამხედრო დანახარჯების პროცენტული განაწილება მსოფლიოს მასშტაბით. 2010 წლის მონაცემები	126
- დანართი 5. სამხედრო დანახარჯების პროცენტული განაწილება მსოფლიოს მასშტაბით. 2011 წლის მონაცემები	127
- დანართი 6. ძალთა და საფრთხის წონასწორობის თეორიები	128
- დანართი 7. საქართველოს სავაჭრო დეფიციტი	129
- დანართი 8. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა რუსეთის ფედერაციასთან	129
- დანართი 9. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. ექსპორტი. 2005 წლის მონაცემები	130
- დანართი 10. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. იმპორტი. 2005 წლის მონაცემები	130
- დანართი 11. აზერბაიჯანის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები. 2011 წლის მონაცემები	131
ბიბლიოგრაფია	132
ინტერვიუები	149

შესავალი

თემის მიზანი, აქტუალობა და საკვლევო კითხვები

რა განაპირობებს კავშირების ფორმირებას? რომელ ფაქტორებს იღებენ სახელმწიფოები მხედველობაში, როდესაც არჩევენ მოკავშირეებს? კავშირების წარმოქმნის რომელი გზაა უფრო ხშირი: დაბალანსება თუ მიტმასნება? ეს არასრული ჩამონათვალია იმ კითხვების, რომელთა გარშემო არაერთი დისკუსია თუ სამეცნიერო დებატები გამართულა და დღესაც იმართება საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში.

ნაშრომის მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესწავლის საფუძველზე საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ დებატებში. თუმცა ეს მიზანი ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ. პირველი, თეორიული, ხოლო მეორე, ემპირიული.

კვლევის თეორიული მიზანია გადაამოწმოს სამი თეორიის ვარაუდები სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესწავლის საფუძველზე. კერძოდ, განხილული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სამი გავლენიანი თეორია: ძალთა წონასწორობის, საფრთხის წონასწორობის და ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიები. მათი ძირითადი დაშვებების გადამოწმების საფუძველზე დადგინდება, თუ რომელი თეორია ხსნის უკეთესად სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს რეგიონის სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული დღემდე.

მიზეზი იმისა თუ რატომ შევარჩიე ზევით აღნიშნული თეორიები შემდეგში მდგომარეობს: პირველი, ეს თეორიები საერთაშორისო ურთიერთობებში ალიანსების შესახებ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიებია. მეორე, კვლევის დაწყებამდე სამხრეთ კავკასიის რეგიონზე არსებული ლიტერატურის

მიმოხილვისას აღმოვაჩინე, რომ ძალთა ბალანსის ცნება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია რეგიონში არსებული პროცესების აღსაწერად, თუმცა უფრო საერთაშორისო და რეგიონული აქტორების რეგიონული პოლიტიკის ანალიზისას, ვიდრე თავად ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესწავლის კუთხით. ასევე, ნაკლებად არის შესწავლილი საფრთხის წონასწორობის და ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიების დაშვებები რეგიონთან მიმართებაში. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამიჩინა ამ თეორიების შედარების მიმართ.

წინამდებარე კვლევას ორი ძირითადი საკვლევო კითხვა გააჩნია:

1. რომელ ფაქტორებს იღებენ პატარა ქვეყნები მხედველობაში მოკავშირეების შერჩევისას?
2. პატარა ქვეყნები საგარეო საფრთხესთან მიმართებაში დაბალანსების სტრატეგიას ეყრდნობიან, თუ მიტმასნების?

რატომ მაინცდამაინც სამხრეთ კავკასია? სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ემპირიულ შემთხვევებად შერჩევა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველი, რეგიონი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიოში და შესაბამისად, ეს ფაქტი კვლევას გარდა თეორიული ღირებულებისა, საკმაოდ დიდ პრაქტიკულ დატვირთვას აძლევს. მეორე, იმდენად რამდენადაც რეგიონში საქართველოც შედის, ეს გარემოება ერთგვარ აქტუალობასაც სძენს კვლევას. და მესამე, ზევით აღნიშნული თეორიების დაშვებების გადამოწმება უკვე განხორციელდა ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის რეგიონების და პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა სახელმწიფოების შესწავლის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვახდენთ თეორიების დაშვებების გადამოწმებას, დროითი (Temporal) და სივრცობრივი (Spatial) მიდგომების გამოყენებაა მიზანშეწონილი. კერძოდ, თუ თეორია ახერხებს ახსნას სხვადასხვა დროსა და

სივრცეში განვითარებული პროცესები, მაშინ დიდია ამ თეორიის ამხსნელობითი უნარი. გარდა ამისა, როდესაც თეორიის შემოწმების მთავარ მეთოდად შემთხვევების შესწავლის (Case Study) მიდგომას ვირჩევთ (წინამდებარე ნაშრომი სწორედ შემთხვევების შესწავლის მეთოდს იყენებს თეორიების დაშვებების გადასამოწმებლად), მიღებული შედეგები და განზოგადებები უფრო ვალიდურია, როცა არა ერთი, არამედ რამდენიმე შემთხვევის შესწავლას ვახდენთ. შესაბამისად, თუ სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესწავლის შემთხვევაში შემოთავაზებული თეორიული მოდელები თუ წინასწარი ვარაუდები ისეთივე წარმატებით იმუშავებს, როგორც ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის შემთხვევაში, გამოდის, რომ თეორია/თეორიები სივრცობრივი და დროითი მიდგომების მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. ასე რომ, თეორიების დაშვებების გადამოწმების მიზნით სამხრეთ კავკასიის რეგიონის შერჩევა ამ ფაქტმაც განაპირობა.

ნაშრომის მეორე, ემპირიული მიზანი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო ურთიერთობების ანალიზი და დესკრიპციაა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში ამ ქვეყნების საგარეო ურთიერთობების განზოგადებული სურათი იქნება წარმოდგენილი და მხოლოდ იმ სახის ემპირიულ მონაცემებზე მოხდება აქცენტირება, რომელიც კვლევის ასპექტში ჯდება.

მეთოდოლოგია

ნაშრომის საკვანძო ამოცანაა გასცეს პასუხი ორ თეორიულ და ამავდროულად ემპირიულად მნიშვნელოვან კითხვას. პირველი: რა პრინციპით ხელმძღვანელობენ პატარა სახელმწიფოები მოკავშირეების შერჩევას? და მეორე: საგარეო პოლიტიკაში პატარა ქვეყნები უფრო დაბალანსების სტრატეგიას ეყრდნობიან თუ მიტმასნების? როგორც აღნიშნული კითხვები ცხადყოფს ნაშრომს აქვს პრეტენზია გამოიკვლიოს ისეთი საკითხები, რომელიც საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა ერთი კონკრეტული ჯგუფის, ამ შემთხვევაში პატარა სახელმწიფოების ქცევის მიზეზების ახსნას და გაგებას უკავშირდება. შესაბამისად, ემპირიული ფუნქციის გარდა (რაც გულისხმობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების აღწერას და ახსნას), კვლევას თეორიული დანიშნულებაც აქვს. კვლევის ამოცანაა გადაამოწმოს ისეთი სახის თეორიები და ვარაუდები პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ, რომლებიც დროსა და სივრცესთან მიმართებაში განზოგადების მეტნაკლებად მაღალი ხარისხის მატარებელია. შესაბამისად, კვლევის მიზანია მიღებული დასკვნები განზოგადებადი იყოს და მათი გადამოწმება შესაძლებელი იყოს მსოფლიოს სხვა რეგიონებში მიმდინარე პროცესებზეც.

ამგვარი მიდგომა ერთი მხრივ მეცნიერული თვალსაზრისით უფრო რელევანტურს ხდის კვლევის შედეგებს, თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ ბარიერებსაც წარმოშობს. ძირითადი მეთოდოლოგიური ბარიერის არსი შესაძლებელია შემდეგნაირად დავახასიათოთ: რამდენად შესაძლებელია მხოლოდ სამი შემთხვევის შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნები განზოგადების მაღალი ხარისხის მატარებელი იყოს? მეთოდოლოგიურად ეს ერთ-ერთი საკვანძო და ამავდროულად ყურადსაღები კითხვაა, შესაბამისად, ნაშრომის ეს ნაწილი გარდა იმისა, რომ კვლევისას გამოყენებული კონკრეტული მეთოდების აღწერას დაეთმობა, ასევე მიმოიხილავს თუ როგორ სცადა ავტორმა ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური დაბრკოლების ეფექტების შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი გარკვეული სახის რაოდენობრივ მონაცემებს ეყრდნობა, მეთოდოლოგიურად ის თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლის (Case-study) მეთოდს იყენებს.

როგორც ზევით უკვე აღვნიშნე, ნაშრომში იდენტიფიცირებული თეორიების გადამოწმება ხორციელდება სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ქცევებზე დაკვირვების საფუძველზე, რაც მოიცავს პერიოდს ამ ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული 2012 წლამდე. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ მხოლოდ სამი ქეისის შესწავლაზე დაფუძნებული შედეგების განზოგადებადობის უნარის მიმართ შესაძლოა ლეგიტიმური კითხვები გაჩნდეს, კვლევაში თითოეული შესასწავლი შემთხვევა დაყოფილია რამდენიმე დამატებით კვლევით ქეისად. აქ იგულისხმება, რომ თითოეული შემთხვევის ფარგლებში იდენტიფიცირებულია და ცალკე შემთხვევებად არის განხილული ის ეპიზოდები, სადაც კვლევის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები გარკვეულ ცვლილებებს განიცდის (Within case variation). შესაბამისად, ამგვარი ეპიზოდები განხილულია როგორც შესასწავლის შემთხვევის ფარგლებში დამატებითი ქეისები. ამ მიდგომის თანახმად, კვლევა თეორიული ვარაუდების გადამოწმებისთვის რეალურად ეყრდნობა სამ ქეისზე უფრო მეტი შემთხვევის ანალიზს (საუბარია დაახლოებით 12 ქეისზე).

ასევე, განზოგადების პრობლემატიკასთან დაკავშირებული დაბრკოლების დაძლევის მიზნით, ნაშრომი შესასწავლ ქეისებად იყენებს ე.წ. *ნაკლებად მოსალოდნელ (Least Likely)* ქეისებს.¹ ეს მიდგომა გულისხმობს, რომ *ნაკლებად მოსალოდნელი* შემთხვევების შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები უფრო ადვილად

¹ ამ საკითხის თეორიული ანალიზისთვის იხ. Andrew Bennett and Colin Elman, “Case Study Methods“, in: Christian Reus-Smit, Duncan Snidal, eds., *The Oxford Handbook of International Relations*, (Oxford University Press, 2008. p.505)

განზოგადდება იმ სახის შემთხვევებზე, სადაც უფრო მოსალოდნელია, რომ თეორია გამართლდება. წინამდებარე კვლევის შემთხვევაში ფოკუსირება პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ქცევებზე, რომლებიც უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ თავსებადი იქნება მიტმასნების სტრატეგიასთან, ვიდრე დაბალანსების, განაპირობებს, რომ შესასწავლი შემთხვევები *ნაკლებად მოსალოდნელი* შემთხვევების კატეგორიაში განვიხილოთ. ბუნებრივია, აღნიშნული მიდგომები ბოლომდე ვერ გამოირიცხავს ზევით იდენტიფიცირებული მეთოდოლოგიური დაბრკოლების ეფექტებს, თუმცა გარკვეულწილად ამცირებს მას.

ასევე, მეთოდოლოგიურად კვლევა ორ ეტაპად ვითარდება. კვლევის პირველ ეტაპზე ე.წ. შესაბამისობის მეთოდის (Congruence Method) მეშვეობით ხორციელდება ნაშრომში იდენტიფიცირებული თეორიების მოლოდინებსა და ემპირიულ შედეგებს შორის შესაბამისობის/თავსებადობის გადამოწმება.² შესაბამისად ამ მიდგომის თანახმად, თუ შესასწავლი შემთხვევის ქცევა ან გადაწყვეტილება თავსებადია თეორიის საფუძველზე გამოთქმულ დაკვირვებად ვარაუდთან ან პროგნოზთან, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ცვლადებს შორის გარკვეული სახის კაუზალურ ურთიერთობაზე საუბარი. თუმცა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ცვლადებს შორის კორელაცია შესაძლოა კაუზალური ურთიერთობებს საერთოდ არ გულისხმობდეს, კვლევის მეორე ეტაპი ე.წ. *ყალბი ურთიერთკავშირის* (Spurious Relationship) თავიდან ასაცილებლად და კაუზალური კავშირის გადამოწმებისთვის ე.წ. პროცესის მიდევნის (Process Tracing) მიდგომას ეყრდნობა. ეს მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, ერთი მხრივ, არსებობს თუ არა კაუზალური კავშირი ცვლადებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულად როგორ და რა მიმართულებით ზემოქმედებს კვლევის დამოუკიდებელი ცვლადი/ცვლადები დამოკიდებულ ცვლადზე.³ ასევე, ნაშრომის საკვლევი ჰიპოთეზების გადამოწმებასთან ერთად, კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ალტერნატიული ჰიპოთეზების გადამოწმებას.

² Alexander L. George, Andrew Bennett, Case Studies and Theory Development in the Social Sciences (Belfer center for Science and International Affairs, 2005. pp.181-204)

³ ამ მიდგომასთან დაკავშირებით იხ. Alexander L. George, Andrew Bennett, Case Studies and Theory Development in the Social Sciences (Belfer center for Science and International Affairs, 2005. pp. 205-232)

გარდა ზემოთაღნიშნული ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა, კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ისეთ კონკრეტულ მეთოდოლოგიური ტექნიკები როგორცაა:

- 1) **პირველადი წყაროების ანალიზი** - საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების კონტენტ ანალიზი. მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები, საფრთხეების შეფასების დოკუმენტები და სხვა კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები;
- 2) **მეორადი წყაროების ანალიზი** - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. იგულისხმება როგორც თეორიული სახის ლიტერატურა, ასევე კვლევები უშუალოდ რეგიონთან დაკავშირებით;
- 3) **ჩაღრმავებული ინტერვიუები** - ინტერვიუები პოლიტიკური ელიტის და ასევე საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

ძირითადი თეორიული დაშვებები და საკვანძო ტერმინების განმარტებები

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია საკვანძო დეფინიციები და შემოთავაზებულია ძირითადი თეორიული დაშვებები, რომელსაც კვლევა დაეფუძნება.

„სამეცნიერო კონსენსუსი“ პატარა ქვეყნების კვლევასთან მიმართებაში - კვლევის მთავარი მიზანია ძალთა წონასწორობის, ეკონომიკური დამოკიდებულების და საფრთხის წონასწორობის თეორიების ძირითადი დაშვებების შედარების საფუძველზე შეისწავლოს თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობენ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები მოკავშირეების შერჩევას. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო პატარა ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, კვლევა ორ მთავარ თეორიულ დაშვებას ემყარება: (1) სახელმწიფოები უნიტარული აქტორები არიან, რომელთა საგარეო პოლიტიკურ ქცევებზე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა და სისტემის სხვა აქტორები; (2) ნაშრომი ეფუძნება ე.წ. „სამეცნიერო კონსენსუსს“ პატარა ქვეყნების კვლევასთან მიმართებაში და ანალიზის დონედ შერჩეულია საერთაშორისო სისტემის დონე, როგორც კვლევის ყველაზე რელევანტური დონე ამ ტიპის სახელმწიფოების ქცევების ასახსნელად.⁴

კვლევის დონე და ადგილი - კვლევის დონედ ნაშრომი საერთაშორისო სისტემის დონეს ეყრდნობა და მიზეზ-შედეგობრიობის იდენტიფიცირება სწორედ იმ ცვლადებთან მიმართებაში ხდება, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთქმედების შედეგად გამომდინარეობს.⁵ კვლევის სისტემურ დონეზე აქცენტირება უფრო მეტი

⁴ პატარა ქვეყნებთან მიმართებაში ე.წ. სამეცნიერო კონსენსუსის ანალიზისა და ასევე კრიტიკისთვის იხ. Miriam Fendius Elman, *The Foreign Policies of Small States: Challenging Neorealism in Its Own Backyard* (*British Journal of Political Science*, Vol. 25, No. 2. Apr., 1995, pp.175-179)

⁵ კვლევის დონედ საერთაშორისო სისტემის დონის შერჩევა ლოგიკურად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ თეორიები (ძალთა და საფრთხის წონასწორობის და ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიები), რომელთა დაშვებების გადამოწმებას ეფუძნება კვლევის ემპირიული ნაწილი, სისტემური თეორიებია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში თეორია კვლევის გარკვეულ საზღვარსაც წარმოადგენს, რომელიც ადგენს თუ რა სახის ცვლადების და მონაცემების

თეორიული მომჭირნეობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. შესაბამისად კვლევა, რომელიც მხოლოდ ერთ დონეზე ახდენს ცვლადების იდენტიფიცირებას უფრო დიდი თეორიული ღირებულებისაა, ვიდრე კვლევა, რომელიც რამდენიმე დონის ინტეგრირებას ახდენს.⁶ თუმცა, ნაშრომი ბოლომდე ჰოლისტურ (სისტემურ) მიდგომას არ მიყვება და მის ემპირიულ ნაწილში რედუქციონიზმის გარკვეული ელემენტები იმდენად არის გამოყენებული, რამდენადაც თეორიული დაშვებების გადამოწმება საჭიროებს ამას.⁷ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კვლევის ემპირიულ ნაწილში სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ქმედებების ანალიზი ხდება, კვლევა, ზოგად სამეცნიერო დონეზე, უფრო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ფარგლებში მოიაზრება, ვიდრე საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამეცნიერო დისციპლინის.

კავშირი - კავშირებზე საუბრისას ნაშრომი ამ ცნების ზოგად დეფინიციას ეყრდნობა. კერძოდ, გლენ სნაიდერის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას, რომლის თანახმადაც კავშირების შესწავლისას არ უნდა შევიზღუდოთ ისეთი ტიპის ალიანსების შესწავლით, რომელიც ფორმალიზებულ ხასიათს ატარებს, არამედ უნდა დავეყრდნოთ ე.წ. „Alignment“-ის ფენომენს, რომელიც გულისხმობს გარკვეულ მოლოდინებს, რომელიც სახელმწიფოებს ერთმანეთთან მიმართებაში შეიძლება ქონდეთ. ამ მოლოდინების არსი დაახლოებით ასე შეიძლება გამოვსახოთ: ვინ დაიცავს ვის? ვინ დამიჭერს მხარს ამ კონკრეტულ

იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კვლევის პროცესში. ნებისმიერი ცვლადი, რომელიც თეორიის მიერ დადგენილ საზღვრებს სცდება, ვერ იქნება ინკორპორირებული კვლევის პროცესში, რადგან, ასეთ შემთხვევაში, შერჩეული თეორია, დიდი ალბათობით, არარელევანტური გამოდგება.

⁶ საერთაშორისო ურთიერთობებში კვლევის დონეების შესახებ თეორიული დებატების წამომწყებად კენეთ უოლცი მიიჩნევა. იხ. კენეთ უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი. (გამომცემლობა ჯისიაი. 2003), ასევე J. David Singer, International Conflict: Three Levels of Analysis. (*World Politics*, Vol. 12, No. 3. Apr., 1960), Barry Buzan, The Level-of-Analysis Problem in International Relations Reconsidered (In: *International Relations Theory Today*. Ken Booth and Steve Smith (eds). Pennsylvania University Press. 1995.)

⁷ საფრთხის წონასწორობის და ძალთა წონასწორობის თეორიები ორივე საერთაშორისო სისტემის დონის თეორიაა. თუმცა ეს უკანასკნელი ბოლომდე ჰოლისტურ მიდგომას ეფუძნება. აქ იგულისხმება, რომ მართალია ძლიერება სახელმწიფოს დონის ცვლადია, მაგრამ ძალთა განაწილება კი სისტემური ფენომენია (მაგალითად, ამერიკის ძლიერება სისტემის სხვა აქტორებთან მიმართებაში). რაც შეეხება საფრთხის წონასწორობის თეორიას ესეც სისტემური თეორიაა, თუმცა რადგან საფრთხის აღქმა მაინც სახელმწიფოს დონეზე ხდება, იგი ბოლომდე ჰოლისტურ მიდგომას არ მიყვება. ჰოლისტური და რედუქციონისტული თეორიების შესახებ იხ. Kenneth N. Waltz, *Theory of International Politics* (McGraw Hill, Inc. First Ed. 1979. Chapters 2-3-4. pp.18-78)

სიტუაციაში?⁸ საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი დებატები გამართულა იმ საკითხზე, თუ როგორ შეიძლება კავშირების განსაზღვრა. საბოლოო ჯამში, ამ თემაზე მომუშავე მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კავშირების შესწავლის შეზღუდვა მხოლოდ ფორმალური ალიანსებით ნაკლებად ასახავს მათ რეალურ არსს.⁹ ამ საკითხის ნათელი ილუსტრირებისათვის მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს შორის არსებული ურთიერთობები გამოგვადგება. მართალია, ამ ორ სახელმწიფოს შორის ფორმალური ხელშეკრულება არასდროს არსებულა, თუმცა ცოტა ვინმე თუ შეიტანს ეჭვს მათ შორის არსებულ სამოკავშირეო ურთიერთობებში. შესაბამისად, ნაშრომი კავშირების ზოგად დეფინიციას ეყრდნობა და მასში ცნებები ალიანსები, კავშირები და მოკავშირეობა ურთიერთმონაცვლედ გამოიყენება.¹⁰

დაბალანსება - კავშირში შესვლა ძლიერების ან საფრთხის წყაროს წინააღმდეგ მისი დაბალანსების მიზნით. მიღებული შეხედულების თანახმად სახელმწიფოები საფრთხის წყაროს შეკავებას თუ განეიტრალებას დაბალანსების გზით ამჯობინებენ.¹¹ სტეფან უოლტის თანახმად, ამგვარ ტენდენციას სულ მცირე ორი ფაქტორი განაპირობებს. პირველი, გაწონასწორების გზით საფრთხის წყაროს შეკავება უფრო სანდო სტრატეგიაა, ვიდრე მასთან მიტმასნება და მისი კეთილგანწყობის იმედად ყოფნა. მეორე, კავშირში შესვლა საფრთხის წყაროსთან (მიტმასნება) გულისხმობს, რომ მოკავშირეებს შორის ასიმეტრიული ურთიერთობები ყალიბდება და იმ სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლება, რომელიც ეტმასნება, ერთგვარად იზღუდება.¹² თუმცა, უოლტის და ასევე სხვა მკვლევარების შეხედულებით, დაბალანსების სტრატეგიის უპირატესობის ვარაუდი უფრო დიდი სახელმწიფოების შემთხვევაშია ვალიდური, ვიდრე პატარა ქვეყნების.

⁸ Glenn Snyder, *Alliances, Balance and Stability*, (*International Organization*, Vol. 45. No.1. 1991. p. 123)

⁹ იხ. Stephen M. Walt, *The Origins of Alliances* (Cornell University Press. 1987. p. 12), ასევე, Glenn Snyder, *Alliances, Balance and Stability*, (*International Organization*, Vol. 45. No.1. 1991. p. 123),

¹⁰ სამხედრო ალიანსების დეფინიციისთვის იხ. Stefan Bergsmann, ``The Concept of Military Alliance`` (In: ``Small States and Alliances`` , Erich Reiter, Heinz Gartner, (Eds), Psysica-Verlag, 2001. pp. 25-37)

¹¹ იხ. ალექსანდრე რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები. (თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი. 1996. გვ. 124)

¹² Stephen. M. Walt, *Alliance Formation and Balance of World Power*, (*International Security*, Vol. 9. No. 4. 1985. p.5)

მიტმასნება - ამ სტრატეგიის თანახმად სახელმწიფო კავშირში შედის საფრთხის წყაროსთან.¹³ ნაშრომი დაბალანსებას და მიტმასნებას ურთიერთსაპირისპირო სტრატეგიებად განიხილავს. პირველი გულისხმობს საფრთხის წყაროს წინააღმდეგ კავშირის შეკვრას, მეორე კი საფრთხის წყაროსთან კავშირის შეკვრას. თუმცა, მიტმასნების უოლტისეულ განსაზღვრებას გავაფართოვებდი და ამ ცნების რანდალ შველერისეულ განმარტებას დავამატებდი, რომლის თანახმადაც, მიტმასნებას მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობა არ აქვს და ეს მოვლენა გარკვეულ პოზიტიურ მოტივაციასაც გულისხმობს. ასე რომ, მიტმასნებას ორგვარი დატვირთვა შეიძლება ქონდეს. პირველი, ერთგვარი კაპიტულაცია საფრთხის წყაროს წინაშე და მეორე, საფრთხის წყაროსთან კავშირში შესვლა დამატებითი სარგებლის მიღების მიზნით.¹⁴ შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში მიტმასნებას ორივე მოტივაცია შეიძლება განაპირობებდეს. მაგალითად, ფინეთის მიტმასნება საბჭოთა კავშირთან ამ ცნების უფრო ნეგატიური გაგების ამსახველია. მაშინ როცა, სტალინის გადაწყვეტილება მიტმასნოდა გერმანიას, რაც საბოლოო ჯამში მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმებით დაგვირგვინდა, ამ ცნების უფრო პოზიტიური გაგების ამსახველია. მიტმასნების შედეგად საბჭოთა კავშირმა, ერთი მხრივ, მიიღო პოლონეთის გარკვეული ნაწილი, მეორე მხრივ კი, მოიპოვა დრო გერმანიის წინააღმდეგ მოსამზადებლად.¹⁵

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბალანსებაც და მიტმასნებაც თეორიული მოდელებია. შესაბამისად, სახელმწიფოთა რეალური ქმედებები შესაძლოა ზუსტად ამ იდეალური მოდელების დაშვებებს არ მიყვებოდეს.¹⁶ კერძოდ,

¹³ Randall L. Schweller, *New Realist Research on Alliances: Refining, Not Refuting, Waltz's Balancing Proposition*. (*The American Political Science Review*, Vol. 91, No. 4 Dec. 1997. p. 928)

¹⁴ Randall L. Schweller, *Bandwagoning for Profit: Bringing the Revisionist State Back In* (*International Security*, Vol. 19, No. 1. Summer 1994)

¹⁵ Stephen M. Walt, *Alliance Formation and Balance of World Power* (*International Security*, Vol. 9. No. 4. 1985. p.8)

¹⁶ საერთაშორისო ურთიერთობებში და ზოგადად პოლიტიკურ მეცნიერებაში ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, როცა რეალობა ზუსტად ჯდება შემოთავაზებულ თეორიულ მოდელში. თუმცა, თეორიას არც მოეთხოვება რეალობის დეტალური ანალიზი. თეორიულმა მოდელმა სამყაროს

სახელმწიფო, რომელიც აირჩევს დაბალანსების გზას, შესაძლოა ასევე ცდილობდეს საფრთხის წყაროსთან არსებული ურთიერთობების ნორმალიზებას და ამის პარალელურადვე მის წინააღმდეგ თავდაცვითი მექანიზმების მოძიებას.¹⁷ პოტენციურ საფრთხის წყაროსთან მიტმასნება და ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობა აბსოლუტურად სხვადასხვა რეალობებია. ამ უკანასკნელს დეტანტის ცნება უფრო ესადაგება, ვიდრე მიტმასნების. ასევე, სახელმწიფო, რომელიც საფრთხის წყაროსთან შეკრავს კავშირს, შესაძლებელია, რომ ამის პარალელურადვე ცდილობდეს მის წინააღმდეგ დაბალანსების სტრატეგიის ასამუშავებლად საგარეო მოკავშირეების მოძიებას.

ნაშრომის სტრუქტურა

სტრუქტურულად ნაშრომი ორ ძირითად, თეორიულ და ემპირიულ ნაწილად არის დაყოფილი. თეორიულ ნაწილში მოხდება საკვანძო ცნებების და ძირითადი თეორიული დაშვებების განხილვა, ასევე განვიხილავთ ძალთა წონასწორობის, საფრთხის წონასწორობის და ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიების მთავარ ვარაუდებს. კვლევის მეორე, ემპირიული ნაწილი კი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საგარეო ურთიერთობების დესკრიპციას და ანალიზს დაეთმობა.

უფრო კონკრეტულად კი ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: ნაშრომის პირველი თავი პატარა ქვეყნების და კავშირების ფორმირების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას დაეთმობა. ასევე, განხილული იქნება ის სამეცნიერო კონსენსუსი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ არსებობს. ამასთანავე, პირველ თავში ვისაუბრებთ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ალიანსების შესახებ არსებული თეორიული მიდგომების შესახებ. კერძოდ, განხილული იქნება ძალთა წონასწორობის, საფრთხის წონასწორობის და

გამარტივებული და განზოგადებული სურათი უნდა შემოგვთავაზოს. რაც უფრო მეტი ცვლადია თეორიაში და რაც უფრო ახლოს დგას თეორია რეალობასთან, ეს უკვე თეორია კი არა, რეალობაა. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Kenneth N. Waltz, Evaluating Theories (*The American Political Science Review*, Vol. 91, No. 4, Dec. 1997, pp. 913-917)

¹⁷ Stephen M. Walt, Testing Theories of Alliance Formation: The Case of Southwest Asia (*International Organization*, Vol.42, No. 2. 1988. p. 282)

ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიები და მათი ძირითადი არგუმენტები საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებით. კვლევის მეორე თავში კი შემოთავაზებულია ის ძირითადი საკვლევო ჰიპოთეზები, რომელთა გადამოწმებაც მოხდება ნაშრომის ემპირიულ ნაწილში.

ნაშრომის მეორე, ემპირიული ნაწილი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური ქცევების შესწავლას და ანალიზს დაეთმობა. კერძოდ, ნაშრომის მესამე თავში ვისაუბრებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის დინამიკაზე დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. კვლევის მეოთხე თავში განვიხილავთ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკას, ხოლო მეხუთე თავი სომხეთის საგარეო ურთიერთობების ანალიზს დაეთმობა. ნაშრომის დასკვნით ნაწილი კვლევის შედეგების შეჯამებას და დისკუსიას დაეთმობა.

ნაშრომს აქვს დართული კვლევის რეზუმე ინგლისურ ენაზე, ასევე გამოყენებული ლიტერატურის და ინტერვიუების სია და დანართები.

თავი 1

პატარა ქვეყნების და კავშირების ფორმირების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ტრადიციულად უფრო მეტად იყო ორიენტირებული მსოფლიო პოლიტიკაში დიდი სახელმწიფოების მნიშვნელობის შესწავლაზე, ვიდრე პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების კვლევასა და ანალიზზე.¹⁸ თუმცა, არსებული სამეცნიერო კვლევების პირობებშიც კი, აკადემიურ ლიტერატურაში პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესახებ ორი სამეცნიერო კონსენსუსის გამოკვეთაა შესაძლებელი.

პირველი ფართოდ გაზიარებული მოსაზრების თანახმად პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების შესასწავლად ყველაზე რელევანტური და პარსიმონიული მიდგომა კვლევის ე.წ. საერთაშორისო სისტემური დონის გამოყენებაა.¹⁹ შესაბამისად, ამ კონსენსუსის თანახმად პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების ანალიზისას ე.წ. “შავი ყუთის” მიდგომის გამოყენება მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს დამატებითი ფაქტორების (მაგ, შიდა პოლიტიკა, პოლიტიკური ელიტების როლი, პოლიტიკურა კულტურა, საზოგადოებრივი აზრი, ინტერესთა ჯგუფები) მხედველობაში მიღების გარეშეც კი ადეკვატურად და სრულყოფილად ახსნას ამ

¹⁸ G. Gvalia and D. Siroky et al, ``Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States``, *Security Studies*, 22:1, 2013. p. 99

¹⁹ Kenneth N Waltz, *Man, The State and War* (Columbia University Press, 2001); J. David Singer, “International Conflict: Three Levels of Analysis,” *World Politics*, Vol. 12, No. 3. (Apr., 1960); Barry Buzan, “The Level-of-Analysis Problem,” in Ken Booth and Steve Smith, eds., *International Relations Theory Today*, (Philadelphia, P.A.: University of Pennsylvania Press, 1995).

ტიპის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და გადაწყვეტილებები.²⁰ მაიკლ ჰანდელი მიიჩნევს, რომ “საერთაშორისო სისტემა პატარა ქვეყნებს არჩევანის მცირე შესაძლებლობას უტოვებს. ის ფაქტი, რომ მათ არ აქვთ შეცდომების დაშვების უფლება და მათი მთავარი საზრუნავი თვით-გადარჩენაა, პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკას მკაფიოს და არაორაზროვანს ხდის. შესაბამისად ქენეთ უოლცის მესამე დონე ანალიზის ყველაზე რელევანტური დონეა”.²¹ დაახლოებით მსგავს მოსაზრებას ავითარებს ჯეიმს როზენაუ, როდესაც ამტკიცებს, რომ ანალიზის საერთაშორისო სისტემური დონე უფრო რელევანტური პატარა ქვეყნების კვლევის შემთხვევაშია, ვიდრე დიდი სახელმწიფოების. როზენაუ მიიჩნევს, რომ შიდა პოლიტიკური ფაქტორები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, ვიდრე პატარა ქვეყნების შემთხვევაში²² მსგავს პოზიციას გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი მკვლევარი ჯეკ სნაიდერი, როდესაც ამტკიცებს, რომ უსაფრთხოების გარემო უფრო მეტად ზღუდავს პატარა ქვეყნებს, ვიდრე დიდ სახელმწიფოებს.²³ ბო ჰულდტიც ეთანხმება ამ მოსაზრებას: “პატარა ქვეყნები უფრო მოწყვლადნი არიან და აქვთ უფრო ნაკლები ალტერნატივა, ვიდრე დიდ სახელმწიფოებს”²⁴.

სამეცნიერო წრეებში მეორე გაბატონებული მიდგომის თანახმად, პატარა სახელმწიფოები, განსხვავებით დიდი სახელმწიფოებისგან, უფრო მეტად ეყრდნობიან

²⁰ Giorgi Gvalia, et al, ``Political Elites Ideas and Foreign Policy: Explaining and Understanding the International Behavior of Small States in the Former Soviet Union`` (Ilia State University Press, 2011. p. 18)

²¹ Michael Handel, *Weak States in the International System* (Frank Cass Publishers, 1990). p. 3.

²² Waltz, *Theory of International Politics*, pp. 194-195. ასევე, David Skidmore, “Explaining States Responses to International Change: The Structural Sources of Foreign Policy Rigidity and Change,” in Jerel A. Rosati, Joe D. Hagan, Martin W. Sampson III, eds., *Foreign Policy Restructuring: How Governments Respond to Global Change*, (University of California Press, 1994). pp. 50-56; Martin W. Sampson, “Exploiting the Seams: External Structure and Libyan Foreign Policy Changes,” in Ibid. p. 90; Rosenau, “Pre-theories,” pp.47-48.

²³ Jack Snyder. *Myth Of Empire: Domestic Politics and International Ambition* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1991). p. 20.

²⁴ ციტ. John Rogers, “The Foreign Policy of Small States: Sweden and the Mosul Crisis, 1924-1925,” *Contemporary European History*, Vol. 16, No. 3, (2007). p. 354; Jeanne A. K. Hey, *Small States in World Politics, Explaining Foreign Policy Behavior* (Lynne Rienner Publishers. 2003. p. 6.) მსგავსი მოსაზრებისთვის იხილეთ: Volker Krause, J David Singer, ``Minor Powers, Alliances and Armed Conflict: Some Preliminary Patterns (In: ``Small States and Alliances`` , Erich Reiter, Heinz Gartner, (Eds), Psysica-Verlag, 2001. p.16)

საგარეო საფრთხის წყაროსთან მიტმასნების, ვიდრე მისი დაბალანსების სტრატეგიას.²⁵ მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული რეალისტები (ნეორეალისტები) ჩვეულებრივ ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოები უფრო მეტად დაბალანსების სტრატეგიას ირჩევენ, ვიდრე მიტმასნების, ისინი ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს მდგომარეობა უფრო მეტად თავსებადი დიდი სახელმწიფოებისთვის არის, ვიდრე პატარა ქვეყნებისთვის. “ჰიპოთეზა დაბალანსების სტრატეგიასთან დაკავშირებით” წერს ჯეკ ლევი, “უფრო მეტად ესადაგება დიდ სახელმწიფოებს, ვიდრე პატარებს. დიდი სახელმწიფოები აბალანსებენ პოტენციურ ჰეგემონებს, ხოლო პატარა ქვეყნები, რომლებიც ძლიერი სახელმწიფოების სიახლოვეს მდებარეობენ, აკეთებენ იმას, რაც მათი გადარჩენის შანსებს გაზრდის...ეტიმასნებიან უფრო ძლიერს, ვიდრე აბალანსებენ მას”²⁶ მსგავს შეხედულებას გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების და ალიანსების ცნობილი ამერიკელი მკვლევარი სტეფან უოლტი: “ზოგადად, რაც უფრო სუსტია სახელმწიფო მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ის მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს...დაბალანსება შესაძლოა სწორი სტრატეგია არ იყოს, რადგან მოკავშირეებმა შესაძლოა დახმარების სწრაფად აღმოჩენა ვერ შეძლონ...სახელმწიფოები, რომლებიც ახლოს არიან დიდი თავდასხმითი შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოებთან და ასევე, შორს მდებარეობენ პოტენციური მოკავშირეებისგან, იძულებულნი არიან მიეტმასნონ, ვიდრე დააბალანსონ”²⁷

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში კვლევის დონეების იდეების ავტორის, ცნობილი სტრუქტურული რეალისტის ქენეთ უოლცის მოსაზრებები საგარეო პოლიტიკის ანალიზისას მესამე ანუ საერთაშორისო სისტემური დონის გამოყენებასთან დაკავშირებით ცალსახა ნამდვილად არ არის.²⁸

²⁵ Eric J. Labs, “Do weak states bandwagon?” *Security Studies*, Vol. 1, No. 3 (Spring 1992) pp. 383–416.

²⁶ Jack S. Levy, “The Causes of War: A Review of Theories and Evidence,” in Philip E Tetlock, et al., eds., *Behavior, Society and Nuclear War* (New York: Oxford University Press, 1989). p. 231

²⁷ Walt, *The Origins of Alliances*, p. 25, p. 29.

²⁸ აღსანიშნავია, რომ ბევრი მკვლევარი უოლცის ნეორეალიზმს უფრო საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირებულ თეორიად თუ კვლევით პროგრამად მიიჩნევს, ვიდრე თეორიად, რომელიც პროცესის ახსნაზეა ორიენტირებული. მსგავსი მოსაზრებებისთვის იხ. John Lewis Gaddis, “The Long Peace: Elements of Stability in the Postwar International System”, *International Security*, 10, no.4 (spring 1986), p. 99–

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ თავად უოლცი, როგორც სტრუქტურული რეალისტი საკუთარ თეორიებს სისტემურ დონეზე ავითარებდა, ის ასევე აღნიშნავდა, რომ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ანალიზისას მხოლოდ სისტემურ დონეზე დაყრდნობა რელევანტური შედეგების მომტანი ვერ იქნება.²⁹ “საერთაშორისო პოლიტიკის ნეორეალისტური თეორია” - წერს უოლცი - “ამბობს თუ როგორ ახდენს გავლენას გარე ფაქტორები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე, თუმცა ის ამავე დროს არაფერს ამბობს შიდა ფაქტორების მნიშვნელობაზე. უმეტეს შემთხვევაში საერთაშორისო პოლიტიკის თეორია ვერ შეძლებს სრულყოფილი დასკვნების გაკეთებას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით”³⁰ მიუხედავად იმისა, რომ უოლცი აკრიტიკებს ანალიზის პირველ (ინდივიდის დონე) და მეორე (სახელმწიფოს დონე) დონეზე არსებულ თეორიებს, ის ასევე ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკის ახსნა ანალიზში ამგვარი თეორიების ჩართვის გარეშე წარმოუდგენელი იქნება.³¹

სხვა მკვლევარები საგარეო პოლიტიკაში დაბალანსების თუ მიტმასნების სტრატეგიებზე საუბრისას მნიშვნელოვან ადგილს ეკონომიკური ფაქტორების როლს უთმობენ. მკვლევარების ერთი ნაწილის შეხედულებით, ეკონომიკური დამოკიდებულება, განსაკუთრებით კი ენერგო დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ტრაექტორიას. ამ არგუმენტის თანახმად, როდესაც რეგიონულ ჰეგემონზე ეკონომიკური დამოკიდებულება

142; Christopher Layne, “The Unipolar Illusion Revisited: The Coming End of the United States’ Unipolar Moment,” *International Security* 31, no.2 (fall 2006), pp. 7-41; Barry Posen, “European Union Security and Defense Policy: A Response to Unipolarity?” *Security Studies* 15, no. 2 (April-June 2006), pp. 149-86.

²⁹ Waltz, *Theory of International Politics*, p. 72.

³⁰ Waltz, “International Politics is not Foreign Policy,” *Security Studies*, Vol. 6, No. 1, Autumn 1996, p. 57. ალტერნატიულ არგუმენტთან დაკავშირებით იხ. Colin Elman, “Horses for Courses: Why Not Neorealist Theories of Foreign Policy?,” *Security Studies*, Vol. 6, No. 1 (Autumn 1996), pp. 7-53; ასევე, Peter Gourevitch, “The Second Image Reversed: The International Sources of Domestic Politics,” *International Organization*, Vol. 32, No. 4 (Autumn 1978), p. 911; Peter Gourevitch, “Domestic Politics and International Relations,” in Walter Carlsnaes, et al., eds, *Handbook of International Relations* (London: SAGE Publications, 2002), p. 310.

³¹ ავტორის ინტერვიუ რიჩარდ ეშლისთან, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური საკითხების და პოლიტიკის სკოლის პროფესორი. 05.04.2011. ტემპე, არიზონა. აშშ. ასევე, საგარეო პოლიტიკის ანალიზში გარე და შიდა ფაქტორების ინტეგრირებასთან დაკავშირებით იხ. Benjamin O. Fordham, “The Limits of Neoclassical Realism: Additive and Interactive Approaches to Explaining Foreign Policy Preferences,” in Steven E. Lobell, Norrin M. Ripsman, Jeffery W. Taliaferro, eds., *Neoclassical Realism, the State and Foreign Policy*, (Cambridge University Press, 2009). pp. 251-279.

მაღალია, დამოკიდებული ქვეყნისთვის დაბალანსების პოლიტიკის წარმოება შესაძლოა რთული და სახიფათო იყოს.³²

აღნიშნული საკითხის ავტორიტეტული მკვლევარი, პაულ პაპანოიუ ამტკიცებს, რომ როდესაც ეკონომიკური დამოკიდებულება მაღალია, სტატუს ქვოს შენარჩუნების მოსურნე სახელმწიფოები ვერ ახერხებენ რევიზიონისტი სახელმწიფოების წინააღმდეგ დაბალანსების პოლიტიკის გატარებას.³³ ერიკ მილერი ამ მოსაზრების ემპირიულად მხარდაჭერას ახდენს მის კვლევაში პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. მილერი ვარაუდობს, რომ როდესაც რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება მაღალია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნები რუსეთთან მიტმასნების სტრატეგიას ირჩევენ, ვიდრე მისი დაბალანსების. ამ თეორიის ლოგიკით, ქვეყნების ამგვარ ქცევას ის შესაძლო ეკონომიკური და პოლიტიკური ზიანი განაპირობებს, რაც მათ შეიძლება მიადგეთ რუსეთისთვის არასასურველი საგარეო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში.³⁴ ამ არგუმენტს გარდა საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობისა, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური იმპლიკაციებიც აქვს. კერძოდ, ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული რუსეთისთვის არასასურველი საგარეო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან საკუთარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. რუსეთის მიერ ეკონომიკური ემბარგოს გამოყენებამ დევიანტი სახელმწიფოების დასჯის მიზნით, შესაძლოა მნიშვნელოვნად გააუარესოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაზე, გაზრდის რა მოსახლეობის, განსაკუთრებით იმ ნაწილის უკმაყოფილებას მმართველი პოლიტიკური ელიტის საქმიანობისადმი, რომელიც ყველაზე მეტად სარგებლობდა

³² Gvalia, et al, ``Political Elites Ideas and Foreign Policy: Explaining and Understanding the International Behavior of Small States in the Former Soviet Union`` (Ilia State University Press, 2011. p. 23)

³³ Paul A. Papayoanou, "Economic Interdependence and the Balance of Power," *International Studies Quarterly*, Vol. 41, No. 1 (March, 1997) pp. 113-140.

³⁴ Eric A. Miller, *To Balance or Not to Balance: Alignment Theory and Commonwealth of Independent States*. (Ashgate Publishing Limited, 2006). pp. 31- 32.

არსებული ეკონომიკური კავშირებით. ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება და მმართველი პოლიტიკური ელიტის იმიჯის შელახვა კი უარყოფითად აისახება პოლიტიკური ელიტის მმართველობის სტაბილურობასა და მათ შანსებზე მომდევნო არჩევნებში.³⁵ უარესი სცენარის შემთხვევაში, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ და პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ შესაძლოა რეჟიმის შეცვლაც განაპირობოს.³⁶

როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში პატარა ქვეყნების შესახებ არსებული ლიტერატურა ცხადყოფს პატარა ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკის მეორეხარისხოვანი აქტორები არიან და მათი საგარეო ქცევა სისტემის სხვა, უფრო გავლენიანი აქტორების გავლენის შედეგია. რომ შევაჯამოთ ზემოთ შემოთავაზებული სამეცნიერო ანალიზი, რამდენიმე საკვანძო დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი:

პირველი, პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევების ანალიზისას ყველაზე რელევანტური კვლევის დონე საერთაშორისო სისტემის დონეა, რადგან სწორედ უსაფრთხოების გარემოა ის მთავარი ცვლადი, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს პატარა ქვეყანას მოქმედების თავისუფლებას და მის ქმედებებს ადვილად პროგნოზირებადს ხდის. ამ მიდგომის თანახმად, თუ მკვლევარს აქვს *სრულყოფილი* ინფორმაცია პატარა ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს თავისებურებებთან დაკავშირებით, იგი ადვილად შეძლებს გამოიცნოს თუ როგორი სახის საგარეო პოლიტიკას გაატარებს ესა თუ ის პატარა სახელმწიფო. ასევე, ამავე მიდგომის ლოგიკით, თუ ორ ან მეტ პატარა ქვეყანას მეტ-ნაკლებად მსგავს უსაფრთხოების გარემოში უწევთ ოპერირება, მათი საგარეო პოლიტიკური ქცევები მსგავსი იქნება. როგორც ჩანს, ეს მიდგომა, რომელიც პატარა ქვეყნების ქცევების ახსნისას საკვანძო ამხსნელობითი ცვლადის ფუნქციას უსაფრთხოების გარემოს ანიჭებს, არ

³⁵ საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებით მსგავსი მოსაზრებისთვის იხ. Corinna Freund and Volker Rittberger, "Utilitarian-Liberal Foreign Policy Theory," in Volker Rittberger, ed., *German Foreign Policy Since Unification: Theories and Case Studies*, (Manchester University Press, 2001), pp. 68-104.

³⁶ Eric A. Miller, *To Balance or Not to Balance: Alignment Theory and Commonwealth of Independent States*. (Ashgate Publishing Limited, 2006). p. 22.

ითვალისწინებს ისეთი ცვალდების გავლენას, როგორც შეიძლება იყოს ლიდერის პიროვნული თვისებები, შიდა პოლიტიკა, პოლიტიკური კულტურა და ა.შ.

მეორე, პატარა ქვეყნები განსხვავებით დიდი სახელმწიფოებისგან საგარეო საფრთხესთან მიტმასნების სტრატეგიას უფრო ეყრდნობიან, ვიდრე მისი დაბალანსების. ეს არგუმენტი ლოგიკური გაგრძელებაა მოსაზრების, რომ სწორედ საერთაშორისო სისტემა ახდენს მთავარ გავლენას პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ქცევაზე. განსხვავებით დიდი სახელმწიფოებისგან, რომლებიც უფრო თავად განსაზღვრავენ სისტემის თავისებურებებს, ვიდრე პირიქით, პატარა ქვეყნების შემთხვევაში სიტუაცია საპირისპიროა. საერთაშორისო სისტემის პრიმატი პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში განაპირობებს იმ გარემოებას, რომ პატარა ქვეყნები უფრო მიტმასნების სტრატეგიას ეყრდნობიან, ვიდრე დაბალანსების. ასევე, როგორც ცალკეული ავტორების კვლევები ცხადყოფს ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, როგორც სისტემური განზომილების მქონე ცვლადი, პირდაპირ განსაზღვრავს დაბალანსებისა და მიტმასნების სტრატეგიებს შორის სახელმწიფოების არჩევანს.

ზემოთ შემოთავაზებული ანალიზის მიზანი იყო მიმოეხილა ის ძირითადი დისკურსი, რაც საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში პატარა ქვეყნებთან დაკავშირებით არსებობს. კვლევის მომდევნო ნაწილებში შემოთავაზებული ანალიზი შეეწინააღმდეგება დისციპლინაში არსებულ სამეცნიერო კონსენსუსს და ცალკეული თეორიების დაშვებების შედარებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებზე გადამოწმების საფუძველზე განავითარებს ალტერნატიულ ახსნებს პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ქცევის შესახებ.

1.2. ალიანსები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში კავშირების შესახებ არაერთი თეორია არსებობს, რომელიც განსხვავებული კუთხით ცდილობს საერთაშორისო პოლიტიკის ამ ცენტრალური ფენომენის ანალიზს. გლენ სნაიდერი რამდენიმე მათგანს გამოყოფს. მათ შორის კოლექტიური სარგებლის თეორია (რომელიც განსაკუთრებით გავლენიანი XX საუკუნის 70-80-იან წლებში იყო), სოციოლოგიური კოალიციის თეორია, ასევე „რაციონალური არჩევანის“ მოდელის ფარგლებში შექმნილი თეორიები. თუმცა ეს თეორიები ძირითადად ნაწილობრივ ხსნიდა კავშირების შექმნის გამომწვევ მიზეზებს.³⁷ შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ინტერესის სფერო ალიანსების შესახებ არსებული ყველაზე გავლენიანი თეორიების, კერძოდ სამი თეორიის: სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორიის, ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის და საფრთხის წონასწორობის თეორიის ანალიზი და შედარებაა. ამ თეორიებიდან პირველი, კერძოდ ძალთა წონასწორობის თეორია ძირითადად ცნობილ სტრუქტურულ რეალისტს ქენეთ უოლცს უკავშირდება და ნეორეალიზმის თეორიული სკოლის ფარგლებში მოიაზრება. აღნიშნული თეორიის საბოლოო სახით ფორმულირებას უოლცი ახდენს 1979 წელს გამოცემულ ცნობილ წიგნში “საერთაშორისო პოლიტიკის თეორია”.³⁸ მეორე თეორია, რომელიც ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკაში, ხოლო კონკრეტულად ალიანსების ფორმირებასთან მიმართებაში ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას უსვამს ხაზს საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური პარადიგმის ნაწილია. დებატები ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით პოპულარული 70-90 იან წლებში ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის მიმდინარე ინტელექტუალური დაპირისპირების ფარგლებში იყო. ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის მხარდამჭერი მეცნიერები ცდილობდნენ ემპირიულად გადაემოწმებინათ აღნიშნული თეორიების

³⁷ Glenn H Snyder, *Alliances, Balance and Stability* (*International Organization*, Vol.45, No. 1. Winter 1991, p. 122)

³⁸ Kenneth N Waltz, *Theory of International Politics* (McGraw Hill, Inc. First Ed. 1979)

ვარაუდების რელევანტურობა³⁹ და ეჩვენებინათ, რომ ეკონომიკურ ფაქტორებს საერთაშორისო პოლიტიკაში პოზიტიური როლის შესრულება შეეძლოთ.⁴⁰ კვლევაში იდენტიფიცირებულ მესამე თეორია, კერძოდ საფრთხის წონასწორობის თეორია ასევე ცნობილ რეალისტს და ალიანსების ავტორიტეტულ მკვლევარს ამერიკელ მეცნიერს სტეფან უოლტს უკავშირდება. საფრთხის წონასწორობის თეორია უოლტმა ძალთა წონასწორობის თეორიის დაშვებების გადამოწმების გზით შექმნა. აღნიშნული თეორია, რომელიც, მიუხედავად იმისა რომ რეალიზმის პარადიგმის ფარგლებში რჩება, უფრო მეტი საერთო პოსტკლასიკურ ან ნეოკლასიკურ რეალიზმთან აქვს, ვიდრე სტრუქტურულ რეალიზმთან (ნეორეალიზმთან).⁴¹

ნაშრომის მომდევნო ქვეთავები აღნიშნული თეორიების მიმოხილვას და მათი ვარაუდების ანალიზს დაეთმობა.

³⁹ საერთაშორისო პოლიტიკაში ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებისთვის იხ. Scott L. Krastner, ``Does Economic Integration Across the Taiwan Strait Make Military Conflict Less Likely?`` *Journal of East Asian Studies* 6, no 3 (Fall 2006). pp. 319-46; Katherine Barbieri, ``Economic Interdependence: A Path to Peace or a source of Interstate Conflict?`` *Journal of Peace Research* 33, no.1 (February 1996). pp. 29-49; Katherine Barbieri, Jack S. Levy, ``Sleeping with the Enemy: The Impact of War on Trade,`` *Journal of Peace Research* 36, no 4 (July 1999) pp. 463-79; Susan M. McMillan, ``Interdependence and Conflict,`` *Mershon International Studies Review* 41, no 1 (May 1997), pp. 33-58; John R. Oneal , Bruce M. Russett, ``The Classical Liberals Were Right: Democracy, Interdependence and International Conflict, 1950-1985`` , *International Studies Quarterly*, 41, no 2 (June 1997). pp. 267-94; Edward D. Mansfield, Brian M. Pollins, *Economic Interdependence and International Conflict: New Perspectives on an Enduring Debate* (Ann Arbor: University of Michigan Press, 2003); Dale Copeland, ``Economic Interdependence and War: A Theory of Trade Expectations,`` *International Security* 20, no 4 (Spring 1996), pp. 5-41;

⁴⁰ Katherine Barbieri, Gerald Schneider, ``Globalization and Peace: Assessing New Directions in the Study of Trade and Conflict,`` *Journal of Peace Research*, 36, No. 4 (July 1999) pp. 387, 390.

⁴¹ ნეორეალიზმსა და პოსტკლასიკურ რეალიზმს შორის განსხვავებების თაობაზე იხ. Stephen G. Brooks, Duelling Realisms (*International Organization*, Vol. 51, No. 3. Summer 1997)

1.2.1 ძალთა წონასწორობის თეორია

სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორიის არსის უკეთ გასაგებად მოკლედ მიმოვიხილოთ უოლცისეული ნეორეალიზმის მთავარი დაშვებები საერთაშორისო პოლიტიკასთან მიმართებაში. უოლცი მის თეორიას ბოლომდე საერთაშორისო სისტემის დონეზე აგებს და სისტემის სტრუქტურის კონცეფცია შემოაქვს, როგორც ანალიტიკური მექანიზმი. კერძოდ, სისტემის სტრუქტურას სამი ელემენტი აქვს: ანარქია (ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა მსოფლიოში),⁴² სახელმწიფოთა შორის ფუნქციური მსგავსება და ძალთა განაწილება. ამ თეორიის ლოგიკა განსაკუთრებით მომჭირნეა და ასე გამოიყურება: რადგან ანარქია საერთაშორისო სისტემის მუდმივი მახასიათებელია (უცვლადია), ხოლო ანარქიიდან ეგზოგენურად გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები თვითდახმარების სისტემას ქმნიან და თვითგადარჩენაზე ზრუნავენ (ესეც უცვლადია),⁴³ შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი ამხსნელობითი ცვლადი სისტემაში ძალთა განაწილებაა.⁴⁴ სახელმწიფოს ძალა, ძლიერება კი მატერიალური ფაქტორებით იზომება. სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია სახელმწიფოს ძლიერების ძირითად ინდიკატორებად ეყრდნობა ისეთ გაზომვად ცვლადებს, როგორცაა: სამხედრო შესაძლებლობები, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა, მოსახლეობის რაოდენობა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც შესაძლოა ხელს უწყობდეს ან აფერხებდეს სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების საერთაშორისო სისტემაში პროექციას (Power Projection). ამავდროულად სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია ძლიერების შეფასებისას ეყრდნობა არა აბსოლიტურ კრიტერიუმებს, არამედ ძალის განაწილების შედარებით

⁴² ანარქიის ორ განსხვავებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით იხ. Helen Milner, *The Assumption of Anarchy in International Relations Theory: A Critique*. (In: *Neorealism and Neoliberalism: The Contemporary Debate*. David A. Baldwin. (Ed) Columbia University Press. 1993. pp 145- 153.)

⁴³ დაშვება, რომ თვითდახმარება (self-help) საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისაგან ეგზოგენურად მოცემულია, გახდა მთავარი თეორიული დებატების თემა კონსტრუქტივიზმის სტრუქტურულ ვერსიასა და ნეორეალიზმს შორის. იხ Alexander Wendt, *Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics* (*International Organization*, Vol. 46, No. 2 Spring, 1992, pp. 391-425) Alexander Wendt, *Constructing International Politics* (*International Security*, Vol. 20, No. 1. Summer 1995. pp. 71-81)

⁴⁴ Stephen M. Walt, *Revolution and War* (*World Politics*, Vol. 44, No. 3. Apr., 1992 p. 330)

მაჩვენებელს. შესაბამისად, თეორიის ლოგიკით მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენად ძლიერია სახელმწიფო, არამედ ის თუ როგორ ხდება საერთაშორისო სისტემაში ძლიერების განაწილება. ძალთა წონასწორობის თეორიის თანახმად, თითოეული სახელმწიფოს უსაფრთხოება და არა მარტო ძლიერება სხვებთან მიმართებაში მის შედარებით ძლიერებაზეა დამოკიდებული.⁴⁵

სტრუქტურულ ძალთა წონასწორობის თეორიაში ალიანსების წარმოქმნის ან უკვე არსებულ კავშირებში სახელმწიფოთა შესვლის მთავარი მიზეზი საერთაშორისო ან რეგიონულ სისტემაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს დაბალანსების მცდელობაა. შესაბამისად ძალთა წონასწორობის თეორია ამბობს: „შეუერთდი უფრო სუსტ მხარეს“⁴⁶.

ძალთა წონასწორობის თეორიაში ძლიერება პირდაპირ მიბმულია საფრთხესთან. კერძოდ, იყო ძლიერი თავისთავად გულისხმობს, რომ შენი სიძლიერე არათუ დისკომფორტს, არამედ საფრთხეს უქმნის სხვებს. შესაბამისად, აღნიშნული თეორიის ლოგიკით სახელმწიფოში გადაწყვეტილებების მიმღებნი საფრთხეების შეფასებისას ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ან რეგიონულ სისტემაში ძლიერების განაწილების ტენდენციებით.

⁴⁵ უსაფრთხოებასა და ძლიერებას, როგორც სახელმწიფოს მიზნებს შორის არსებული დამოკიდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ განსხვავებას რეალიზმის უოლცის, მერშაიმერის და მორგენტაუს ვერსიებს შორის. უოლცი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ინტერესებში არა ძლიერების მაქსიმიზაციაა, არამედ უსაფრთხოების. ძლიერება უბრალოდ მიზნის (უსაფრთხოების) მიღწევის საშუალებაა. მაშინ როცა უოლცი თვლის, რომ ზედმეტი ძლიერება უფრო უსაფრთხოს არ ხდის სახელმწიფოს, მერშაიმერი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტ ძლიერებას ფლობს სახელმწიფო, მით უფრო მეტად არის მისი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი. იხ. Kenneth N. Waltz, *The Origins of War in Neorealist Theory* (*Journal of Interdisciplinary History*, Vol. 18, No.4, Spring, 1988. p.616.) Bruce Bueno De Mesquita, *Principles of International Politics: People's Power, Preferences and Perceptions* (Congressional Quarterly Inc. 2000. p.78) ასევე John J. Mearsheimer, *Realism, the Real World, and the Academy* (In: *Realism and Institutionalism in International Studies*. Michael Brecher and Frank P. Harvey, (Eds), Ann Arbor: The University of Michigan Press, 2002, pp. 25-26.).

⁴⁶ Joseph. S. Nye, Jr. *Understanding International Conflicts: An Introduction to Theory and History*. (Harvard University Press. Sixth Ed. 2007. p.65)

მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები, თავისუფალი არჩევანის საშუალება თუ აქვთ, შედარებით სუსტს ემხრობიან, რადგან უფრო ძლიერი მათ ემუქრება . . . (უოლცი)⁴⁷

დაახლოებით მსგავს შეხედულებას ავითარებს ჯონ მერშაიმერი, როდესაც ამბობს, რომ რაც უფრო დიდ ძლიერებას ფლობს კონკრეტული სახელმწიფო, მით უფრო მეტ შიშს იწვევს იგი სხვებში.⁴⁸

ძალთა წონასწორობის თეორიის მომხრე თეორეტიკოსების უმეტესობა (როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე რეალისტები) არ ახდენს ძლიერების და საფრთხის კონცეპტების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. მათი გაგებით, საფრთხის ადეკვატურად გასაზომად მხოლოდ ძლიერების ცვლადიც კი საკმარისია.⁴⁹

ძალთა წონასწორობის თეორია, რომელიც მხოლოდ ძალთა განაწილების ცვლადზე დაყრდნობით ცდილობს ახსნას სახელმწიფოთა მიერ კავშირებში შესვლის მოტივაცია, მართალია აკმაყოფილებს თეორიის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას, კერძოდ მომჭირნეობას, (კარგი თეორია ეს მომჭირნე თეორიაა), თუმცა მისი ამხსნელობითი უნარი, როგორც რობერტ ქიოჰეინი შენიშნავს, არასდროს ყოფილა ბოლომდე დამაჯერებელი.⁵⁰

ძალთა წონასწორობის თეორია (ძირითადი თეორიული დაშვება)

სახელმწიფოები კავშირში შედიან საერთაშორისო ან რეგიონულ სისტემაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი დაბალანსების მიზნით.

1.2.2 ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია

⁴⁷ Kenneth N. Waltz, *Theory of International Politics* (McGraw Hill, Inc. First Ed. 1979. pp 126-127)

⁴⁸ John J. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics*. (New York and London. W.W. Norton and Company. 2001, p. 43)

⁴⁹ Paul Fritz, Kevin Sweeney, *The (De)limitations of Balance of Power Theory*, (*International Interactions*, Vol.30. 2004. p 289.)

⁵⁰ Robert O. Keohane, *Alliances, Threats and Uses of Neorealism* (*International Security*, Vol. 13, No. 1 Summer 1988. p. 172)

როგორც ზევით აღვნიშნეთ ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია ასევე გვთავაზობს ვარაუდებს სახელმწიფოთა პოლიტიკური ქვევების შესახებ. ამ თეორიის ლოგიკით, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათს და ტრაექტორიას.

თეორიის მთავარი არგუმენტია, რომ როდესაც სახელმწიფო A მნიშვნელოვნად არის სახელმწიფო B-ზე ეკონომიკურად დამოკიდებული ანუ ადგილი აქვს ასიმეტრიულ დამოკიდებულებას ეკონომიკურ ურთიერთობებში, მაღალია ალბათობა, რომ სახელმწიფო A სახელმწიფო B-თვის მისაღებ საგარეო პოლიტიკას გაატარებს. მსგავსი არგუმენტი როგორც აკადემიურ, ასევე ანალიტიკურ წრეებში ხშირად გამოიყენება რუსეთსა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობების ანალიზისას. ამ საკითხზე შექმნილი პუბლიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროკავშირის რუსეთთან ურთიერთობების მთავარ განმსაზღვრელ გარემოებად ევროკავშირის სახელმწიფოების რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას ასახელებს.

ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის თანახმად ეკონომიკური დამოკიდებულება დაქვემდებარებულ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ თავისუფლებას უზღუდავს და დამოკიდებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მარტივად პროგნოზირებადს ხდის. შესაბამისად, რაც უფრო მეტად არის ერთი სახელმწიფო მეორეზე ეკონომიკურად დამოკიდებული, მით უფრო მეტად თავსებადი იქნება ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ქვევები ერთმანეთთან.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ არგუმენტის ემპირიულად გადამოწმების მცდელობები პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებზეც განხორციელდა. ერიკ მილერის კვლევის საკვანძო არგუმენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთთან მიტმასნების თუ მისი დაბალანსების სტრატეგიებს შორის არჩევანს პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ყოფილ მეტროპოლთან არსებული ეკონომიკური

დამოკიდებულების მხედველობაში მიღების შედეგად აკეთებენ.⁵¹ მილერი თვლის, რომ რაც უფრო მეტად არის რომელიმე პოსტ-საბჭოთა ქვეყანა რუსეთზე დამოკიდებული, მით უფრო მეტად ეცდება იგი უარი თქვას დაბალანსების პოლიტიკაზე და მიეტმასნოს რუსეთს. მილერის აზრით, სახელმწიფოების ამგვარ არჩევანს ეკონომიკური და პოლიტიკური გათვლები განაპირობებს. თუ რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყნები რუსეთისთვის არასასურველი საგარეო პოლიტიკის გატარებას შეეცდებიან არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს ``ურჩი`` სახელმწიფოს დასასჯელად, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას ``ურჩი`` სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. შესაბამისად, მილერის არგუმენტის თანახმად, მმართველი პოლიტიკური ელიტები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაა, ეცდებიან არ გაატარონ რუსეთისთვის მიუღებელი საგარეო პოლიტიკა და საკუთარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები კრემლის ხედვებთან თავსებადი გახადონ.

ეკონომიკური დამოკიდებულების გასაზომად მკვლევარები ძირითადად სამ ინდიკატორს ეყრდნობიან⁵²:

სავაჭრო ურთიერთობების მოცულობა - იმპორტ-ექსპორტის წილი მთლიან ვაჭრობაში მოცემულ ქვეყნასთან. შესაბამისად, რაც უფრო დიდია სახელმწიფო A-ს წილი სახელმწიფო B - ს მთლიან ვაჭრობაში, მით უფრო მეტად იქნება სახელმწიფო B სახელმწიფო A -ზე ეკონომიკურად დამოკიდებული. აქედან გამომდინარე ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის ლოგიკით სახელმწიფო B უფრო მიეტმასნება სახელმწიფო A-ს, ვიდრე ეცდება მის წინააღმდეგ დაბალანსების სტრატეგიის გამოყენებას;

⁵¹ Eric A. Miller, *To Balance or Not to Balance: Alignment Theory and Commonwealth of Independent States*. (Ashgate Publishing Limited, 2006). p. 22.

⁵² იქვე, p. 29

ენერგეტიკული დამოკიდებულება: ეკონომიკური დამოკიდებულების გაზომვის მეორე დამოუკიდებელი ინდიკატორი ენერგეტიკული დამოკიდებულებაა. ამ შემთხვევაში, ძირითადად იგულისხმება ისეთი ენერგეტიკული რესურსები როგორც არის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და ნავთობი. ეს სწორედ ის რესურსებია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის და მისი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ლოგიკა ამ ინდიკატორის შემთხვევაში ისეთივეა, როგორც სავაჭრო დამოკიდებულების შემთხვევაში. კერძოდ, რაც უფრო მაღალია ერთი ქვეყნის ენერგეტიკული დამოკიდებულება მეორე ქვეყანაზე, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ დამოკიდებული ქვეყანა მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს.

ალტერნატიული ბაზრების არსებობა: ამ ცვლადის არსებობა პირდაპირ განსაზღვრავს თუ როგორი ეფექტი შეიძლება გააჩნდეს სავაჭრო და ენერგეტიკული დამოკიდებულების ცვლადებს. კერძოდ, თუ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჩაანაცვლოს ის ქვეყანა, რომელზეც დამოკიდებულია, მისი პროდუქციის გასაღების ალტერნატიული ბაზრით ან ბაზრებით და ასევე, შეუძლია ენერგეტიკული რესურსების მოწოდების ალტერნატიული წყაროები ნახოს, ამ შემთხვევაში ენერგეტიკული და სავაჭრო დამოკიდებულების ცვლადების ეფექტი შესაძლოა ისეთი არ იყოს როგორც თეორია ვარაუდობს. ანუ ალტერნატიული ბაზრების და ენერგეტიკული რესურსების მოწოდების წყაროების არსებობა დამოკიდებულ სახელმწიფოს უადვილებს დაბალანსების სტრატეგიის არჩევას.

1.2.3 საფრთხის წონასწორობის თეორია

სტრუქტურულ ძალთა წონასწორობის თეორიაში დაბალანსება და მიტმასნება მხოლოდ მატერიალური რესურსებით არის განსაზღვრული. შესაბამისად დაბალანსება გულისხმობს კავშირში შესვლას უფრო სუსტთან, ხოლო მიტმასნება კი უფრო ძლიერის მხარეს ყოფნას.⁵³ თუმცა, ამ შეხედულებას სერიოზული შეზღუდვები გააჩნია, რადგან იგი მხედველობაში არ იღებს სხვა ფაქტორებს,

⁵³ Stephen M. Walt, Testing Theories of Alliance Formation: The Case of Southwest Asia (*International Organization*, Vol.42, No. 2. 1988. p. 279.)

რომელიც შეიძლება სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიმღებებმა გაითვალისწინონ. მართალია, ძლიერება საკმაოდ მნიშვნელოვანია კომპონენტია მათ გათვლებში, თუმცა არა ერთადერთი. შესაბამისად, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ სახელმწიფო კავშირში შეიძლება შევიდეს იმ სახელმწიფოსთან ან მის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მას.⁵⁴ მაგალითად, კოალიცია, რომელიც შეიქმნა გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ I და II მსოფლიო ომების პერიოდში ბევრად უფრო დიდ მატერიალურ შესაძლებლობებს ფლობდა, ვიდრე კავშირი, რომლის წინააღმდეგაც ის შეიქმნა.⁵⁵ ძალთა წონასწორობის თეორია ამ შემთხვევაში უძლურია, მაგრამ საფრთხის წონასწორობის თეორია კი ამბობს, რომ მიუხედავად გერმანიის შედარებითი სისუსტისა მის წინააღმდეგ კავშირი წარმოიქმნა სწორედ იმის გამო, რომ მას სხვა სახელმწიფოები საფრთხედ აღიქვამდნენ.⁵⁶ მსგავს შეხედულებას ავითარებს მიჩელ შიიპენი: „სახელმწიფოები კავშირში არ შედიან მხოლოდ ძლიერების წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა არსებობდეს საფრთხის აღქმა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის ამერიკის ძლიერება 1945 წლიდან აღარ იწვევდა მათში შიშს, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი აგრესიული ქმედებებით საფრთხეს უქმნიდა მათ“.⁵⁷ ედვინ ფედერი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის მიზეზებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ალიანსი საბჭოთა კავშირიდან აღქმული საფრთხის საპასუხოდ შეიქმნა, ხოლო საფრთხის შეფასება კი საბჭოთა კავშირის შესაძლებლობების და განზრახვების გათვალისწინების საფუძველზე ხდებოდა.⁵⁸ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საფრთხის ადეკვატურად გასაზომად მხოლოდ ძლიერების ცვლადი საკმარისი არ არის. ძლიერება, რათქმაუნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა არა მაინცდამაინც ყველაზე

⁵⁴ Stephen M. Walt, Alliance Formation and Balance of World Power, (*International Security*, Vol. 9. No. 4. 1985. p.9)

⁵⁵ ძლიერება, რომ ერთადერთი კომპონენტი არაა დაბალანსებისა და კავშირების ფორმირების მოტივაციაში ამაზე ეს კონკრეტული შემთხვევაც მიუთითებს. გერმანია ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე კოალიცია, რომელიც მის წინააღმდეგ შეიქმნა. I მსოფლიო ომის წინა პერიოდში ძალთა განაწილების შესახებ იხ. Paul M. Kennedy, *The First World War and International Power System*, (*International Security*, Vol. 9. No. 1. 1984. pp. 7-40)

⁵⁶ Stephen M. Walt, *The Origins of Alliances* (Cornell University Press. 1987. p. 22)

⁵⁷ Michael Sheehan, *The Balance of Power: History and Theory* (New York: Routledge. 1996. p. 55)

⁵⁸ Edwin H. Fedder, *The Concept of Alliance* (*International Studies Quarterly*, Vol. 12, No. 1, March 1968. p. 67)

მნიშვნელოვანი. განვიხილოთ ის ცვლადები, რომელიც საფრთხის ცნების უფრო ზუსტი გაზომვის საშუალებას მოგვცემს. ეს ფაქტორებია (ცვლადები):⁵⁹

ძლიერება: რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ძლიერება პოტენციურად მით უფრო დიდი საფრთხის შემცველია იგი სხვა ქვეყნებისათვის. როდესაც სახელმწიფოს შედარებითი ძლიერება იზრდება, სხვა სახელმწიფოებმა შესაძლოა ეს საფრთხედ აღიქვან. შესაბამისად, სახელმწიფოს შედარებითი ძლიერების ზრდამ შესაძლოა დაბალანსებისა და კავშირის ფორმირების ტენდენციას შეუწყოს ხელი. ასე რომ, ძალთა ბალანსის თეორია ბოლომდე მცდარი არ არის, თუმცა, არასრული კი არის. ძლიერება მხოლოდ ერთ-ერთი და არა მაინცდამაინც ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებს შორის, რაც დაბალანსების ტენდენციას ზრდის.⁶⁰ განსხვავებით უოლცისაგან, რომელიც თვლის, რომ დაუბალანსებელი ძალა, ვინც არ უნდა ფლობდეს მას, საფრთხეა სხვა სახელმწიფოებისათვის,⁶¹ უოლტი მიიჩნევს, რომ ძლიერება საფრთხის აღქმაში მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია.

როგორც ვხედავთ, საფრთხის წონასწორობის თეორიაში ძლიერების ცვლადი გარკვეულ როლს მაინც თამაშობს. ამ შემთხვევაში ლოგიკა დაახლოებით ასეთია: ძლიერება მართალია არა ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა საჭირო ცვლადია საფრთხის გასაზომად, რადგან თუ ქვეყანა იმდენად სუსტია, რომ მას აგრესიული პოლიტიკის თუ მუქარის განსახორციელებლად რესურსები არ გააჩნია, მაშინ იგი

⁵⁹ ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია უოლტის მიერ შემოთავაზებული ცვლადები, რაც მისი განმარტებით, გავლენას ახდენს საფრთხის აღქმის ხარისხზე. თუმცა თეორიული მომჭირნეობის შენარჩუნების მიზნით გამოტოვებულია ერთი ფაქტორი, რასაც უოლტი თავდასხმით შესაძლებლობებს (ფფენსივე ოწერ) უწოდებს. მიზეზი ამ შემთხვევაში მდგომარეობს შემდეგში. პირველი, თავდასხმითი ძლიერება ინკორპორირებულია ზოგადად ძლიერების ცვლადში და მისი ცალკე განხილვა აუცილებლობას არ წარმოადგენს. და მეორე, სახელმწიფოს თავდასხმით და თავდაცვით შესაძლებლობებს შორის განსხვავების აღმოჩენა და ამ ცვლადის გაზომვა რეალურად საკმაოდ რთულია. შესაბამისად, თეორიული თვალსაზრისით ამ ცვლადის დამატება თეორიის ამხსნელობით უნარს ვერ ზრდის და ამავდროულად მას უფრო რთულს ხდის. თავდაცვით და თავდასხმით შესაძლებლობებს შორის განსხვავების აღმოჩენის სირთულეებთან დაკავშირებით იხ. Sean M. Lynn-Jones, *Offense-Defense Theory and its Critics* (*Security Studies*, Vol. 4, No. 4. 1995. pp. 660-691) ასევე, Charles L. Glaser; Chaim Kaufmann, *What is the Offense-Defense Balance and Can We Measure it?* (*International Security*, Vol. 22, No. 4. Spring 1998, pp. 44-82.)

⁶⁰ Stephen Walt, *Keeping the World "Off Balance": Self Restraint and US Foreign Policy* (In: *America Unrivaled: The Future of Balance of Power*. G. John Ikenberry (Ed), Cornell University Press. 2002. p. 134)

⁶¹ Kenneth N. Waltz, *The Balance of Power and NATO Expansion*, (Working Paper 5.66. October 1998. p 1-2)

ნაკლებ საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოებს. მაგალითად, ძლიერი, მაგრამ არა აგრესიული ქვეყანა საფრთხეს არ წარმოადგენს, ისევე როგორც აგრესიული, მაგრამ სუსტი ქვეყანა მცირე საფრთხეა. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ სუსტი ქვეყანა ვის მიმართ არის აგრესიული. თუ სუსტი ქვეყანა ემუქრება დიდ სახელმწიფოს (რაც ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე), მაშინ მუქარის ობიექტი მას დიდ საფრთხედ არ მიიჩნევს. თუმცა, თუკი სუსტი ქვეყანა მისსავე საპირწონეს (სუსტ ქვეყანას) ემუქრება, მაშინ ამ უკანასკნელმა შესაძლოა იგი დიდ საფრთხედ აღიქვას. საფრთხის წონასწორობის თეორიის მთელი არგუმენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ძლიერების ცვლადზე დაყრდნობით შეუძლებელია საფრთხის შეფასება. რადგანაც ძლიერება სახელმწიფომ ორი განსხვავებული მიზნით შეიძლება გამოიყენოს: დაემუქროს სხვა სახელმწიფოს ან არ დაემუქროს, სწორედ აქ იკვეთება იმ დამატებითი ფაქტორების მხედველობაში მიღების აუცილებლობა, რომელიც საფრთხის ადეკვატურად გაზომვის საშუალებას მოგვცემს.⁶²

გეოგრაფიული სიახლოვე: სახელმწიფოები, რომლებიც ახლოს მდებარეობენ, პოტენციურად უფრო დიდ საფრთხეს ქმნიან, ვიდრე სახელმწიფოები, რომლებიც შორსაა. გეოგრაფიული სიახლოვე საფრთხის ხარისხის გაზრდის პოტენციური მექანიზმია. კერძოდ, რაც უფრო ახლოსაა ორი სახელმწიფო ერთმანეთთან, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ისინი ერთმანეთს საფრთხედ აღიქვამენ.⁶³ თუმცა, აქვე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ საფრთხის გაზომვის ეს მხოლოდ ერთი კომპონენტია და სხვა კომპონენტებთან ერთად ქმნის საფრთხეს. მაგალითად, ირანი და ამერიკა ერთმანეთისაგან შორსაა, თუმცა ორივე სახელმწიფოს ერთმანეთის საფრთხის აღქმაში ეს სიმორე ხელს სულაც არ

⁶² ძლიერების და საფრთხის კონცეფციების ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და ანალიზში საფრთხის აღქმის (Threat Perception) მომენტის შემოტანის გამო ბევრმა უოლტის თეორია რეალიზმიდან კონსტრუქტივიზმისაკენ გადახრად ჩათვალა. იხ. Ted Hopf, The Promise of Constructivism in International Relations Theory (*International Security*, Vol. 23, No.1 Summer 1998, pp.186-187), ასევე, Thomas Risse-Kapen, Collective Identity in a Democratic Community: The Case of NATO (In: *The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics*. Peter Katzenstein. (Ed). Columbia University Press. 1996. pp. 360-368), David L. Rousseau, Identifying Threats and Threatening Identities: The Social Construction of Realism and Liberalism, (Stanford University Press. 2006. pp.20- 21)

⁶³ Jakub J. Grygiel, Great Powers and Geopolitical Change (The John Hopkins University Press. 2006. p.17)

უმლის. ასე რომ, არგუმენტი მდგომარეობს დაახლოებით შემდეგში: გეოგრაფიული სიახლოვე ქმნის საფრთხეებისა და ასევე შესაძლებლობების გარკვეულ სტრუქტურას, რომელიც აპრიორი კონფლიქტური ან თანამშრომლობითი ურთიერთობების განმაპირობებელი ვერ იქნება.⁶⁴

აგრესიული განზრახვები: სახელმწიფოები, რომლებიც გამოკვეთილად აგრესიულები არიან პოტენციურად დაბალანსდებიან სხვა სახელმწიფოების მხრიდან. მაგალითად, ალიანსი, რომელიც შეიქმნა გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, განპირობებული იყო გერმანიის აგრესიული ქმედებებით და არა მხოლოდ მისი მატერიალური შესაძლებლობებით. განზრახვების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია მოკავშირეების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.⁶⁵ ამ ცვლადის დამატებით უოლტი აცნობიერებს, რომ მხოლოდ ძალთა განაწილების ფაქტორზე დაყრდნობით შეუძლებელია საფრთხის შემცველი სახელმწიფოს იდენტიფიცირება.⁶⁶

საფრთხის წონასწორობის თეორია (ძირითადი თეორიული დაშვება)

სახელმწიფო კავშირში შედის არა მაინცდამაინც ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს დაბალანსების მიზნით, არამედ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მას. (იმ შემთხვევაში, როცა ეს ორი ცვლადი ერთმანეთს ემთხვევა, კერძოდ, სახელმწიფო ყველაზე ძლიერიცაა და აგრესიულიც, ეს მაინც არ ცვლის ამ დაშვების არსს, რომელშიც მთელი თეორიული სიმძიმე საფრთხეზე მოდის და არა მხოლოდ ძლიერებაზე)

⁶⁴ ამ საკითხის უფრო დეტალური ანალიზისათვის იხ. Harvey Starr; Benjamin A. Most, The Substance and Study of Borders in International Relations Research (*International Studies Quarterly*, Vol. 20, No. 4. Dec., 1976, pp. 584-588)

⁶⁵ Stephen M. Walt, Alliance Formation and Balance of World Power, (*International Security*, Vol. 9. No. 4. 1985. pp. 8-13)

⁶⁶ Michael N. Barnett, Identity and Alliances in the Middle East (In: *The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics*. Peter Katzenstein. (Ed). Columbia University Press. 1996. pp. 403-404)

საფრთხის წონასწორობის თეორიის მიმოხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საფრთხის ადეკვატურად გასაზომად შემდეგი ცვლადების კომბინაცია გვჭირდება: ძლიერება, გეოგრაფიული სიახლოვე და აგრესიული განზრახვები. შემოთავაზებული ცვლადებიდან პირველი ორი (ძლიერება და გეოგრაფიული სიახლოვე) მატერიალური ფაქტორებია და მათი ოპერაციონალიზაცია და გაზომვა არცთუ ისე რთულია. რაც შეეხება, აგრესიული განზრახვების ცვლადს (რომელიც არამატერიალური ცვლადია), მისი ზუსტი გაზომვა საკმაოდ პრობლემატურია. მართალია, ამ ცნების ზუსტი ოპერაციონალიზაცია მარტივი არ არის, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აგრესიული განზრახვები ეს არის (1) აგრესიული განცხადებები, რომელსაც ერთი სახელმწიფოს ლიდერი ან ლიდერები აკეთებენ მეორე სახელმწიფოს მისამართით, და (2) აგრესიული ქმედებები, როცა ერთი სახელმწიფო რეალური ქმედებებით ემუქრება მეორე სახელმწიფოს (იგულისხმება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. მაგალითად, შეზღუდული ან ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების დარღვევა, ეკონომიკური ბლოკადა, სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა სუვერენიტეტის ხელყოფის ან რეჟიმის დამხობის მიზნით და სხვა). აგრესიული განზრახვების ცვლადის სწორედ ამ განსაზღვრებას დაეფუძნება ნაშრომის ემპირიული ნაწილი. ერთ-ერთი გამოსავალი, იმისათვის, რომ შევაფასოთ ამ ცვლადის დამოუკიდებელი როლი, იქნება ვნახოთ, თუ როგორი კორელაციაა აგრესიულ განზრახვებსა და კავშირების წარმოქმნას შორის. იგულისხმება, რომ თუ ცვლადი სწორადაა შერჩეული, მაშინ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის გატარებას უნდა მოყვეს აგრესორის დაბალანსება (კავშირში შესვლა სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან) ან შესაბამისი გარემო-პირობების არსებობის შემთხვევაში მასთან მიტმასნება.

თავი 2

წინასწარი თეორიული ვარაუდები/ჰიპოთეზები

ნაშრომის ამ ნაწილში შემოთავაზებულია ძალთა წონასწორობის თეორიის, ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის და საფრთხის წონასწორობის თეორიის დაშვებების დაკვირვებად ვარაუდებად ფორმულირება. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს ემპირულად გადამოწმდეს, თუ რომელი თეორია ხსნის უკეთესად პატარა ქვეყნების გადაწყვეტილებებს სტრატეგიული მოკავშირეების და დაბალანსება/მიტმასნების სტრატეგიების არჩევასთან დაკავშირებით. ნაშრომის ამ ნაწილში შემოთავაზებულია ის დაკვირვებადი ჰიპოთეზები, რომელთა გადამოწმებაც მოხდება ემპირიული კვლევის საფუძველზე.

ძალთა წონასწორობის თეორიის ვარაუდები/ჰიპოთეზები

H1. სახელმწიფოები კავშირებში შესვლისას ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ან რეგიონულ სისტემაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს დაბალანსების მოტივაციით;

H2. სახელმწიფოები აბალანსებენ საერთაშორისო ან რეგიონული სისტემის ყველაზე ძლიერ აქტორებს სისტემის უფრო სუსტ აქტორებთან კავშირში შესვლის გზით;

H3. რაც უფრო მეტად ხდება ძლიერების კონცენტრაცია სისტემის ერთ რომელიმე სახელმწიფოში, მით უფრო მეტად ეცდებიან სისტემის სხვა აქტორები მზარდი სახელმწიფოს წინააღმდეგ კავშირების ფორმირებას მისი დაბალანსების მიზნით.

ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის ვარაუდები/ჰიპოთეზები

H 4. ეკონომიკური დამოკიდებულება ზღუდავს დამოკიდებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ თავისუფლებას;

H5. რაც უფრო მეტად/ნაკლებად არის ერთი ქვეყანა მეორეზე ეკონომიკურად დამოკიდებული, მით უფრო მეტად/ნაკლებად თავსებადი იქნება ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები;

H6. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილება დამოკიდებულია მისი სხვა სახელმწიფოზე ეკონომიკური დამოკიდებულების მოცულობის ცვლილებაზე. შესაბამისად, რაც უფრო იზრდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზღუდება დაქვემდებარებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი და პირიქით, რაც უფრო მცირდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზრდება დაქვემდებარებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი;

საფრთხის წონასწორობის თეორიის ვარაუდები/ჰიპოთეზები

H7 სახელმწიფოები კავშირებში შესვლისას არ ხელმძღვანელობენ სისტემაში ძლიერების (საერთაშორისო სისტემაში ან რეგიონში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს) დაბალანსების მოტივაციით, არამედ მათი მთავარი საზრუნავი იმ სახელმწიფოს დაბალანსებაა, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მათ;

H8 საგარეო საფრთხის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო კავშირს შეკრავს სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან საფრთხის წყაროს დაბალანსების მიზნით;

ჰიპოთეზები პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში დაბალანსება/მიტმასნების სტრატეგიებთან დაკავშირებით:

H 9. პატარა ქვეყნები უფრო მეტად ირჩევენ საფრთხის წყაროს დაბალანსების, ვიდრე მასთან მიტმასნების სტრატეგიას;

მიტმასნების სტრატეგიის არჩევის ალბათობა იზრდება შემდეგი გარემო-პირობების არსებობის შემთხვევაში:

H.10. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ იგი მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს;⁶⁷

H 11 სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს მაშინ, როცა მოკავშირეები არ ყავს, სხვა არჩევანი არ აქვს;

H 12 სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს მაშინ, როცა თვლის, რომ მისი ამ ნაბიჯით საფრთხის წყაროს დააშოშმინებს.

მას შემდეგ რაც განვსაზღვრეთ ძირითადი თეორიული დაშვებები და ცნებები, ასევე განვიხილეთ ალტერნატიული თეორიების მთავარი არგუმენტები და მოვახდინეთ წინასწარი ვარაუდების ფორმულირება, მთავარი ამოცანა, რომელიც შესასრულებელი დაგვრჩა არის ვნახოთ, თუ რამდენად ადასტურებს ნაშრომის

⁶⁷ სუსტ სახელმწიფოში ვგულისხმობ არა მხოლოდ პატარა ქვეყანას (Small Power), არამედ ქვეყანას, რომელიც როგორც სახელმწიფოც სუსტია. იხ. ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში (თბილისი. 2003), ასევე სუსტი სახელმწიფოს (Weak State) დეფინიციისათვის იხ. რევაზ ბახტაძე, გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში (ბტკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი. 2007. გვ. 15-35)

ემპირიული ნაწილი შემოთავაზებულ ჰიპოთეზებს.⁶⁸ კვლევის დარჩენილი ნაწილი სწორედ ამ ამოცანის ირგვლივ გაიშლება.

ემპირიული ნაწილი⁶⁹

თავი 3

საქართველოს საგარეო პოლიტიკა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში რამდენიმე ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს. პირველი ეტაპი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლიდან და დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან იწყება და 1992 წლამდე გრძელდება.* მეორე ეტაპი ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას და საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას ემთხვევა და 2003 წლამდე გრძელდება. თუმცა, მკვლევართა

⁶⁸ ძალთა და საფრთხის წონასწორობის თეორიების ვარაუდების გრაფიკული ილუსტრაციისთვის იხ. დანართი 6. გვ.128

⁶⁹ კვლევის ემპირიული ნაწილი ძირითადად ეფუძნება ავტორის 2008 წლის პუბლიკაციას. იხ. გიორგი გვალია, ძალთა წონასწორობა თუ საფრთხის წონასწორობა? ალიანსები სამხრეთ კავკასიაში (ბთკკ-ს პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, წიგნი 4, 2008)

* ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ განიხილავს მკვლევართა გარკვეული ნაწილი ამ პერიოდის საქართველოს საგარეო ურთიერთობებს ცალკე პერიოდად, ესეც გახლავთ. თუმცა შემოთავაზებულ ნაშრომში განზოგადებული სახით მაინც ხდება ამ პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხილვა და ანალიზი. საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხდება. ამასთან დაკავშირებით იხილეთ. ალ. რონდელი. დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი (ახალი აზრი, ნომერი 3, ნოემბერ-დეკემბერი 2001. გვ 9.)

გარკვეული ნაწილი შევარდნაძის მმართველობის პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ასევე ორ ქვე-პერიოდს გამოყოფს. პირველი, 1992-1995 წლები, როდესაც ქვეყანამ წააგო ომი აფხაზეთში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ) შეურთდა. მეორე ქვე-პერიოდის დაწყება 1995 წელს კონსტიტუციის მიღებას ემთხვევა და 2003 წლამდე გრძელდება. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მესამე ეტაპი 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლების შეცვლით და პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევით იწყება და დღევანდელ დღემდე გრძელდება.

3.1. 1991-1992 წლები - გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოს საგარეო ურთიერთობებს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა. მათ შორის განსაკუთრებით სამი ფაქტორის გამოყოფაა შესაძლებელი: პირველი, თავად ზვიად გამსახურდია და მისი დამოკიდებულება, როგორც საგარეო, ასევე შიდა პოლიტიკისადმი. მეორე, პოლიტიკური ვითარება ქვეყნის შიგნით. და მესამე, საქართველოსათვის იმ პერიოდში არასასურველი გეოპოლიტიკური რეალობა, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი მეზობელი რუსეთის ფედერაცია იყო.

როგორც აღინიშნა, გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ერთეული ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. მკვლევართა გარკვეული ნაწილის შეხედულებით, ამ პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკა ნაკლებად ემყარებოდა სტრატეგიულ გათვლებს და არსებული გეოპოლიტიკური ვითარების ადეკვატურ შეფასებას და ე.წ. „სტრატეგიული იდეალიზმით“

გამოირჩეოდა.⁷⁰ გამსახურდიას მმართველობის პერიოდი, როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში, ე.წ. პოპულიზმის ფენომენით ხასიათდებოდა.⁷¹ პოლიტიკისადმი პოპულისტურმა დამოკიდებულებამ ორი ურთიერთსაპირისპირო და უმწიფარი დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ფენომენი წარმოაჩინა. პირველი, გამსახურდიას პოპულიზმით განმსჭვალულმა დამოკიდებულებამ როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკისადმი თავდაპირველ ეტაპზე მას საშუალება მისცა ხალხის დიდი მხარდაჭერა მოეპოვებინა. და მეორე, მკვლევართა გარკვეული ნაწილის შეხედულებით მის მიერ გამოყენებულმა მართვის მეთოდებმა მალევე მიიყვანა ქვეყნის იმდროინდელი ადმინისტრაცია ავტორიტარიზმამდე.⁷² რონალდ გრიგორ სუნის შეხედულებით, გამსახურდიას მზარდმა ავტორიტარიზმმა არა მხოლოდ ეთნიკურად არაქართველების, არამედ ეროვნული მოძრაობის ბევრი ლიდერის გაუცხოებასაც შეუწყო ხელი.⁷³

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ნიშას გამოუცდელია წარმოადგენდა, გამსახურდიას პერიოდშიც იყო საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრის მცდელობები.⁷⁴ სულ მცირე ერთი ასეთი პრიორიტეტის გამოყოფაა შესაძლებელი. ეს იყო იმდროინდელი საქართველოს მცდელობა გამიჯვნოდა რუსეთს და სხვა სახელმწიფოების მხარდაჭერა მოეპოვებინა.⁷⁵ ამ მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც მოხდა. გამსახურდია შეეცადა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა მოეპოვებინა და 1990 წლის მარტში ვაშინგტონში ამ მიზნით თავისი წარმომადგენელიც კი გააგზავნა. თუმცა, ამ ვიზიტს ხელშესახები

⁷⁰ ალ. რონდელი, დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი (*ახალი აზრი*, ნომერი 3, ნოემბერ-დეკემბერი, 2001. გვ. 5)

⁷¹ Stephen Jones, *The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy*. (In: *Ideology and National Identity in Post-Soviet Foreign Policies*. Rick Fawn (Ed), Frank Cass Publishers. 2004. pp. 83-110)

⁷² საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები (რედ. გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტაბახი, CIPDD. 2006. გვ. 12)

⁷³ Ronald Grigor Suny, *Provisional Stabilities: The Politics of Identities in Post-Soviet Eurasia*, (*International Security*, Vol. 24, No.3. Winter, 1999-2000. p.163)

⁷⁴ ალ. რონდელი, დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი (*ახალი აზრი*, ნომერი 3, ნოემბერ-დეკემბერი, 2001. გვ. 8)

⁷⁵ იქვე . . .

შედეგები არ მოჰყოლია.⁷⁶ გამსახურდიას მმართველობის პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკა ასევე იმ ფაქტითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მიუხედავად რუსეთის ზეწოლისა, რომელიც ერთი მხრივ, სეპარატისტული მოძრაობების, ხოლო მეორე მხრივ, მისი შიდა ოპონენტების მხარდაჭერაში გამოიხატებოდა, იგი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანების გადაწყვეტილებას არ იღებს.

3.2. 1992-1995 - შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის პირველი ეტაპი - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანება

1992 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე ბრუნდება. მისი დაბრუნების შემდეგ განხორციელდა საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლიდან 12 თვის განმავლობაში დსთ-ში შესვლამდე და სოხუმის დაცემამდე, რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებისადმი წინააღმდეგობით გამოირჩეოდა.⁷⁷ მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე შევარდნაძის პოლიტიკა დსთ-სთან მიმართებაში რადიკალურად არ განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან, იგი, ჰელენა ფრეზიერის შეხედულებით, უფრო პრაგმატულ სტილში საუბრობდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე.⁷⁸ თუმცა, შევარდნაძე აგრძელებდა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების მოთხოვნისადმი წინააღმდეგობას და დღის წესრიგში საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანის საკითხიც კი დააყენა. იმ პერიოდში შევარდნაძე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ

⁷⁶ რევაზ ბახტაძე, გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში (ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია, თბილისი, 2007, გვ 57)

⁷⁷ Helena Frazer, A Case of Bandwagoning? Georgian Foreign Policy and Relations With Russia. (University of Oxford. MPhil in International Relations. 1997. p. 16)

⁷⁸ იქვე . .

დსთ-ში პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაცია საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.⁷⁹

ამავე პერიოდში რუსეთის ძალადობრივი დიპლომატია რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. პირველი, რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში მხარს სეპარატისტებს უჭერდა. რუსეთის მიერ აფხაზეთის კონფლიქტში სეპარატისტების მხარეზე მონაწილეობის გამო შევარდნაძე ამ კონფლიქტს ღიად უწოდებდა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტს.⁸⁰ მეორე სტრატეგია იყო ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც საქართველოსათვის ბუნებრივი აირის მიწოდებისა და სატელეფონო კავშირების შეწყვეტით განხორციელდა. ასევე რუსეთმა უარი უთხრა საქართველოს კრედიტების გამოყოფაზე, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებს კრედიტების აღების უფლება მისცა. და მესამე, შევარდნაძეს სერიოზული ეჭვები ქონდა, რომ რუსეთი სამხედრო მხარდაჭერას ზვიად გამსახურდიას მომხრეებსაც უწევდა.

რუსეთი ასევე მხარს უჭერდა სეპარატისტებს „სამხრეთ ოსეთში“, სადაც კონფლიქტმა ესკალაციას 1991-1992 წლებში მიაღწია.⁸¹ ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი ღიად საუბრობდა ამ კონფლიქტში რუსეთის ინტერესებზე და იმასაც ამბობდა, რომ რუსეთი პირდაპირ იყო ჩართული სამხედრო მოქმედებებში. ანალიტიკოსთა მეორე ნაწილი კი ამ კონფლიქტში რუსეთის პირდაპირ მონაწილეობას სადავოდ მიიჩნევდა და ამას ხსნიდა იმ ფაქტით, რომ იმ პერიოდში, როცა კონფლიქტი დაიწყო, რუსეთის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ჯერ კიდევ სათანადოდ ფორმულირებული არ იყო.⁸² თუმცა 1992 წლის მაის-ივნისში უკვე შესამჩნევი გახდა რუსეთის დაინტერესება საქართველოს ამ რეგიონში მიმდინარე პროცესებით. კერძოდ, რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა და ვიცე-

⁷⁹ იქვე. . .

⁸⁰ Jonathan Aves, *The Caucasus States: The Regional Security Complex*, (In: *Security Dilemmas in Russia and Eurasia* Eds. Roy Allison and Christoph Bluth. London: RIIA, 1998, p. 180)

⁸¹ Edgar O, Balance, *Wars in the Caucasus* (New York University Press. 1997. p.117)

⁸² Svante E. Cornell, *Small Nations and Great Powers: A study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus* (Routledge Curzon. 2001. p. 346.)

პრეზიდენტმა ალექსანდრე რუცკოიმ წამოიწყეს საუბარი „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან მიერთების საკითხთან დაკავშირებით.⁸³ ხასბულატოვის განცხადებით, „რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რომ მან არ დაუშვას მისი მოქალაქეების უფლებების დარღვევა“⁸⁴ ამ განცხადებაში რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე „სამხრეთ ოსეთს“ მოიაზრებდა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებსაც, რუსეთის მოქალაქეებად მიიჩნევდა. კიდევ უფრო მეტი, ხასბულატოვი შევარდნაძეს თბილისის დაბომბვითაც დაემუქრა, იმ შემთხვევაში თუ ქართული მხარე სამხედრო მოქმედებებს არ შეწყვეტდა „სამხრეთ ოსეთში“.⁸⁵

მეზობელ სახელმწიფოსთან დამაბული ურთიერთობების ფონზე შევარდნაძე ე.წ. „ორი რუსეთის“ პოლიტიკას ატარებდა. იგი თვლიდა, რომ პასუხისმგებელი რუსეთის მხრიდან შექმნილ ვითარებაზე არა ელცინი და საპრეზიდენტო აპარატში მყოფი „დემოკრატები“ იყვნენ, არამედ უზენაესი საბჭო და განსაკუთრებით სამხედროები. ამავე პერიოდში საქართველო რუსეთში შიდა პოლიტიკური დაპირისპირების ცენტრში იმყოფებოდა და დროთა განმავლობაში აშკარად იკვეთებოდა, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გასაღები რუსი სამხედროების ხელში იყო.⁸⁶

შევარდნაძის ხელისუფლება დასავლეთიდან ელოდა დახმარებას სამოქალაქო და ეთნიკურ ომებში გახვეული ქვეყნის პრობლემების გადასაჭრელად და შესამსუბუქებლად. თუმცა რაკი ამ იმედმა არ გაამართლა შევარდნაძე ნელ-ნელა დაადგა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას.⁸⁷ 1993 წლის 27 სექტემბერს შიდა და საგარეო დამაბულობის ფონზე შევარდნაძე რუსეთის პრეზიდენტს, ბორის ელცინს უგზავნის ტელეგრამას და თანხმდება საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას. მოგვიანებით შევარდნაძე ამ გადაწყვეტილებას აღწერდა, როგორც „საქართველოს

⁸³ იქვე

⁸⁴ იქვე

⁸⁵ იქვე

⁸⁶ Jonathan Aves, National Security and Military Issues in the Transcaucasus: The Cases of Georgia, Azerbaijan and Armenia (In: State Building and Military Power in Russia and the New States of Eurasia, Bruce Parrott (Ed), M.E. Sharpe. Inc. 1995. p. 226)

⁸⁷ David Darchiashvili, Georgia in the South Caucasus Regional Context (Building Democracy in Georgia, Discussion Paper 12, May 2003. p. 8)

დაჩოქებას“.⁸⁸ ამ გადაწყვეტილებას მოყვა საქართველოში ოთხი რუსული სამხედრო ბაზის ჩამოყალიბება და 1994 წლის მარტში რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა „მეგობრობის, მეზობლობისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულებას.⁸⁹ ამავე პერიოდში რუსეთის მთავრობა სანქციების სერიას წამოიწყებს აფხაზეთის წინააღმდეგ, რაც აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრისა და სოხუმის აეროპორტის დახურვით გამოიხატა.⁹⁰

ბევრი ანალიტიკოსის მიერ შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება შეფასდა როგორც კაპიტულაცია საფრთხის წყაროსთან. თუმცა, თუ ამ გადაწყვეტილების უფრო დეტალურ ანალიზს მოვახდენთ აღმოვაჩენთ, რომ მიტმასნების არჩევანი ბოლომდე ნეგატიური გაგებით არ უნდა განვიხილოთ. კერძოდ, დსთ-ში შესვლა შევარდნაძემ ორი მიმართულებით გამოიყენა. პირველი, მან დააშოშმინა საგარეო აგრესორი და მეორე, ამავე საგარეო აქტორის გამოყენებით შეძლო სახელმწიფოში შედარებითი სტაბილურობის დამყარება და საკუთარი რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა.⁹¹

დსთ-ში შესვლა საფრთხის წყაროსთან მიტმასნების კლასიკური შემთხვევა იყო. ლოგიკური იქნება ვიკითხოთ: მართლდება თუ არა ნაშრომის თეორიულ ნაწილში შემოთავაზებული დაშვებები მიტმასნების სტრატეგიასთან მიმართებაში? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის ძირითადი თეორიული ვარაუდები, რომელიც მიტმასნებასთან მიმართებაში გამოითქვა. საგარეო საფრთხის წყაროსთან მიტმასნება ნაკლებად სასურველი არჩევანია ქვეყნისთვის. შესაბამისად, სწორედ ეს ხსნის გამსახურდიას და შევარდნაძის თავდაპირველ უარყოფით დამოკიდებულებას დსთ-ში გაწევრიანების

⁸⁸ Jonathan Wheatley, *Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union* (Free University, Germany. 2004. p.84.)

⁸⁹ Ted Hopf, *Identity, Legitimacy and the Use of Military Force: Russia's Great Power Identities and Military Intervention in Abkhazia. (Review of International Studies. Vol 31. 2005. p.229)*

⁹⁰ Dov Lunc, *Russian Peacekeeping Strategies in the CIS: The Case of Moldova, Georgia and Tajikistan* (London, Macmillan. 2000. p. 141)

⁹¹ ob. Helena Frazer, *A Case of Bandwagoning? Georgian Foreign Policy and Relations With Russia. (University of Oxford. MPhil in International Relations. 1997.)* ასევე, რევაზ ბახტაძე, *გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში (ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია, თბილისი, 2007)*

საკითხისადმი. თუ მივუბრუნდებით კვლევის თეორიულ ნაწილში გამოთქმულ მოსაზრებებს მიტმასნების სტრატეგიასთან მიმართებაში, აღმოვაჩენთ, რომ წინასწარი ვარაუდები/ჰიპოთეზები მიტმასნებასთან მიმართებაში გამართლდა. სახელმწიფო მაშინ ირჩევს მიტმასნების სტრატეგიას, როცა (1) სუსტია, (2) როცა სხვა მოკავშირე, რომელიც საფრთხის დაბალანსებაში დაეხმარება, არ ყავს, (3) როცა თვლის, რომ საფრთხის წყარო დაშოშმინებადია. 1992 წლის საქართველოს შემთხვევაში სამივე წინაპირობა არსებობდა. პირველი, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველო სუსტ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ბრუნო კოპიტერსის შეხედულებით 1990-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველო იყო არა უბრალოდ სუსტი სახელმწიფო, არამედ იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებისა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე სისუსტის სუბკატეგორიაში ჩაიძირა, რაც „არშემდგარი სახელმწიფოს სახელითაა ცნობილი“.⁹² ასევე მართლდება მეორე თეორიული დამკვირვება მიტმასნებასთან მიმართებაში: სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას მაშინ ირჩევს, როცა სხვა მოკავშირეები არ ყავს და სხვა არჩევანი არ აქვს. აფხაზეთში ომის მიმდინარეობისას შევარდნაძემ წერილობით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს კონფლიქტის ზონაში გაეროს სამშვიდობო ძალების განთავსების შესახებ, თუმცა პასუხი გაეროდან იყო, რომ ჯერ ამგვარი პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი დრო არ იყო დამდგარი.⁹³ ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ 1990-იანი წლების შუახანებამდე ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოკვეთილი და თანმიმდევრული პოლიტიკა ზოგადად რეგიონთან მიმართებაში არ ქონდათ შემუშავებული. ამის მიზეზად ზეინო ბარანი ასახელებს იმ ფაქტს, რომ ამერიკაში პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად იცნობდა რეგიონს.⁹⁴ სვანტე კორნელის შეხედულებით 1991-1994 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების აქტიურ ჩართვას სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, მრავალ ფაქტორთან ერთად (მათ შორის როგორც იყო ბალკანეთსა

⁹² ბრუნო კოპიტერსი, საქართველოს უსართხოების მოდელი: ცენტრი-პერიფერია (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ, ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლეგვოლდი (რედ) თბილისი, 2006. გვ. 447-448)

⁹³ Edgar O, Balance, Wars in the Caucasus (New York University Press. 1997. p. 127)

⁹⁴ Zeyno Baran, The Caucasus: Ten Years after Independence (*The Washington Quarterly*, 25:1, Winter 2002. p. 222)

და სომალიში განვითარებული მოვლენები) იმ ფაქტმაც შეუშალა ხელი, რომ ვაშინგტონი ჯერ კიდევ არ მიიჩნევდა, რომ მას მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესები ქონდა რეგიონთან მიმართებაში.⁹⁵ ამ მხრივ დევიდ მარკი ბევრად უფრო შორს მიდის და თვლის, რომ სამხრეთ კავკასია დასავლეთის მიერ ძირითადად იგნორირებული იყო მთელი ბოლო 300 წლის განმავლობაში, გარდა უმნიშვნელო ყურადღებისა ყირიმისა და მსოფლიო ომების პერიოდში.⁹⁶ როგორც ჩანს, წინასწარი თეორიული ვარაუდები მიტმასნებასთან მიმართებაში გამართლდა. საქართველო, რომელიც მთელი იმ პერიოდის განმავლობაში იყო სუსტი სახელმწიფო, რომელსაც სხვა მოკავშირე არ ყავდა და რომელიც თვლიდა, რომ დსთ-ში გაწევრიანებით, შეძლებდა აგრესორის დაშოშმინებას, მიტმასნების სტრატეგიას ირჩევს.

თუმცა, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან სურათი ერთგვარად იცვლება. თუ 1995 წლამდე რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაში ძირითადად ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტი ზღუდავდა, 1995 წლიდან რეგიონში რუსეთს აშკარა კონკურენტები გამოუჩნდა დასავლეთის სახელმწიფოების სახით.⁹⁷

3.3. 1995-2003 - შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის მეორე ფაზა

1995 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დაწყება კონსტიტუციის მიღებას და ქვეყნის შიგნით შედარებითი სტაბილურობის

⁹⁵ Svante Cornell, US Engagement in the Caucasus: Changing Gears (*Helsinki Monitor*, 2005 No. 2. p.111)

⁹⁶ David E. Mark, Eurasia Letter: Russia and the New Transcaucasus (*Foreign Policy*, No 105. Winter 1996-1997. pp. 153)

⁹⁷ ჯაბა დევდარიანი, საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისკენ (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ, ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლეგვოლდი (რედ) თბილისი, 2006. გვ. 224)

უზრუნველყოფას ემთხვევა.⁹⁸ ალექსანდრე რონდელი მიიჩნევს, რომ 1995 წლიდან, მიუხედავად რუსეთის ზეწოლისა და აფხაზეთსა და “სამხრეთ ოსეთში” მოუგვარებელი კონფლიქტებისა, საქართველო მაინც ახერხებს პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის აღებას.⁹⁹ ამ პერიოდიდან მოყოლებული შევარდნაძე ააქტიურებს დიპლომატიას დასავლეთთან მიმართებაში. 1995 წლის თებერვალში შევარდნაძე დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ფარგლებში ხვდება დედოფალ ელიზაბედ II-ს, პრემიერ მინისტრ ჯონ მეიორს და სხვა პოლიტიკოსებს. ამავე შეხვედრის ფარგლებში საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხდება „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ დეკლარაციის დადება.¹⁰⁰ ასევე აქტიურდება საქართველოს ურთიერთობები ნატოსთან, რაც საბოლოო ჯამში ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PFP) პროგრამაში ჩართვით გამოიხატა. ამავე პროგრამის ფარგლებში საქართველოს 1997 წლის თებერვალში ნატოს გენერალური მდივანი, ხავიერ სოლანა ეწვია. იგი პირისპირ, დახურულ კარს მიღმა ესაუბრა ედუარდ შევარდნაძეს და საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს.¹⁰¹ ასევე, საგარეო პოლიტიკის ამ მეორე პერიოდს ემთხვევა საქართველოს შესვლა ევროპის საბჭოში (1999წ), რაც საქართველოს ევროპული ორიენტაციის მნიშვნელოვან აღიარებად შეფასდა.¹⁰² 1999 წლის აპრილში საქართველომ, აზერბაიჯანთან და უზბეკეთთან ერთად, უარი განაცხადა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში მონაწილეობის გაგრძელებაზე.¹⁰³ უკვე 2002 წლის ნოემბერში ნატოს პრადის სამიტზე შევარდნაძე საჯაროდ აცხადებდა მისი ქვეყნის სურვილზე გაწევრიანებულიყო ალიანსში.¹⁰⁴

⁹⁸ რევაზ ბახტაძე, გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში (ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია, თბილისი, 2007, გვ. 63)

⁹⁹ ავტორის ინტერვიუ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტთან, ალექსანდრე რონდელთან. თბილისი. 12. 05. 2008.

¹⁰⁰ The Georgian Chronicle (*Monthly Bulletin*, Vol.4. No. 2. February. 1995.)

¹⁰¹ The Georgian Chronicle (*Monthly Bulletin*, February. 1997.)

¹⁰² საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები (რედ. გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტაბაი, CIPDD. 2006. გვ. 41)

¹⁰³ Khatuna Giorgadze, Russia: Regional Partner or Aggressor? (*The Review of International Affairs*, Vol 2. No. 1 Autumn 2002. p. 68)

¹⁰⁴ Eric A. Miller, Smelling the Roses: Eduard Shevardnadze's End and Georgia's Future (*Problems of Post-Communism*, Vol. 51, No. 2, March/April 2004, p. 12)

1995 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მთავარ ამოცანას საგარეო საფრთხის, რუსეთის დაბალანსება წარმოადგენდა. ამ მიზნის მიღწევას შევარდნაძე დასავლეთისაგან უსაფრთხოების გარანტიების მიღებით ცდილობდა, რაც კასპიის ნავთობის მიმართ დასავლეთის სახელმწიფოების, უფრო კონკრეტულად კი ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესის ზრდის პროცესს ემთხვეოდა.¹⁰⁵ ამავე პერიოდში ამერიკის მხარდაჭერით იწყება ორი ნავთობსადენის - ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების პროექტების განხორციელება.¹⁰⁶

მთელი ეს პერიოდი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ერთგვარი დამაბულობით გამოირჩეოდა. თუმცა ამ დამაბულობამ პიკს ჩეჩნეთის მეორე სამხედრო კამპანიის დაწყებისას მიაღწია. ოქსანა ანტონენკო თვლის, რომ განსხვავებით ჩეჩნეთის პირველი ომისაგან, რომელმაც რუსეთ-საქართველოს პოზიციები ერთმანეთს დაახლოვა, მეორე ომმა, პირიქით, მათ შორის არსებული კრიზისის გაღრმავებას შეუწყო ხელი, რომელმაც პიკს 2002 წლის ზაფხულში პანკისში განვითარებული მოვლენების შედეგად მიაღწია.¹⁰⁷

3.3.1 პანკისის კრიზისი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პანკისის მოვლენების განხილვა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების ფონზე მოხდეს. ნიუ-იორკში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესება სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ მხოლოდ ნავთობის ფაქტორით აღარ შემოიფარგლება და უკვე ამერიკა რეგიონს განიხილავდა როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ახლო

¹⁰⁵ჯაბა დევდარიანი, საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისაკენ (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ. ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლეგვოლდი (რედ) თბილისი. 2006. გვ. 223)

¹⁰⁶ იქვე . . .

¹⁰⁷ოქსანა ანტონენკო, გაყინული გაურკვევლობა: რუსეთი და კონფლიქტი აფხაზეთის ირგვლივ. (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ. ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლეგვოლდი. (რედ) თბილისი. 2006. გვ. 301)

აღმოსავლეთისა და ანტი-ტერორისტულ პოლიტიკაში.¹⁰⁸ ამავე პერიოდს ემთხვევა ანტი-ტერორისტულ კამპანიაში რუსეთის მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რაც 2002 წელს პუტინსა და ბუშს შორის დეკლარაციის¹⁰⁹ გაფორმებით დაგვირგვინდა, სადაც ორივე პრეზიდენტი აღიარებდა მათ საერთო ინტერესს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში სტაბილურობის და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.¹¹⁰ თუმცა, სულ მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტორის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის, ჩეჩნეთთან და პანკისტან მიმართებაში გეგმავდა.¹¹¹

1999-2000 წლებში დაახლოებით 7000 ჩეჩენმა ლტოლვილმა შეაღწია პანკისტანის ხეობაში.¹¹² მოსკოვი გამუდმებით ამტკიცებდა, რომ მშვიდობიანი მოქალაქეების გარდა ხეობაში ჩეჩენი ტერორისტებიც იმყოფებოდნენ. რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი იმასაც კი ვარაუდობდა, რომ ხეობას ოსამა ბინ-ლადენი აფარებდა თავს.¹¹³ ამის შედეგად არაერთხელ იქნა დარღვეული საქართველოს საჰაერო სივრცე რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ამბობდა, რომ რაკი საქართველოს არ შესწევდა ძალა პანკისტანში წესრიგი დაემყარებინა, მაშინ ტერორიზმის ამ „ბუდის“ განადგურება რუსეთის სამხედრო ჩარევის გზით უნდა მომხდარიყო.¹¹⁴ რუსეთთან გაურესებული ურთიერთობების ფონზე, როდესაც საფრთხე რუსეთის მხრიდან რეალური იყო, შევარდნაძე

¹⁰⁸ Brenda Shaffer, US Policy (In: The Caucasus: Challenge for the EU. Chaillot Papers. No. 65. December 2003. p.57)

¹⁰⁹ დეკლარაციის სრული ტექსტი იხ. <http://www.whitehouse.gov/news/releases/2002/05/20020524-2.html>

¹¹⁰ Taras Kuzio, CIS States Confront Questions Concerning Strategic Alignments (*Eurasia Insight*, 07/01/02 <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav070102.shtml>).

¹¹¹ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ პრეზიდენტი პუტინი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც ესაუბრა ამერიკის პრეზიდენტს და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერა აღუთქვა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამ მანევრთან მიმართებაში იხ. John O'Loughlin, Gearid Tuathail, Vladimir Kolossov, A 'Risky Westward Turn'? Putin's 9-11 Script and Ordinary Russians (*Europe-Asia Studies*, Vol. 56, No. 1. Jan., 2004, pp. 3-34.)

¹¹² Tracey C. German, The Pankisi Gorge: Georgia's Achilles' Heel in its Relations with Russia? (*Central Asian Survey*, 23(1), March 2004. p. 30)

¹¹³ Andrew McGregor, Ricin Fever: Abu Musab Al-Zarqawi in the Pankisi Gorge (*Terrorism Monitor*, Vol. 2, Issue 24, December 16. 2004. p. 11)

¹¹⁴ Ian Traynor. Russia Angry at U.S. War Plan for Georgia. (*The Guardian*, February 22. 2002) <http://www.guardian.co.uk/international/story0,3604,654020,00.html>.

აქტიურებს მის დიპლომატიას დასავლეთთან მიმართებაში და სპეციალურ სამთავრობო კომისიას ავალებს 2002 წლის ნოემბრისათვის პროგრამის მომზადებას, ნატოს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ინტეგრაციისათვის.¹¹⁵ თითქმის ამავე პერიოდში პუტინი აკეთებს განცხადებას, რომ იგი მზადაა საქართველოს „დაეხმაროს“ და ერთობლივი, ქართულ-რუსული სამხედრო ოპერაცია განახორციელოს პანკისის ხეობაში ტერორისტების განეიტრალების მიზნით. თუმცა, ქართულმა მხარემ რუსეთის ეს შემოთავაზება უარყო და განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი იყო რომელიმე საგარეო ძალის ჩარევისა პანკისის საკითხებში.¹¹⁶ შევარდნაძე კი, პირიქით, პანკისის კრიზისის პირობებში დახმარებას ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვს.¹¹⁷ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოში ე.წ. წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამის წამოწყება, რომლის ფარგლებშიც ქართული ჯარის გაწვრთნის მიზნით დაახლოებით 200-მდე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორის ჩამოვიდა საქართველოში. რუსეთის უარყოფითმა რეაქციამ ამ ფაქტზე პირველი ბზარი გამოაჩინა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის პოსტ 9-11 პერიოდის მეგობრობაში.¹¹⁸ თუმცა, რუსეთი იძულებული გახდა შეგუებოდა ამერიკელი სამხედროების საქართველოში ჩამოსვლას. აცნობიერებდა, რა რომ აგრესიულ პოლიტიკას ამ ეტაპზე ვეღარ გააგრძელებდა, რუსეთმა უკან დაიხია. 2002 წლის ოქტომბერში შევარდნაძე და პუტინი იმაზეც კი შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობების ნორმალიზება უნდა მოეხდინათ.¹¹⁹

შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება საგარეო აგრესორის დაბალანსების მცდელობის კლასიკური შემთხვევა იყო. ამ შემთხვევას კარგად ხსნის საფრთხის წონასწორობის თეორია. განსხვავებით დსთ-საგან, როდესაც საქართველომ საფრთხის წყაროსთან შეკრა კავშირი, პანკისის კრიზისის პირობებში

¹¹⁵ Tracey C. German, Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and the USA (Conflict Studies Research Center. January 2004. p. 3)

¹¹⁶ იქვე . . . გვ. 4

¹¹⁷ RFE/RL Newslines, 20,25, 27 February 2002.

¹¹⁸ Thomas De Vaal, Reinventing the Caucasus (*World Policy Journal*, Vol. XIX, No. 1, Spring 2002. p. 55)

¹¹⁹ Putin, Shevardnadze Soften Russia-Georgia Discrepancies (*RFE/RL Security Watch*, Vol. 3 No. 35, October 8. 2002)

საქართველომ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ დაბალანსების სტრატეგია აირჩია. ამის მიზეზი რამდენიმეა. პირველი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ პერიოდშიც სუსტ სახელმწიფოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, პოლიტიკური სიტუაცია ქვეყნის შიგნით ბევრად უფრო სტაბილური იყო, ვიდრე 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. და მეორე, განსხვავებით დსთ-ში გაწევრიანების პერიოდისა, 2002 წელს ამერიკის ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში გამოკვეთილი იყო და საქართველოს ყავდა მოკავშირე, რომელიც მას საგარეო საფრთხის დაბალანსებაში დაეხმარებოდა. და ბოლოს, თუ დავაპირისპირებთ ერთმანეთს ძალთა წონასწორობისა და საფრთხის წონასწორობის თეორიებს, ამ უკანასკნელის უპირატესობა სახეზეა. საქართველომ უფრო სუსტი, გეოგრაფიულად ახლოს მდებარე და აგრესიული სახელმწიფოს დაბალანსება ამჯობინა, უფრო ძლიერი და გეოგრაფიულად შორს მყოფი სახელმწიფოს მეშვეობით.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის შეხედულებით შევარდნამემ მისი მმართველობის ბოლო წელს კიდევ ერთხელ სცადა საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება რუსეთის სასარგებლოდ.¹²⁰ თუმცა ეს მცდელობა ისეთი აშკარა არ ყოფილა, როგორც ადრეულ წლებში. საგარეო პოლიტიკური კურსის ამ ცვლილებას ბრუნო კოპიტერსი ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილებას უკავშირებს. 2003 წელს ქვეყანაში დაწყებული შიდა პოლიტიკური კრიზისის პირობებში ამერიკამ მისი სიმპათიები აშკარად „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლების სასარგებლოდ მიმართა.¹²¹

¹²⁰ თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროს მკვლევარს, ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს: “რაც შეეხება შევარდნამის შემობრუნებას ვერ დაგეთანხმებით, რადგან მის დროს ქვეყანა იყო უფრო სუსტი და ობიექტურად თუ სუბიექტურად ვალდებული იყო ლავირება გაეკეთებინა, რადგან ქანქარისებულია ამ დროს სიტუაცია. თუ დააკვირდებით ხან თითქოს რუსეთისკენ არის და ხან დასავლეთისკენ, მაგრამ რეალურად ეს კურსი დასავლეთისკენ იყო” ავტორის ინტერვიუ არჩილ გეგეშიძესთან. თბილისი. 23.03.2011

¹²¹ ბრუნო კოპიტერსი, საქართველოს უსაფრთხოების მოდელი: ცენტრი-პერიფერია (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ. რედ. ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლოგველდი. თბილისი. 2006. გვ. 497)

შევარდნაძის მიერ რუსეთისაკენ მზერის მიპყრობა შეიძლება ითქვას, რომ ანომალიაა საფრთხის ან ძალთა წონასწორობის თეორიებისთვის.¹²² რეალურად ამ პერიოდში რუსეთიდან მომდინარე საფრთხის დონე ისეთივე რჩებოდა, როგორც გასულ წლებში. არც ამერიკის დაინტერესება შეცვლილა საქართველოსა და რეგიონის მიმართ. შესაბამისად საგარეო პოლიტიკური კურსის ამ უკანასკნელი კორექტირების მცდელობას უკეთესად ხსნის ე.წ. „ზეზალანსის თეორია“ (Omnibalancing) ვიდრე საფრთხის ან ძალთა წონასწორობის თეორიები. ეს იყო შემთხვევა, როდესაც შევარდნაძემ საგარეო ძალის იმედით შიდა პოლიტიკური სისტემიდან არსებული საფრთხის დაბალანსება სცადა.¹²³

3.4 2004-2008 საქართველოს საგარეო პოლიტიკა ვარდების რევოლუციის შემდეგ

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად შევარდნაძე იძულებული გახდა გადამდგარიყო. 2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გამოთქვა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების სურვილი. საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ის „მეგობრობის ხელს უწყდის რუსეთს“ და რომ მისი პოლიტიკა „არც პრო-რუსულია და არც პრო-ამერიკული, არამედ-პროქართული“.¹²⁴ რუსეთმა თავდაპირველ ეტაპზე საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან მიმართებაში მოლოდინის პოლიტიკა ამჯობინა. პრეზიდენტი პუტინი სააკაშვილის ამ განცხადებას საკმაოდ დადებითად შეხვდა და განაცხადა, რომ იგი იმედს იტოვებდა, რომ ახალი ხელისუფლება შეძლებდა ორ ქვეყანას შორის არსებული

¹²² თუმცა ეს ანომალია საფრთხის წონასწორობის თეორიის სისუსტეზე სულაც არ მიუთითებს. სულ მცირე ორ არგუმენტს მოვიშველიებ ჩემი მოსაზრების დასადასტურებლად: (1) ეს ანომალია კვლევის იმ დონეზე არ იჩენს თავს, რომელზეც საფრთხის წონასწორობის თეორია არის ფოკუსირებული; (2) ეს პროცესი დასრულებული არ ყოფილა. შესაბამისად, მოთხოვო თეორიას ახსნას მოვლენა, რომელიც არ დასრულებულა და არავინ იცის როგორ განვითარდებოდა არასამართლიანი იქნება.

¹²³ რევაზ ბახტაძე, გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში (ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი. 2007. გვ. 74)

¹²⁴ ჯაბა დევდარიანი, საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისაკენ (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ. რედ. ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლოგველი. თბილისი. 2006. გვ. 248)

ტრადიციული მეგობრობის აღდგენას და რომ რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში სხვა მიზანი არც ამოძრავებდა.¹²⁵ თუმცა რუსეთის პოზიცია რეალურად არ შეცვლილა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პუტინის მიერ ზემოთაღნიშნული განცხადების გაკეთებიდან ორი დღის შემდეგ, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა ოთხმხრივი მოლაპარაკებები გამართეს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის ლიდერებთან, რასაც საკმაოდ დიდი გაღიზიანება მოყვა თბილისში.¹²⁶

ვარდების რევოლუციის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები საფუძვლიანად გართულდა 2004 წლის მაისში „სამხრეთ ოსეთში“ ჰუმანიტარულ-სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდგომ. სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელმაც მშვიდობიანად გადაჭრა აჭარის საკითხი, მთელი მისი ყურადღება „სამხრეთ ოსეთზე“ გადაიტანა და თვლიდა, რომ აჭარის წარმატების განმეორება „სამხრეთ ოსეთშიც“ მოხერხდებოდა.¹²⁷ თუმცა, განსხვავებით აჭარის შემთხვევისაგან, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სამხედრო დაპირისპირების თავიდან არიდება, რასაც მსხვერპლი მოყვა. ქართული მხარე იძულებული გახდა კონფლიქტის ზონიდან საჯარისო შენაერთები გამოეყვანა და დაესრულებინა სამხედრო კონფრონტაცია.¹²⁸ ამ სტრატეგიამ ვერ იმუშავა და არათუ ხელი შეუწყო კონფლიქტის მოგვარებას, არამედ კიდევ უფრო გაართულა მანამ არსებული სიტუაცია და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაურესებაც განაპირობა.

რუსეთს ასევე აღიზიანებს საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში. ვლადიმერ პუტინი, ისევე როგორც ბევრი სხვა პოლიტიკოსი რუსეთში, დაუფარავად აცხადებდა, რომ მართალია მას არ აქვს

¹²⁵ Jean-Christophe Peuch, Russia, US Redistribute Pawns On Caucasus Chessboard After A Year Of Change, (*Eurasia Insight*, 12/29/03)

¹²⁶ Seth Mydans, Secessionists From Georgia Hold Talks With Russia, (*New York Times*, December 2, 2003)

¹²⁷ Georgia: Avoiding War in South Ossetia (*International Crisis Group*, Europe Report No. 159, Tbilisi-Brussels, November 2004. p. 1)

¹²⁸ Ghia Nodia, Europeanization and (Not) Resolving Secessionist Conflicts (*Journal of Ethnopolitics and Minority Issues in Europe*. Issue 1, 2004. p. 9)

კომუნიზმის აღდგენის სურვილი, თუმცა სინანულს კი გრძნობს საბჭოთა კავშირის დაშლის გამო.¹²⁹ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ სამიზნეს ქვეყნის ნატოში გაწევრიანება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მოხდა. 2004 წელს საქართველო შეუერთდა ნატოსთან ინდივიუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას (IPAP). 2006 წლის 21 სექტემბრიდან საქართველო ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ფორმატით თანამშრომლობს. ყოველივე ამის პარარელურად კიდევ უფრო იძაბებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. ორ ქვეყანას შორის ისედაც დამაბული ურთიერთობები კიდევ უფრო გაართულდა 2006 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველომ რუსეთის ოთხი ჯაშუში დააკავა.¹³⁰ ამის საპასუხოდ რუსეთმა გაიწვია მისი ელჩი, ხოლო სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ „დანაშაულმა საქართველოში სახელმწიფო განზომილება შეიძინა“.¹³¹ რუსეთი სწორედ ამ პერიოდიდან ააქტიურებს მის ძალადობრივ დიპლომატიას საქართველოსთან მიმართებაში, რაც ეკონომიკური ბლოკადითა და სანქციებით გამოიხატა.¹³²

რუსეთმა პოლიტიკურ ზეწოლასთან ერთად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით სცადა გავლენა მოეხდინა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე. იმ პერიოდში რუსული ბაზარი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს ისეთი ქართული პროდუქციისთვის, როგორც არის: ციტრუსი, ალკოჰოლური და მინერალური სასმელები. 2006 წლის ემბარგოს შედეგად ქართული პროდუქციის ხარისხზე აპელირებით რუსეთმა გამოადგვა ქართული პროდუქცია საკუთარი ბაზრიდან. 2006 წლის ემბარგომდე რუსეთი იყო საქართველოს წამყვანი სავაჭრო პარტნიორი და მხოლოდ რუსეთზე მოდიოდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის

¹²⁹ Ivars Indans, Relations of Russia and Georgia: Developments and Future Prospects (*Baltic Security & Defence Review*, Volume 9, 2007, p.137)

¹³⁰ Arkady Ostrovsky, Georgia Detains Four Russian Officers on Spying Charges (*Financial Times*, September 28, 2006)

¹³¹ Neil Buckley, Moscow Recalls Georgia Envoy as ``Spies`` Held (*Financial Times*, September 28, 2006)

¹³² რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სანქციების სრული ჩამონათვალისათვის იხ. საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის ვებ-გვერდის საინფორმაციო რესურსების განყოფილება. <http://www.gfsis.org/gsac/eng/point.php>

დაახლოებით 20 %.¹³³ ასევე, საგულისხმოა, რომ როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს 2003 წლიდან 2006 წლის ემბარგომდე რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები მზარდი დინამიკით გამოირჩეოდა.¹³⁴ რუსეთის საექსპორტო ბაზრის დაკარგვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს იმპორტ-ექსპორტის ბალანსს და ნეგატიურად აისახა ქვეყნის სავაჭრო დეფიციტზე.¹³⁵ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსი დადებითი არც რუსული ბაზრის დახურვამდე ყოფილა, ემბარგოს შემდეგ სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის საგრძნობლად გაიზარდა. მაგ, 2003 წელს საქართველოს იმპორტი 2.4 ჯერ აღემატებოდა ექსპორტს, ხოლო რუსული ემბარგოს შემდეგ, მაგალითად 2007 წელს ეს სხვაობა 4,2 ჯერ გაიზარდა. როგორც მონაცემები აჩვენებს ეს დისბალანსი 2012 წელსაც არ არის დაძლეული.¹³⁶ მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ბლოკადის შემდეგ საქართველომ მოახდინა საგარეო ვაჭრობის დივერსიფიცირება, რუსული ბაზრის საექსპორტო პოტენციალის ჩანაცვლება მაინც ვერ შეძლო.

გარდა ქართული პროდუქციის ემბარგოსი, რუსეთმა ასევე საქართველოს წინააღმდეგ მის ხელთ არსებული ენერგეტიკული ბერკეტები გამოიყენა. 2006 წლამდე რუსეთი იყო ბუნებრივი აირის ერთადერთი მომწოდებელი და საქართველოს ბუნებრივი აირის იმპორტის 100% რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. პოლიტიკური ზეწოლის მიზნით რუსეთმა გააორმაგა გაზის ფასი და ასევე განახორციელა დივერსიული აქტები ბუნებრივი აირის მიღებასა და ელექტროენერჯის გადამცემ ხაზებზე. საქართველომ ამ კრიზისიდან თავის დაღწევა ძირითადად აზერბაიჯანის და ნაწილობრივ ირანის მეშვეობით და ასევე, საკუთარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების განვითარებით შეძლო.¹³⁷

¹³³ იხ. გრაფიკი 8 და გრაფიკი 9

¹³⁴ იხ. გრაფიკი 7

¹³⁵ იხ. გრაფიკი 6

¹³⁶ 2003 წელს საქართველოს ექსპორტის ღირებულება შეადგენდა 461,3100 ამერიკულ დოლარს, იმპორტის კი 1.139.039.2. 2007 წელს კი ექსპორტის ღირებულება შეადგენდა 1,232,110.5 ამერიკულ დოლარს, ხოლო იმპორტის 5,212,158.3-ს. წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

www.statistics.ge

¹³⁷ საქართველოს ენერგეტიკულ კრიზისთან და შემდგომ განვითარებებთან დაკავშირებით იხ. “Georgia claims energy crisis ‘over’, *International Relations and Security Network*, 19 December 2006, <http://www.isn.ethz.ch/isn/Current-Affairs/Security-Watch-Archive/Detail/?ots783=4888caa0-b3db-1461-98b9->

საქართველოს მთავრობამ რუსეთის მიერ ბუნებრივ აირზე ფასების გაორმაგებას “პოლიტიკური” გადაწყვეტილება უწოდა¹³⁸. ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს ფაქტი პოზიტიურ ზეწოლად მიიჩნიეს და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მადლობაც კი უთხრა რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს “ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისთვის”¹³⁹

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის წინ რუსეთმა განსაკუთრებით გააქტიურა მისი ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან. ორ ქვეყანას შორის არსებულმა დაპირისპირებამ კულმინაციას 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს მიაღწია, როდესაც რუსეთი და საქართველო სრულმასშტაბიან სამხედრო მოქმედებებში აღმოჩნდნენ ჩართული. 5 დღიან ომში სამხედრო გამარჯვების მოპოვების შემდეგ რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” რეგიონების ოკუპაცია და ორ კვირაში მათი დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება. ამ გადაწყვეტილების საერთაშორისო ლეგიტიმაციის მისაღწევად რუსეთმა წამოიწყო აქტიური კამპანია აღნიშნული რეგიონების საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად. მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობებისა, რუსეთის მიმდევარი მხოლოდ ოთხი სახელმწიფო აღმოჩნდა: ნაურუ, ვენესუელა, ვანუატუ და ნიკარაგუა. ამავდროულად, რუსეთმა ომის შემდეგ ღიად დაიწყო სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება

[e20e7b9c13d4&lng=en&id=51849](http://www.civil.ge/eng/article.php?id=11637); Saakashvili: “Iran, Georgia agree on gas supply”, Civil.ge, 27 January 2006, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11637>; “Deal with Iran to Partially Ease Gas Shortage”, 28 January 2006, Civil.ge, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11638>; “Iranian Gas Flows to Georgia”, 30 January 2006, Civil.ge, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11651>; “Georgia seeks energy independence from Russia”, Eurasianet.org, 8 June 2006, <http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav060906.shtml>; “Georgia Wins Energy Independence from Russia”, Kommersant.ru, 4 August 2006, http://www.kommersant.com/p695086/r_500/Georgia_Wins_Energy_Independence_from_Russia/; “Saakashvili: Georgia 'should never leave path' of EU integration”, Euractiv.com, 8 November 2011, <http://www.euractiv.com/europes-east/saakashvili-georgia-leave-path-eu-integration-interview-508800>; “Georgia Says China to Construct \$630 Million Hydropower Plant”, Bloomberg.com, 17 April 2012, <http://www.bloomberg.com/news/2012-04-17/georgia-says-china-to-construct-630-million-hydropower-plant.html>; “Construction of major hydropower station starts in Georgia”, News.az, 24 April, 2012, <http://www.news.az/articles/georgia/58835>;

¹³⁸ Gela Bezhuashvili and Anatoly Lieven, “Democratic Transformation in Georgia,” (Carnegie Moscow Center, Washington, D.C., 16 December 2005), <http://www.carnegie.ru/events/?fa=842>, (accessed 14 April 2011)

¹³⁹ Mzia Kupunia, “Saakashvili thanks Putin for “improving” Georgian wines quality,” *The Messenger Online*, 20 September 2010, available at: http://www.messenger.com.ge/issues/2196_september_20_2010/2196_mzia.html, accessed: 15 April 2011.

ოკუპირებულ რეგიონებში და იქ მნიშვნელოვანი რაოდენობის საჯარისო შენაერთებიც განათავსა. სხვადასხვა ინფორმაციით რუსეთს დღეს აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” ტერიტორიებზე დაახლოებით 10-12 ათასი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს.¹⁴⁰ ასევე, რუსეთმა ოკუპირებულ რეგიონებში თავდასხმითი და თავდაცვითი ტიპის შეიარაღება, კერძოდ კი მცირე რადიუსის ბალისტიკური რაკეტები SS-21 და საჰაერო თავდაცვის სისტემები S-300 განათავსა.¹⁴¹

2008 წლის აგვისტოს ომმა საგრძნობლად გააუარესა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. სტრატეგიული და სამხედრო თვალსაზრისით, დღეს საქართველო ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაშია, ვიდრე 2008 წლის აგვისტოს ომამდე. უსაფრთხოების გარემოს ეს ტრანსფორმაცია აისახა კიდევ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში¹⁴² და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში.¹⁴³

ექსპერტი ზურაბ აბაშიძე ეთანხმება მოსაზრებას, რომ აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. “ჩვენი უსაფრთხოება გახდა გაცილებით მყიფე. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გახდა გაცილებით პრობლემატური, დღემდე არ არის მოხსნილი კონფლიქტის განახლების რისკი.”¹⁴⁴ ამავე მოსაზრებას იზიარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კორნელი კაკაჩია: “ ომმა აშკარა გავლენა მოახდინა. რაც არსებითად უარყოფითია. ეხლა გვიდგას უსაფრთხოების დილემა უფრო მძაფრად. თითქოს გაყინულია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი, არ ჩანს არავითარი ძვრა. ზოგადად უფრო მეტად გაუარესდა უსაფრთხოების მდგომარეობა”.¹⁴⁵ ბაკურ კვაშილავას

¹⁴⁰ “Abkhazia: Deepening Dependence,” *International Crisis Group, Europe Report N°202* – 26 February 2010; “South Ossetia: The Burden of Recognition,” *International Crisis Group, Europe Report N°205* – 7 June 2010.

¹⁴¹ “Russia: S-300 Air Defense Missile System Deployed in Georgia” (STRATFOR: Global Intelligence, August 11, 2010. <http://www.stratfor.com/sample/analysis/russia-s-300-air-defense-missile-system-deployed-georgia>

¹⁴² საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, <http://www.nsc.gov.ge/files/files/National%20Security%20Concept.pdf>

¹⁴³ საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის ადაპტირებული ვერსია. იხ. http://www.nsc.gov.ge/files/files/legislations/policy/threatassessment2010_2013.pdf

¹⁴⁴ ინტერვიუ ექსპერტ ზურაბ აბაშიძესთან. თბილისი. 15.02.2011

¹⁴⁵ ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, კორნელი კაკაჩიასთან. თბილისი. 13.02.2011

შეხედულებით ომის შედეგად საქართველოს უსაფრთხოების გარემო უარყოფითად შეიცვალა როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით: “ საქართველოს უსაფრთხოების გარემო შეიცვალა უარყოფითად როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე პოლიტიკურად. სამხედრო თვალსაზრისით ოკუპირებულ რეგიონებში ჯარის რაოდენობა გაზრდილია, ოკუპირებული ტერიტორიის თვალსაზრისითაც რადიკალურად შეიცვალა პოზიციები თუ აგვიტოს ომამდე იყო შედარებით ცოტა ტერიტორია ოკუპირებული, ეხლა უფრო მეტია.”¹⁴⁶ ასევე, გიორგი მელაძის შეხედულებით აგვისტოს ომმა გარდა იმისა, რომ გავლენა იქონია საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე, ასევე უსაფრთხოების გარემოს და საფრთხეების ახალ კონტექსტში გააზრება განაპირობა: “სერიოზული გადახედვა მოხდა იმის, რაც ამ ქვეყნის უსაფრთხოებასთან იყო დაკავშირებული. გააზრება მოხდება საფრთხის კიდევ უფრო ახალ კონტექსტში. უკან თუ გავიხედავთ ვნახავთ, რომ წარმოდგენები იყო ერთი. კერძოდ იყო წარმოდგენა, რომ შესაძლოა ღია ომის საფრთხეების თვიდან არიდება, თუნდაც იმიტომ რომ ბევრი გავლენიანი მეგობარი შეეცდებოდა ამის შეჩერებას, მაგრამ ყველაფერი ასე არ აღმოჩნდა. ასევე მეტი სამუშაო იქნება შესასრულებელი ქვეყნის შინგით ასეთი საფრთხეების ასაცილებლად”¹⁴⁷

მიუხედავად უსაფრთხოების გარემოს გაუარესებისა საქართველოს საგარეო პოლიტიკა მაინც რუსეთიდან მომდინარე საფრთხის დაბალანსებაზე დარჩა ორიენტირებული. ამ მოსაზრებას არაერთი მკვლევარი იზიარებს. მაშინ როცა

¹⁴⁶ ინტერვიუ ბაკურ კვაშილავასთან. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი. 11.03.2011. თბილისი. მსგავს მოსაზრებას იზიარებს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე: “ უსაფრთხოების გარემო გაუარესებულია თუმცა ომის განახლების საფრთხე ამ ეტაპზე არ არსებობს რადგან სტატუს ქვო მოცემულ მომენტში მისაღებია როგორც ამერიკისთვის ასევე რუსეთისთვის” ინტერვიუ თორნიკე შარაშენიძესთან. 14.03.2011. თბილისი. მსგავსი პოზიცია აქვს ლევან ცუცქერიძეს: “უსაფრთხოების გარემო ბევრად უფრო მძიმეა ვიდრე აქამდე. ტრადიციული გაგებით თუ შევხედავთ უსაფრთხოების გარემო არის ბევრად უფრო დამძიმებული” ინტერვიუ ლევან ცუცქერიძესთან, ექსპერტი. 15.03.2011. თბილისი. უსაფრთხოების გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებით მსგავს მოსაზრებას იზიარებენ სხვა ინტერვიურებიც, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი არჩილ აბაშიძე; მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის მკვლევარი თამარ პატარაია; სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, მამუკა არეშიძე; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის დირექტორი, პროფესორი გაია ნოდია; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ზურაბ დავითაშვილი.

¹⁴⁷ ინტერვიუ გიორგი მელაძესთან. თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი. თბილისი 12.01.2011

ძალთა ან საფრთხის ბალანსის თეორიების ლოგიკით, უსაფრთხოების გარემოს ცვლილებას უნდა წაეხალისებინა რუსეთთან ურთიერთობების დათბობის ან უკიდურეს შემთხვევაში მასთან მიტმასნების პოლიტიკა, ემპირიული რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს. საქართველოს პარლამენტის წევრის, დავით დარჩიაშვილის მოსაზრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს და ომის შედეგად უსაფრთხოების გარემოს ცვლილებას საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა საგარეო პოლიტიკაში რეგიონული ვექტორის უფრო მკაფიოდ გამოკვეთაზე კი იქონია გავლენა: “კარდინალური ცვლილებები არ გამოუწვევია, მაგრამ ნიუანსური ცვლილებები შეიძლება იყოს. სტრატეგიული ვექტორი არის ბრიუსელი და ვაშინგტონი, მაგრამ ასევე ინტენსიურად უნდა ვიფიქროთ დამხმარე საგარეო პოლიტიკურ საშუალებებზე, მათ შორის რეგიონში ჩვენი ფუნქციის უფრო მკაფიოდ გამოკვეთაზე, ასევე ევროკავშირთან ურთიერთობის გაღმავებაზე. 2008 წლის შემდეგ უფრო ინტენსიური გახდა ურთიერთობები ბრიუსელთან.”¹⁴⁸

თუ შევაჯამებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკას ვარდების რევოლუციის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო აშკარად საგარეო საფრთხის დაბალანსების სტრატეგიას ირჩევს. განსხვავებით შევარდნაძის დროინდელი საგარეო პოლიტიკისაგან, როდესაც ქვეყანა დაბალანსების მხოლოდ საგარეო რესურსს ეყრდნობოდა, სააკაშვილის ხელისუფლება დაბალანსების ორმაგ სტრატეგიას საგარეო და შიდა სტრატეგიებს მიმართავდა. საგარეო დაბალანსების მიღწევას იგი ამერიკასთან მოკავშირეობით და ნატოში გაწევრიანების მისწრაფებით ახორციელებდა, ხოლო შიდა დაბალანსებას ქვეყნის სამხედრო თავდაცვისუნარიანობის ამაღლებით.

¹⁴⁸ ინტერვიუ დავით დარჩიაშვილთან, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. თბილისი. 12.01.2011. მოსაზრებას, რომ აგვისტოს ომმა არ მოახდინა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გიორგი ხელაშვილიც იზიარებს: “აგვისტოს ომს შეეძლო რომ რეალისტური ელემენტები შეეტანა ჩვენს საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა ანუ ცვლილება არ მომხდარა.” ინტერვიუ გიორგი ხელაშვილთან. 13.01.2011. თბილისი. მსგავსი პოზიცია აქვს სერგი კაპანაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ინტერვიუ სერგი კაპანაძესთან. 19.05.2011. თბილისი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაც კი ცხადყოფს საფრთხის წონასწორობის თეორიის უპირატესობას ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში. საქართველო ამჯობინებს უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან მოკავშირეობას უფრო აგრესიულის წინააღმდეგ. შესაბამისად, ძალთა წონასწორობის თეორია, რომელიც მხოლოდ ძლიერების ცვლადზე დაყრდნობით ცდილობს ახსნას ალიანსების წარმოქმნისა და მოკავშირეების შერჩევის საკითხი, ვერ ითვალისწინებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღებნი მხედველობაში იღებენ, როდესაც მოკავშირეების შერჩევას ახდენენ. საფრთხე ბევრად უფრო კომპლექსური ფენომენია და მის გასაზომად მხოლოდ ძლიერების ცვლადი საკმარისი არ არის. ამასვე მიუთითებს სააკაშვილის განცხადება, რომელიც მან 2005 წლის თებერვალში პარლამენტში მისი ყოველწლიური მოხსენებისას გააკეთა: „საქართველოს საქმე აქვს მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და ყველაზე აგრესიულ, შესაძლოა არა ყველაზე ძლიერ, მაგრამ უდავოდ ყველაზე აგრესიულ ძალასთან“.¹⁴⁹

საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარების ეტაპების განზოგადებამ ცხადყო საფრთხის წონასწორობის თეორიის უპირატესობა ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში. ასევე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ განსხვავებით გაბატონებული მიდგომისა, პატარა სახელმწიფოები დაბალანსების სტრატეგიას ამჯობინებენ მიტმასნებას. მიტმასნება იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ შესაბამისი გარემო პირობების არსებობის შემთხვევაში აირჩევა სახელმწიფოს მიერ: თუ სახელმწიფო სუსტია, თუ სხვა მოკავშირეები არ ყავს და თუ სახელმწიფო თვლის, რომ საფრთხის წყარო, რომელსაც იგი ეტმასნება დაშოშმინებადია. საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება მიტმასნების კლასიკური შემთხვევა იყო და იმ პერიოდისათვის სამივე ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება არსებობდა. თუმცა

¹⁴⁹ ციტ. რობერტ ლეგვოლდი, პრობლემის დასმა (სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ. რედ. ბრუნო კოპიტერსი და რობერტ ლოგველდი. თბილისი. 2006. გვ. 26) ამ განცხადებაში სააკაშვილი, რა თქმა უნდა, რუსეთს გულისხმობდა.

დსთ-ში შესვლის მიუხედავად შევარდნაძე თანდათანობით ააქტიურებს დიპლომატიას დასავლეთთან მიმართებაში. 1995 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ სამიზნეს საგარეო აგრესორის დაბალანსება წარმოადგენდა. 2002 წლის პანკისის კრიზისის პირობებში, განსხვავებით დსთ-ში გაწევრიანების შემთხვევისაგან, საქართველომ მიტმასნებას დაბალანსება ამჯობინა, რადგან მოკავშირე, რომელიც მას საფრთხის დაბალანსებაში დაეხმარებოდა უკვე არსებობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახით. პანკისის კრიზისმა გარდა იმისა, რომ თვალნათლივ წარმოაჩინა საფრთხის წონასწორობის თეორიის ამხსნელობითი უპირატესობა ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში, ასევე დაგვარწმუნა აგრესიული განზრახვების ცვლადის დამოუკიდებელ როლში. კერძოდ, ჩვენ ამ ცვლადის ოპერაციონალიზაციისას ვივარაუდეთ, რომ თუ ცვლადი სწორად იყო შერჩეული, მაშინ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარებას აგრესორის დაბალანსების ან შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში მასთან მიტმასნების ტენდენციისთვის უნდა შეეწყო ხელი. პანკისის კრიზისის პირობებში სწორედ ასე მოხდა. რუსეთის მხრიდან გამოკვეთილად აგრესიული პოლიტიკის გატარებამ გაზარდა საქართველოს მხრიდან აგრესორის დაბალანსების მოტივაცია და მცდელობა.

ასევე, ვარდების რევოლუციის შემდგომი საგარეო პოლიტიკა ცხადყოფს, რომ განსხვავებით გაბატონებული მიდგომისა, რომ პატარა ქვეყნები საგარეო საფრთხესთან მიტმასნების სტრატეგიას უფრო ეყრდნობიან, ვიდრე დაბალანსების არ მართლდება. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უსაფრთხოების გარემო, საქართველო მაინც განაგრძობს რუსეთის დაბალანსების მცდელობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების კიდევ უფრო ინტენსიფიკაციის გზით. თუ განვაზოგადებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკას 2003 წლიდან დღემდე, უდავოა, რომ საქართველო გეოგრაფიულად ახლოს მდებარე, აგრესიული სახელმწიფოს დაბალანსებას საერთაშორისო

სისტემის ყველაზე გავლენიან სახელმწიფოსთან მოკავშირეობით და ნატოში გაწევრიანების მისწრაფებით ცდილობს.

ასევე, ვარდების რევოლუციის შემდგომი საგარეო პოლიტიკური დინამიკა რთულად ასახსნელია ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიისთვის. მაშინ როცა თეორიის ლოგიკით საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს მნიშვნელოვნად უნდა შეეზღუდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური თავისუფლება და ის უფრო მეტად თავსებადი უნდა გაეხადა რუსეთის ინტერესებთან, ემპირიული რეალობა საპირისპიროს ცხადყოფს. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქართველოსთვის რუსეთი წამყვანი ეკონომიკური და ენერგეტიკული პარტნიორი იყო, რუსეთთან მიტმასნებას ადგილი არ ჰქონია. ეს შემთხვევა ცალსახად მიუთითებს, რომ ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადი დამოუკიდებელი ამხსნელობითი შესაძლებლობების მქონე არ არის და მხოლოდ სხვა ცვლადების კონტექსტში იძენს მნიშვნელობას.

თავი 4

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა

დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში სამი ძირითადი პერიოდის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველი ფაზა, რომელიც 1992-1993 პერიოდს მოიცავს, აბულფაზ ელჩიბეის პრეზიდენტობას ემთხვევა. მეორე ფაზა კი ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობით იწყება და 2003 წლამდე გრძელდება.¹⁵⁰ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მესამე პერიოდი 2003 წლიდან, ილჰამ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლით იწყება და დღევანდელ დღემდე გრძელდება.

4.1 1992-1993 - აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა აბულფაზ ელჩიბეის მმართველობის დროს

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან აზერბაიჯანს სათავეში პრო-რუსული, კომუნისტური პარტიის ყოფილი პირველი მდივანი აიაზ მუთალიბოვი ჩაუდგა. თუმცა მისი მმართველობა შიდა პოლიტიკური სიტუაციისა და სომხეთთან საომარი მოქმედებების ფონზე დიდხანს ვერ გაგრძელდა. 1992 წლის თებერვალში ხოჯალის ტრაგედიის შემდეგ მუთალიბოვი იძულებული გახდა გადამდგარიყო.¹⁵¹ იმავე წლის ივნისში აზერბაიჯანის პრეზიდენტად სახალხო ფრონტის ლიდერი აბულფაზ ელჩიბეი აირჩიეს. უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი ყარაბაღის

¹⁵⁰ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 39)

¹⁵¹ R. Hrair Dekmejian, Hovann H. Simonian, Troubled Waters: Geopolitics of the Caspian Region (I.B. Tauris&Co Ltd. 2003. p. 61)

კონფლიქტში ხოჯალის შემთხვევა ერთგვარ ათვლის წერტილს წარმოადგენს, რადგანაც სწორედ ამის შემდეგ გარდაიქმნა პარტიზანული ომი ღია საომარ მოქმედებებად აზერბაიჯანს და სომხეთს შორის.¹⁵²

ანალიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის შეხედულებით, აბულფაზ ელჩიბეიმ ვერ გათვალა რეგიონთან მიმართებაში მეზობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესები და სერიოზული გეოპოლიტიკური შეცდომები დაუშვა, რაც მას პრეზიდენტობის ფასად დაუჯდა. ელჩიბეის მიერ თავიდანვე პრო-თურქული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის აღებამ ირანისა და რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანი იყო პირველი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც წარმატებულად მოახერხა საკუთარი ტერიტორიიდან რუსული ჯარებისა და სასაზღვრო ნაწილების გაყვანა.¹⁵³ ელჩიბეი ასევე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მოთხოვნას აზერბაიჯანის დსთ-ში გაწევრიანების შესახებ, ამტკიცებდა, რა რომ აზერბაიჯანის დსთ-ში შესვლა რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებას ნიშნავდა.¹⁵⁴ იმ პერიოდში რუსეთი აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განიხილებოდა.¹⁵⁵

ამავე პერიოდში სერიოზულად გართულდა აზერბაიჯანის ურთიერთობები ირანთან. ამის მიზეზები ორივე სახელმწიფოს, აზერბაიჯანის და ირანის ქმედებებში შეიძლება ვიპოვოთ. ელჩიბეი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაუფარავად აცხადებდა, რომ მის ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზანს „გაყოფილი აზერბაიჯანის“ გაერთიანება შეადგენდა, რომელიც ხუთ წელიწადში უნდა მომხდარიყო.¹⁵⁶ იმ პერიოდში ერთიანი აზერბაიჯანის იდეა აზერბაიჯანის

¹⁵² Thomas Goltz, Letter from Eurasia: The Hidden Russian Hand (*Foreign Policy*, No. 92, Autumn, 1993, p. 101)

¹⁵³ Elkhan Nuriyev, Post-September 11 Regional Geopolitics: Azerbaijan and New Security Environment in the South Caucasus (*Connections, The Quarterly Journal*, Vol 1, No.3 July 2002. p.14)

¹⁵⁴ Brenda Shaffer, Borders and Brethren: Iran and the Challenge of Azerbaijan Identity (Belfer Center for Science and International Affairs. 2002. p.165)

¹⁵⁵ იქვე. . . გვ. 647

¹⁵⁶ აზერბაიჯანის ტერიტორიის ორ ნაწილად გაყოფა 1828 წელს რუსეთსა და ირანს შორის დადებული თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. ირანში დღეს

ეროვნული იდეის ინტეგრალური ნაწილი გახდა.¹⁵⁷ მართალია ელჩიბეის ამ განცხადებებმა ვერ შეძლო ირანელ აზერბაიჯანელებში ნაციონალისტური განწყობების გააქტიურება, რაც მან უდავოდ გამოიწვია, ის იყო, რომ ირანმა აზერბაიჯანი მისი ტერიტორიული მთლიანობის რეალურ საფრთხედ აღიქვა.¹⁵⁸

ირანის მხრიდან კი ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას სამმა მთავარმა მიზეზმა შეუშალა ხელი. პირველი, ყარაბაღის ომის დროს და მის შემდეგაც ირანი სამხედრო დახმარებას არა შიიტურ აზერბაიჯანს, არამედ ქრისტიანულ სომხეთს უწევდა.¹⁵⁹ ცნობილი ფაქტია, რომ ირანელი მოხალისეები ყარაბაღის ომში სომხეთის მხარეზე იბრძოდნენ.¹⁶⁰ ირანს სურდა, რომ აზერბაიჯანი ჩართული ყოფილიყო კონფლიქტში სომხეთთან, რადგან არასტაბილური აზერბაიჯანი ნაკლებად მიმზიდველი იქნებოდა ირანის აზერბაიჯანელებისათვის.¹⁶¹ ირანის ამგვარმა ქმედებებმა ერთიორად გაზარდა ირანის, როგორც საფრთხის წყაროს აღქმა აზერბაიჯანში. მეორე, ირანმა აზერბაიჯანში ხელი შეუწყო პრო-ისლამურ აქტივობებს, როგორც იყო რელიგიური სკოლების, წიგნის მაღაზიების და კულტურული ცენტრების გახსნა, მისიონერების გაგზავნა და ასევე ისლამური ფუნდამენტალიზმის წაქეზება, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილში ირანის საზღვართან ახლოს, სადაც მოსახლეობა უმეტესად შიიტური ისლამის მიმდევარი იყო.¹⁶² და ბოლოს, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხი და ბუნებრივი რესურსების განაწილება შედარებით მოგვიანებით გახდა ის თემა, რომელმაც ორ

დაახლოებით 25-30 მილიონი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მაშინ როცა აზერბაიჯანის მოსახლეობა 8 მილიონია.

¹⁵⁷ Arif Yunusov, *Islam in Azerbaijan* (Baku. 2004. p. 188)

¹⁵⁸ Emil Souleimanov and Ondrej Ditrych, *Iran and Azerbaijan: A Contested Neighborhood* (*Middle East Policy*, Vol. XIV, No. 2, Summer 2007. p. 104)

¹⁵⁹ იხ. Svante Cornell, *Iran and the Caucasus* (*Middle East Policy*, Vol. 5, No.4 January 1998.)

¹⁶⁰ Lasha Tchamouridze, *The Three Colors of War: Russian, Turkish and Iranian Military Threat to the South Caucasus* (*Caucasian Review of International Affairs*, Vol, 2 (1). Winter 2008. p. 8)

¹⁶¹ Brenda Shaffer, *Iran's Role in the South Caucasus and Caspian Region: Diverging Views of the U.S. and Europe* (*Iran and Its Neighbors*, SWP Berlin. 2003. p.19)

¹⁶² Arzu Geybullayeva, *Is Azerbaijan Becoming a Hub of Radical Islam?* (*Turkish Policy Quarterly*, Vol. 6. No.3. Fall 2007. p. 114)

სახელმწიფოს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების შესაძლებლობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა.¹⁶³

თუმცა, ელჩიების მმართველობის პერიოდში ძალიან გააქტიურდა აზერბაიჯანის ურთიერთობები თურქეთთან. თურქეთთან თავიდანვე კარგი ურთიერთობების დაწყება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. პირველი, ელჩიები თვლიდა, რომ აზერბაიჯანის ეროვნული იდეის შექმნაში მისთვის მისაბამი სეკულარული თურქეთი და არა ისლამური ირანი უნდა ყოფილიყო. ეროვნული ფრონტის იდეოლოგიურ მიდრეკილებებზე საუბრისას ელჩიები ღიად აცხადებდა, „ჩვენ პირველ რიგში ვართ თურქები და შემდეგ მუსლიმები“.¹⁶⁴ ელჩიები იმასაც კი ამბობდა, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი იყო „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“.¹⁶⁵ გარდა ამისა, თურქეთი დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდადაც მიიჩნეოდა. მეორე, თურქეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღიარა და მესამე, ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციების მხარდაჭერამ ორ სახელმწიფოს შორის მოკავშირეობისათვის საფუძვლიანი და ხელსაყრელი პირობები შექმნა.¹⁶⁶

თუმცა 1993 წელს, მას შემდეგ რაც ელჩიებმა ვერ მოახერხა საზოგადოებისათვის მიცემული მისი ორი მთავარი დანაპირების შესრულება, კერძოდ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარება და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში გამარჯვება, ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსში ჩაიძირა. უნდა აღინიშნოს, რომ ელჩიების წარუმატებლობის შიდა პოლიტიკურ მიზეზთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მის მიერ დაშვებული რამდენიმე შეცდომა. ერთ-ერთი მათგანი ის იყო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მას

¹⁶³ Ayca Ergun, International Challenges and Domestic Preferences in the Post-Soviet Political Transition of Azerbaijan (*Perspectives on Global Development and Technology*, Volume 2, Issue 3-4. 2003. p. 648)

¹⁶⁴ Areyh Wasserman, A Year of Rule by the Popular Front of Azerbaijan (In: Muslim Eurasia: Conflicting Legacies. Roi Yaacov (ed), FRANK CASS & CO. LTD, 1995 p.150)

¹⁶⁵ Zeyno Baran, The Caucasus: Ten Years After Independence (*The Washington Quarterly*, 25:1, Winter 2002. p. 226)

¹⁶⁶ Ayca Ergun, International Challenges and Domestic Preferences in the Post-Soviet Political Transition of Azerbaijan (*Perspectives on Global Development and Technology*, Volume 2, Issue 3-4. 2003. p. 647)

საპარლამენტო არჩევნები არ ჩაუტარებია, შეინარჩუნა ძველი საკანონმდებლო ორგანო, სადაც ძველი და ახალი (ეროვნული ფრონტის) წარმომადგენლები თანაბრად ინაწილებდნენ ადგილებს. გარდა ამისა, მან ვერ შეძლო ძველ ბიუროკრატიასთან შეთანხმება და მათი ძირითადი ნაწილი გამოუცდელი კადრებით იქნა ჩანაცვლებული.¹⁶⁷ რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, ელჩიების მთავრობის გამოკვეთილად პრო-თურქულმა, ანტი-ირანულმა და ნაწილობრივ ანტი-რუსულმა საგარეო პოლიტიკამ დააზარალა აზერბაიჯანი განსაკუთრებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში.¹⁶⁸ აღსანიშნავია, რომ მკვეთრად პრო-თურქულმა ორიენტაციამ და ამის შედეგად, ირანისა და რუსეთის გაღიზიანებამ თურქეთიც კი დააფიქრა, რომელიც აცნობიერებდა, რომ მის ხელთ არსებული რესურსებით იგი კონკურენციას ნამდვილად ვერ გაუწევდა რუსეთს და ირანს.¹⁶⁹ გარდა ამისა, აზერბაიჯანის ტოტალურმა მარცხმა სომხეთთან ომში და ასევე ელჩიების მთავრობის გამოკვეთილად კორუფციულმა ხასიათმა სერიოზული დარტყმა მიაყენა პან-თურქიზმის იდეას.¹⁷⁰ ამას ემატებოდა ისიც, რომ ელჩიებმა ქვეყნის შიგნითაც კი ვერ შეაფასა თურქული კულტურული მემკვიდრეობა და არა მხოლოდ ირანმა და რუსეთმა, არამედ ქვეყნის შიგნით მცხოვრებმა ეთნიკურმა უმცირესობებმაც (1990-იანი წლების დასაწყისში დაახლოებით მთელი მოსახლეობის 14 პროცენტი) კი გარიყულად იგრძნეს თავი.¹⁷¹ ამ ქაოტური შიდა და საგარეო პოლიტიკური სიტუაციის შედეგად გენერალმა სურატ ჰუსეინოვმა წამოიწყო სამხედრო გადატრიალება ელჩიების წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორებით დასრულდა.¹⁷² 1993 წლის ივნისში ელჩიები, რომელიც აზერბაიჯანის საზოგადოების მიერ მიამიტ

¹⁶⁷ Leila Alieva, *Reshaping Eurasia: Foreign Policy Strategies and Leadership Assets in Post-Soviet South Caucasus (Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series, Winter 1999-2000. p. 22)*

¹⁶⁸ Shireen T. Hunter, *The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 40)*

¹⁶⁹ Mazrin Mehdiyeva, *Azerbaijan and its Foreign Policy Dilemma (Asian Affairs, Vol XXXIV, No, III, November 2003. p. 274)*

¹⁷⁰ Hooman Peimani, *Failed Transition, Bleak Future? War and Instability in Central Asia and the Caucasus (Praeger Publishers. 2002. p. 114)*

¹⁷¹ Kaweh Sadegh-Zadeh, *Iran's Strategy in the South Caucasus (Caucasian Review of International Affairs, Vol 2(1), Winter 2008. p.4)*

¹⁷² Hooman Sadri, *Elements of Azerbaijan Foreign Policy (Journal of Third World Studies, Vol. XX, No.I 2003. p. 183)*

და გამოუცდელ პოლიტიკოსად მიიჩნეოდა, ჩამოშორებულ იქნა ხელისუფლებას და მისი ადგილი ყოფილმა კომუნისტურმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა დაიკავა.¹⁷³

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა ელჩიბეის მმართველობის პერიოდში რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. პირველი, ელჩიბეის მიერ აზერბაიჯანიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა, მისი წინააღმდეგობა აზერბაიჯანის დსთ-ში გაწევრიანების საკითხისადმი და მისი საგარეო პოლიტიკა, რომელიც თურქეთზე დაყრდნობით და დასავლეთის მხარდაჭერის იმედით ცდილობდა რუსეთის, ირანის და სომხეთის დაბალანსებას, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, განსხვავებით სამეცნიერო კონსენსუსისა, პატარა სახელმწიფოებიც კი საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ დაბალანსების სტრატეგიას ამჯობინებენ, ვიდრე მიტმასნებას. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნაშრომის თეორიულ ნაწილში გამოთქმულ ვარაუდს, რომ პატარა სახელმწიფოები ამჯობინებენ საგარეო საფრთხე დაბალანსონ, ვიდრე მას მიეტმასნონ. რაც შეეხება, ძალთა წონასწორობისა და საფრთხის წონასწორობის თეორიებს შორის უპირატესობას, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რუსეთის, ირანის და სომხეთის ალიანსი ძლიერებით აღემატებოდა თურქეთ-აზერბაიჯანის კავშირს, ელჩიბეის ხელისუფლება მაინც საფრთხის დაბალანსების სტრატეგიით ხელმძღვანელობდა და არა მხოლოდ ძლიერების. საფრთხის, რომელიც სხვადასხვა აქტორებიდან მოდიოდა და განსხვავებული დატვირთვა ქონდა. სომხეთი აღიქმებოდა, როგორც სახელმწიფო, რომელიც უშუალოდ დაემუქრა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და მისი ტერიტორიის დაახლოებით მეხუთედი მიიტაცა ყარაბაღის კონფლიქტში. ირანი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა, როგორც ისლამური სახელმწიფო და ასევე, როგორც სომხეთის მოკავშირე. და ბოლოს რუსეთი, რომელიც საფრთხე იყო, როგორც სომხეთის

¹⁷³ Elkhan Nuriyev, Geopolitical Breakthrough and Emerging Challenges: The Case of the South Caucasus (*Perceptions, Journal of International Affairs*, Vol. VI, No. 2. June-July 2001. p.3)

მოკავშირე და როგორც სახელმწიფო, რომელსაც გარკვეული პრეტენზიები ქონდა აზერბაიჯანთან კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით.¹⁷⁴

4.2 1993-2003 - ჰეიდარის ალიევის საგარეო პოლიტიკა

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოჩნდა, რომ ჰეიდარ ალიევი ბევრად უფრო პრაგმატული პოლიტიკოსი იყო, ვიდრე მისი წინამორბედი. მის მთავარ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიად რუსეთთან და ირანთან ურთიერთობების ნორმალიზება იქცა, რაც მიზნად ისახავდა შედარებით დაბალანსებული გაეხადა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა.¹⁷⁵ 1993 წლის სექტემბერში ალიევი ჩავიდა მოსკოვში და ხელი მოაწერა დსთ-ს ქარტიას და ასევე შეუერთდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას.¹⁷⁶ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საწყის ეტაპზე აზერბაიჯანის დსთ-ში გაწევრიანება რუსეთთან დათმობაზე წასვლად შეფასდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილების უკან ალიევი უფრო პრაგმატული გათვლებით ხელმძღვანელობდა. ალიევი თვლიდა, რომ ამ ნაბიჯის შემდეგ რუსეთი მას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარებოდა. გარდა ამისა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებასთან მიერთების შემდეგ ალიევმა მოითხოვა, რომ ხელშეკრულება აქტივირებული ყოფილიყო მის წევრებთან (ამ შემთხვევაში სომხეთთან) და ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში.¹⁷⁷ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ალიევს სურდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, იგი მაინც ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებას. კერძოდ, ალიევმა უარი

¹⁷⁴ იხ. Kamyar Mehdiyoun, Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea (*The American Journal of International Law*, Vol. 94, No. 1. Jan., 2000, pp. 179-189), ასევე, Suha Bolukbasi, The Controversy over the Caspian Sea Mineral Resources: Conflicting Perceptions, Clashing Interests (*Europe-Asia Studies*, Vol. 50, No. 3, May, 1998, pp. 397-414)

¹⁷⁵ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 40)

¹⁷⁶ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება 1992 წელს ხელმოწერილი იქნა 6 ქვეყნის მიერ – რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი – და ძალაში შევიდა 1994 წელს 5 წლის ვადით. მართალია აზერბაიჯანი ხელშეკრულებას 1993 წელს შეუერთდა, თუმცა მისი რატიფიცირება არ მოუხდენია. იხ. Rasim Musabekov, Russia-Azerbaijan: Relations in Theory and Practice (*Central Asia and the Caucasus*, No. 3, 2000)

¹⁷⁷ Andrey Zagorski, Regional Structures of the Security Policy within the CIS (In: Roy Allison and Christoph Bluth, (eds) *Security Dilemmas in Russia and Eurasia*. London: RIIA, 1998. p. 284)

თქვა ბევრი ისეთი სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რაც აზერბაიჯანის მოქმედების თავისუფლებას შეზღუდავდა. გარდა ამისა, ალიევმა უარი თქვა რუსეთის მოთხოვნაზე, რომ რუსული სამხედრო ნაწილები განთავსებული ყოფილიყო ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე.¹⁷⁸

აზერბაიჯანის დსთ-ში შესვლა საფრთხის წყაროსთან მიტმასნების კლასიკური მაგალითი იყო. რამდენად მართლდება ამ შემთხვევაში მიტმასნებასთან მიმართებაში გამოთქმული მოსაზრებები? თუ კვლავ მივუბრუნდებით იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ირჩევს სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასწარი თეორიული ვარაუდები გამართლდა. სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას ირჩევს მაშინ, როცა (1) სუსტია, (2) სხვა მოკავშირე არ ყავს, (3) როცა თვლის, რომ ამ ნაბიჯით საფრთხის წყაროს დაშოშმინება შეიძლება. იმ პერიოდში აზერბაიჯანის, ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაში, სამივე ჩამოთვლილი გარემოება არსებობდა. სომხეთთან საომარი მოქმედებების და შიდა დაპირისპირებების ფონზე აზერბაიჯანი სუსტი სახელმწიფოს კლასიკური შემთხვევა იყო. გარდა ამისა, ალიევს კარგად ესმოდა, რომ იმ ეტაპზე დასავლეთის, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონოდა, ხოლო, მხოლოდ თურქეთის იმედად იგი დაბალანსების პოლიტიკას რუსეთის წინააღმდეგ ვერ გაატარებდა.¹⁷⁹ და ბოლოს, ალიევმა დსთ-ში გაწევრიანებით რუსეთის იმპერიული ამბიციებიც გაითვალისწინა, საგარეო აგრესორიც დააშოშმინა და ამის პარალელურადვე დასავლეთთან ურთიერთობებისათვის

¹⁷⁸ Gary Bertsch, *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia* (Routledge 2000. p. 41)

¹⁷⁹ თუ რატომ არ უნდა ჰქონოდა ალიევს ამერიკის მხარდაჭერის იმედი, ამაზე სულ მცირე ორი ფაქტი მეტყველებს. პირველი, იმ პერიოდში ამერიკის ინტერესები რეგიონთან მიმართებაში ჯერ კიდევ სათანადოდ გამოკვეთილი არ იყო. და მეორე, ამერიკის მხრიდან აზერბაიჯანის მთავრობისათვის პირდაპირი დახმარების აღმოჩენა ინსტიტუციონალურადაც იყო გამორიცხული. ყარაბაღის ომის მსვლელობისას აზერბაიჯანის მიერ სომხეთზე განხორციელებული ბლოკადის საპასუხოდ, სომხური ლობის ზეწოლის შედეგად კონგრესმა გამოსცა ე.წ. თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 907 შესწორება, რომელიც უკრძალავდა აშშ-ს აზერბაიჯანისთვის ნებისმიერი სახის პირდაპირი დახმარების გაწევას. აზერბაიჯანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების განვითარების ეტაპების შესახებ იხ. Shahla Balakishiyeva, *The Role of Haydar Aliyev in the US-Azerbaijani Relations* (*The Journal of Turkish Weekly Opinion*, 14 March, 2008. <http://www.turkishweekly.net/index.php>)

სტაბილური ნიადაგიც შეამზადა.¹⁸⁰ თუმცა, დსთ-ში გაწევრიანების მიუხედავად, ალიევი დიდ დათმობებზე არ წასულა რუსეთთან.¹⁸¹ იგი აგრძელებდა რუსული სამხედრო ნაწილების აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსების მოთხოვნისადმი წინააღმდეგობას და მიუხედავად იმისა, რომ დასთანხმდა რუსეთის, როგორც მედიატორის როლს ყარაბაღის კონფლიქტში, მან უარი განაცხადა რუსული სამშვიდობოების კონფლიქტის ზონაში განთავსებაზე. და ბოლოს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბევრი დასავლეთში თვლიდა, რომ ალიევი უფრო პრო-რუსულ ორიენტაციას აიღებდა, იგი რუსეთთან, დსთ-ში შესვლის მიუხედავად, დიალოგის აღდგენაზე შორს არ წასულა. იმ პერიოდში, რუსეთი ალიევის საგარეო პოლიტიკას ზედმეტად დამოუკიდებლად კი მიიჩნევდა.¹⁸²

მომდევნო წლებში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხზე შეუთანხმებლობის გამო.¹⁸³ 1997 წელს ორმხრივი ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ დარტყმად იქცა ე.წ. დუმის სკანდალი, რომლის დროსაც გაირკვა, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილებმა დაახლოებით მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი გადასცეს სომხეთის ჯარს.¹⁸⁴ დამაბულობამ ორ სახელმწიფოს შორის ელცინის პრეზიდენტობის დასრულებამდე გასტანა და შედარებით გაუმჯობესდა პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ.¹⁸⁵ იმ პერიოდში ბევრი რუსი ოფიციალური პირი თვლიდა, რომ მათმა აგრესიულმა ანტი-აზერბაიჯანულმა პოლიტიკამ სხვა არაფერი გამოიწვია, თუ არა ამ სტრატეგიული ქვეყნის გაუცხოება.¹⁸⁶ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის

¹⁸⁰ Leila Alieva, Reshaping Eurasia: Foreign Policy Strategies and Leadership Assets in Post-Soviet South Caucasus (*Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series, Winter 1999-2000*, p. 24)

¹⁸¹ Jim Macdougall, Russian Policy in the Transcaucasian “Near Abroad”: The Case of Azerbaijan (*Demokratizatsiya*, Vol. 5. No. 1. Winter 1997. p. 93)

¹⁸² Elkhan Nuriyev, Conflicts, Caspian Oil and NATO (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 143)

¹⁸³ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 41)

¹⁸⁴ Fariz Ismailzade, Azerbaijan’s Tough Foreign Policy Choices (*UNISCI Discussion Papers*, October 2004. p. 5)

¹⁸⁵ იქვე . . . 5

¹⁸⁶ Thomas De Waal, Reinventing the Caucasus (*World Policy Journal*, Vol. XIX, No 1, Spring 2002, p.55)

დაძაბული ფაზიდან გამოყვანის მცდელობის ნიშნად იქცა პუტინის ვიზიტი ბაქოში 2001 წლის იანვარში. ამ ვიზიტის ფარგლებში ალიევმა მოახერხა რუსეთთან სავიზო რეჟიმის საკითხის გადადება, ასევე რუსეთმა უარი თქვა მის მოთხოვნაზე, რომ ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე განთავსებული ყოფილიყო რუსული სამხედრო ნაწილები. თუმცა ამავე გარიგების ფარგლებში ალიევი დათანხმდა რუსეთს, რომ მიექირავებინა მისთვის გაბალას სარადარო სადგური 10 წლის ვადით, რისთვისაც რუსეთი წლიურად 2 მილიონ დოლარს გადაუხდიდა აზერბაიჯანს.¹⁸⁷ შედეგად ალიევის მმართველობის ბოლო წლებში რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები შედარებით გაუმჯობესდა.

ალიევმა ასევე სცადა ირანთან ურთიერთობების ნორმალიზება, რადგან იგი თვლიდა, რომ ირანთან უკეთესი ურთიერთობები მას პირველ რიგში ყარაბაღის კონფლიქტის აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყვეტაში დაეხმარებოდა.¹⁸⁸ შესაბამისად, აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები ალიევის მმართველობის პირველ წლებში შედარებით პოზიტიური მიმართულებით განვითარდა, ვიდრე ელჩიბეის მმართველობისას.¹⁸⁹

გაუმჯობესებული ურთიერთობების პირველ ნიშნად 1993 წლის ოქტომბერში ბაქოში ირანის იმდროინდელი პრეზიდენტის რაფსანჯანის ვიზიტი იქცა. ვიზიტის ფარგლებში 14-მდე შეთანხმების ხელმოწერა მოხდა ორ სახელმწიფოს შორის.¹⁹⁰ მომდევნო წელს ამას მოყვა ალიევის საპასუხო ვიზიტი თეირანში, თუმცა ეს ვიზიტი შედგა მას შემდეგ, რაც ალიევმა ჯერ ოფიციალური ვიზიტები დაასრულა თურქეთსა და სხვა წამყვან დასავლურ სახელმწიფოებში, რაც ნათლად

¹⁸⁷ Nailia Sohbetqizi, Pragmatism Guides Russian-Azerbaijan Deal Making (*Eurasia Insight*, 1/11/02)

¹⁸⁸ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000, p. 41)

¹⁸⁹ იქვე . . .

¹⁹⁰ Gareth M. Winrow, Azerbaijan and Iran (In: *Regional Power Rivalries in the New Eurasia: Russia, Turkey and Iran*. Alvin Z. Rubenstein and Oles M. Smolansky. (Eds) M.E. Sharpe, Inc. 1995 p.97)

ასახავდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობისთვის ირანთან ურთიერთობები ყველაზე პრიორიტეტული არ იყო.¹⁹¹

4.2.1 კასპიის ზღვის კრიზისი

თუმცა სიმშვიდემ ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებში დიდ ხანს ვერ გასტანა. 1995 წელს განვითარებულმა მოვლენებმა საფუძველი გამოაცალა ორ ქვეყანას შორის პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას. 1994 წლის 11 ნოემბერს აზერბაიჯანმა ირანთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც იგი ირანს ამღებდა 25 პროცენტს საერთაშორისო კონსორციუმში, რომელიც მიზნად აზერბაიჯანის ნავთობის ექსპლუატაციას და ტრანსპორტირებას ისახავდა.¹⁹² თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების დაჟინებული მოთხოვნით, ირანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია გამორიცხული იქნა და ხელშეკრულება შეწყდა.¹⁹³ ამ შემთხვევამ სრულად გამოაცალა საფუძველი ორ ქვეყანას შორის სტაბილური ურთიერთობების განვითარებას. მართალია, ალიევმა საკუთარი პრეზიდენტობა ირანთან ურთიერთობების ნორმალიზების განზრახვით დაიწყო, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მიაღწა დამაბული რჩეობა.¹⁹⁴ ორმხრივ ურთიერთობებში არსებულმა დამაბულობამ პიკს 2001 წელს მიაღწია, როდესაც ირანის სამხედრო გემებმა იერიში მიიტანეს აზერბაიჯანის ხომალდზე, რომელიც კვლევით სამუშაოებს ახორციელებდა კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში.¹⁹⁵ ამ ინციდენტის შემდეგ ირანის სამხედრო თვითმფრინავებმა არაერთხელ დაარღვიეს აზერბაიჯანის საჰაერო სივრცე.¹⁹⁶ აზერბაიჯანის მთავრობის მიერ ირანის ამგვარი ქმედება აზერბაიჯანის საჰაერო სივრცისა და

¹⁹¹ იქვე . . .

¹⁹² Emil Souleimanov and Ondrej Ditrych, Iran and Azerbaijan: A Contested Neighborhood (*Middle East Policy*, Vol. XIV, No. 2, Summer 2007. p. 104)

¹⁹³ იქვე . . .

¹⁹⁴ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p.42)

¹⁹⁵ Fariz Ismailzade, Azerbaijan's Tough Foreign Policy Choices (*UNISCI Discussion Papers*, October 2004. pp. 5-6)

¹⁹⁶ Ariel Cohen, Iran's Aggressive Moves in Caspian Basin Challenge International Economic and Security Interests (*Eurasianet*. 8/14/01 <http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav081401.shtml>)

ტერიტორიული წყლების საზღვრების დარღვევად და საგარეო აქტორის მხრიდან აზერბაიჯანის წინააღმდეგ პირდაპირ აგრესიად იქნა შეფასებული.¹⁹⁷ ამ კრიზისის პირობებში აზერბაიჯანმა დახმარებისათვის ანკარას და ვაშინგტონს მიმართა, რის შედეგადაც ვაშინგტონმა სამხედრო ექსპერტები გამოაგზავნა აზერბაიჯანში კასპიის ზღვაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და აზერბაიჯანის საზღვაო ნაწილების გაწვრთნის მიზნით.¹⁹⁸

კასპიის კრიზისი და აზერბაიჯანის რეაქცია ირანის აგრესიულ განზრახვებზე კიდევ ერთხელ ადასტურებს საფრთხის წონასწორობის თეორიის ამხსნელობით უპირატესობას ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში. საფრთხის აღქმის პარარელურად სახელმწიფოები არსებული საფრთხის დაბალანსების ან მასთან მიტმასნების სტრატეგიას მიმართავენ. რაც უფრო დიდია საფრთხე ან მისი აღქმა მით უფრო იზრდება საფრთხის წყაროსთან ან მის წინააღმდეგ კავშირში შესვლის მცდელობა და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია საფრთხის აღქმა, მით უფრო ნაკლებია კავშირში შესვლის მოტივაცია.¹⁹⁹ კასპიის კრიზისის პირობებში აზერბაიჯანმა არსებული საფრთხის დაბალანსება სცადა უფრო ძლიერი სახელმწიფოს მეშვეობით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ძალთა წონასწორობის თეორიის მთავარ დაშვებას. აზერბაიჯანმა ამკარად საფრთხის დაბალანსების სტრატეგია ამჯობინა ძლიერების დაბალანსებას, რადგან ამ შემთხვევაში დაბალანსება განხორციელდა არა მხოლოდ ძლიერების წინააღმდეგ, არამედ საფრთხის, რომელიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში სულ მცირე ორი ფაქტორის კომბინაციით იყო განპირობებული: გეოგრაფიული სიახლოვით და აგრესიული განზრახვებით.

რუსეთთან და ირანთან დამაბული ურთიერთობების ფონზე ალიევი ააქტიურებს დიპლომატიას დასავლეთთან მიმართებაშიც. აცნობიერებდა რა რომ მთიანი

¹⁹⁷ Mohammad-Reza Djalili, Iran and the Caucasus: Maintaining Some Pragmatism (*Connections, The Quarterly Journal*, Vol. 1. No. 3 July 2002. p. 50)

¹⁹⁸ Stephen Blank, US Military in Azerbaijan, to Counter Iranian Threat (*Central Asia-Caucasus Institute Analyst*, 04/10/2002)

¹⁹⁹ Dan Reiter, *Crucible of Beliefs: Learning, Alliances and World Wars* (Cornell University Press. 1996. p. 47)

ყარაბაღის კონფლიქტის გადასაჭრელად აუცილებელი იყო რუსეთ-სომხეთის ალიანსის შეკავება, აზერბაიჯანისათვის პრიორიტეტული გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გააქტიურება დასავლეთთან, განსაკუთრებით კი ამერიკასთან და ნატოსთან.²⁰⁰ 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან აზერბაიჯანი აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან. 1994 წელს აზერბაიჯანი ჩაერთო ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში. 1999 წელს კი პირველად მიიღო მონაწილეობა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში.²⁰¹ 2000 წელს დიდი ხნის მოლაპარაკებების შედეგად აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს წევრი გახდა, რაც პოსტ-კომუნისტურ ეპოქაში აზერბაიჯანის პრო-დასავლური ორიენტაციის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად იქნა შეფასებული.²⁰² რაც შეეხება ამერიკასთან ურთიერთობებს, საწყის ეტაპზე მასზე დიდ გავლენას ახდენდა 907 შესწორება და სომხური ლობის ზეწოლა კონგრესზე. ამავდროულად, ამერიკის დაინტერესებაც აზერბაიჯანის ნავთობ რესურსებით იყო განპირობებული. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 907 შესწორება უკრძალავდა ამერიკის მთავრობას პირდაპირი სამხედრო და პოლიტიკური დახმარების აღმოჩენას აზერბაიჯანისათვის, ამერიკის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრი ამერიკული ნავთობ-კომპანია ჩაერთო აზერბაიჯანის ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების საქმეში. რეალური გარდატეხა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში მოხდა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, როდესაც ამერიკის დაინტერესება აზერბაიჯანითა და მთლიანად რეგიონით მხოლოდ ნავთობის საკითხით აღარ შემოიფარგლება და ანტიტერორისტულ კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა, როგორც პროამერიკულმა ისლამურმა სახელმწიფომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობით.²⁰³ გაზრდილი დაინტერესების ნათელ

²⁰⁰ Sabit Bagirov, Azerbaijan's Strategic Choice in the Caspian Region (In: The Security of the Caspian Sea Region. Gennady Chufirin (Ed), Oxford University Press. 2001. p. 179)

²⁰¹ იქვე . . . გვ. 4

²⁰² Fariz Ismailzade, Azerbaijan's Tough Foreign Policy Choices (*UNISCI Discussion Papers*, October 2004. p.4)

²⁰³ Leyla Shamchiyeva, Azerbaijan in the U.S. Interests (*The Journal of Turkish Weekly Opinion*, March 21, 2008. <http://www.turkishweekly.net/index.php>)

გამოვლინებად იქცა 907 შესწორების გაუქმება კონგრესის მიერ 2001 წელს.²⁰⁴ 2002 წელს კი პირველი ორმხრივი ამერიკულ-აზერბაიჯანული კონსულტაციები შედგა ბაქოში, რომელიც ძირითადად კასპიის ზღვის უსაფრთხოებასა და აზერბაიჯანელი სამხედროების გაწვრთნაზე იყო ფოკუსირებული.²⁰⁵

ჰეიდარ ალიევმა, პრეზიდენტობის ბოლო წლებში, მოახერხა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის გატარება საგარეო აქტორებთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან მიმართებაში. თუმცა, ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში დამაბულობა და ორმხრივი უნდობლობა მაინც რჩებოდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ალიევი იძულებული გახდა დაესრულებინა მოღვაწეობა, ხოლო მისი ადგილი 2003 წლის ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად მისმა შვილმა ილჰამ ალიევმა დაიკავა.

4.3. 2003 – 2012 - ილჰამ ალიევის საგარეო პოლიტიკა

ილჰამ ალიევის საგარეო პოლიტიკური კურსი დიდად არ განსხვავდება მისი წინამორბედისაგან. თუმცა ამავდროულად შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი პრეზიდენტი არანაკლებ გამბედავად თანამშრომლობს დასავლეთთან კერძოდ, კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამერიკის მხრიდანაც საკმაოდ დიდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას იღებს აზერბაიჯანი. 2004 წელს ვაშინგტონმა 10 მილიონი დოლარი გამოუყო აზერბაიჯანის მთავრობას საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მესაზღვრეების გასაწვრთნელად.²⁰⁶ ასევე ამერიკამ და აზერბაიჯანმა ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარეს კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის ფლოტის და სამხედრო მეზღვაურების გაწვრთნის მიზნით.²⁰⁷

²⁰⁴ Martha Brill Olcott, U.S. Policy in the South Caucasus (*Connections, The Quarterly Journal*, Vol. 1. No.3 July 2002. p.61)

²⁰⁵ იქვე . . . გვ. 62

²⁰⁶ United States Signs Agreement with Azerbaijan to Help Ex-Soviet Republic to Strengthen its Borders (*Associated Press*, January 3. 2004)

²⁰⁷ Sevindzh Abdullayeva, Victor Shulman, U.S. Azerbaijan Begin 10-Day Naval Exercises, (*Itar-TASS News Service*, January 26. 2004)

ილჰამ ალიევის ხელისუფლების მთავარ საგარეო პოლიტიკურ სამიზნეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და სომხეთთან ურთიერთობები წარმოადგენს. თუმცა ამ მიმართულებით სერიოზული და ხელშესახები ძვრები ჯერ არ მომხდარა. ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანი 13 წლის განმავლობაში ცდილობდა კონფლიქტის დიპლომატიური გზებით მოწესრიგებას და მომდევნო 13 წელი ლოდინს აღარ აპირებს.²⁰⁸ კონფლიქტის მშვიდობიანად დაურეგულირებლობის შემთხვევაში აზერბაიჯანი სამხედრო მოქმედებებსაც არ გამორიცხავს სომხეთის წინააღმდეგ.²⁰⁹ აზერბაიჯანს დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სამხედრო ბიუჯეტი აქვს. ილჰამ ალიევის განცხადებით აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სულ მცირე რვაჯერ გაიზარდა. აზერბაიჯანის გამაღებელი მილიტარიზაცია უსაფრთხოების დილემის ფაქტორს კიდევ უფრო აღრმავებს სომხეთთან და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესაძლებლობასაც ამცირებს.

აზერბაიჯანის ურთიერთობები რუსეთთან და ირანთან გარკვეულწილად გაუმჯობესდა, რის ნათელ დადასტურებადაც იქცა პრეზიდენტ პუტინის ვიზიტი ბაქოში 2006 წლის ოქტომბერში.²¹⁰ თუმცა, მიუხედავად ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისა, ამ სახელმწიფოებს შორის უნდობლობა ჯერ კიდევ რჩება.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის განვითარების ეტაპები და ძირითადი პრიორიტეტები რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. პირველი, თუ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის განვითარების ეტაპებს გავყვებით ვნახავთ, რომ ელჩიბეის მმართველობის პერიოდში საგარეო საფრთხის დაბალანსების სტრატეგია გამოკვეთილად უპირატესი იყო მიტმასნებასთან მიმართებაში. ელჩიბეი, რომელიც აზერბაიჯანის მთავარ საგარეო საფრთხეებად

²⁰⁸ Thomas De Waal, Arms Races in the Caucasus (*Internationale Politik, Journal of German Council on Foreign Relations*, Fall Issue 3, Vol. 8, 2007. p. 70)

²⁰⁹ ``We must be ready to the armed resolution of the conflict and we are ready for it`` (Today. Az. Politics. <http://www.today.az/news/politics/43497.html>)

²¹⁰ Azerbaijan Frustrates Russia's Bid to Control Caucasus Energy Grid (*Eurasianet. Business and Economics*. 3/14/06. <http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav031406.shtml>)

მიიჩნევდა სომხეთს, რუსეთს და ირანს და მათ შორის არსებულ კავშირს, ცდილობდა, ამ საფრთხეების დაბალანსების მიზნით თურქეთისა და დასავლეთის მხარდაჭერა მოეპოვებინა. ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვითარება ერთგვარად იცვლება. ალიევი, რომელიც ბევრად უფრო პრაგმატული პოლიტიკოსი გამოდგა, ვიდრე მისი წინამორბედი, აცნობიერებდა, რა რუსეთის და ირანის როლს ყარაბაღის კონფლიქტში, ცდილობდა შედარებით დაბალანსებული გაეხადა აზერბაიჯანის საგარეო ურთიერთობები. აზერბაიჯანის დსთ-ში შესვლა მიტმასნების კლასიკური შემთხვევა იყო. თუმცა, ალიევმა დსთ უფრო პრაგმატული მიზნებისათვის გამოიყენა, ხოლო 1999 წელს დატოვა კიდევაც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება. იმ პერიოდში ალიევი იმასაც კარგად აცნობიერებდა, რომ 907 შესწორების და სომხური ლობის მიერ კონგრესზე განხორციელებული ზეწოლის პირობებში, ამერიკასთან მოკავშირეობა რუსეთის, ირანის და სომხეთის კავშირის დაბალანსების მიზნით ნაკლებად რეალისტური სტრატეგია იყო. რამდენად ხსნის ჰეიდარ ალიევის მმართველობის პერიოდს საფრთხის წონასწორობის თეორია და ნაშრომის თეორიულ ნაწილში გამოთქმული მოსაზრება დაბალანსების სტრატეგიასთან მიმართებაში? ერთი შეხედვით, ჰეიდარ ალიევის მმართველობის პერიოდის აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა საკმაოდ რთული შემთხვევაა თეორიისთვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეორიის ამხსნელობითი უნარის შემოწმების ერთ-ერთი ვალიდური გზა სწორედ, რომ ისეთი შემთხვევების (რთული შემთხვევების) ანალიზია, რომელიც, ერთი შეხედვით, თეორიის ამხსნელობით ჩარჩოებს სცდება. კვლევის თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფოთა მიერ დაბალანსების მცდელობის ზრდა პირდაპირ კორელაციაშია საფრთხის აღქმის ზრდის ხარისხთან. ანუ რაც უფრო დიდია საფრთხე, მით უფრო დიდია საფრთხის წყაროს დაბალანსების ან შესაბამისი გარემო პირობების არსებობის შემთხვევაში მასთან მიტმასნების მოტივაცია. საწყის ეტაპზე რუსეთთან და ირანთან გაუმჯობესებული ურთიერთობები იყო ის ძირითადი ფაქტორი, რამაც მისცა საშუალება ალიევს, რომ შედარებით დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსი აეღო. თუმცა როგორც კი კასპის კრიზისის პირობებში, ირანი რეალურად

დაემუქრა აზერბაიჯანს სამხედრო ქმედებებით კასპის ზღვაში, მაშინათვე გამოიკვეთა დაბალანსების მოტივაცია. კასპის კრიზისი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნაშრომის ორ მთავარ თეორიულ ვარაუდს. პირველი, რომ სახელმწიფოები საგარეო საფრთხის ზრდის პარალელურად მის დაბალანსებას ამჯობინებენ, ვიდრე მასთან მიტმასნებას. და მეორე, საფრთხის წონასწორობის თეორია უპირატესია ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში, რადგან აზერბაიჯანმა ამერიკის შეერთებულ შტატებს, საერთაშორისო სისტემის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს მიმართა დახმარებისათვის გეოგრაფიულად ახლოს მდებარე და აგრესიული სახელმწიფოს დაბალანსების მიზნით.

ბუნებრივია, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში დღეს საგარეო საფრთხის გარე დაბალანსების მცდელობა შედარებით ნაკლებად გამოკვეთილია, ვიდრე საქართველოს შემთხვევაში. თუმცა აქაც საფრთხის წონასწორობის თეორია გვცემს პასუხს. საქართველო დღეს რუსეთს უფრო დიდ საფრთხედ მიიჩნევს, ვიდრე აზერბაიჯანი რუსეთს და ირანს მათ შორის გაუმჯობესებული ურთიერთობების ფონზე.²¹¹ თუ თეორიის ლოგიკას და წარსულ გამოცდილებას გავყვებით (კასპის კრიზისს ვგულისხმობთ) მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ირანისა და რუსეთის მხრიდან აგრესიული ქმედებების შემთხვევაში აზერბაიჯანი გააძლიერებს დაბალანსების მცდელობას, ისევე როგორც მან ეს კასპის ზღვის კრიზისის პირობებში გააკეთა. რაც შეეხება სომხეთს, ამ ქვეყანასთან მიმართებაში აზერბაიჯანი დაბალანსების შიდა სტრატეგიებს ეყრდნობა და ეკონომიკური ზრდის ხარჯზე სამხედრო შესაძლებლობებს აუმჯობესებს.

რაც შეეხება, ეკონომიკური დამოკიდებულების მნიშვნელობას აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში, საქართველოსთან შედარებით სურათი განსხვავებულია. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აზერბაიჯანი ეკონომიკურად უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე საქართველო, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკური ვექტორი ისე მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის, როგორც საქართველოს

²¹¹ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პოსტ-საბჭოთა პერიოდში, ე.წ. ახლო საზღვარგარეთში, რუსეთის აგრესიის ძირითადი ნაწილი სწორედ საქართველოზე მოდიოდა.

შემთხვევაში.²¹² მაშინ როცა საქართველოს დეკლარირებული მიზანია გახდეს სრულფასოვანი წევრი ისეთი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციების, როგორც არის ნატო და ევროკავშირი, აზერბაიჯანის აცხადებს, რომ ნატოსთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, თუმცა ალიანსში გაწევრიანება ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას.²¹³ აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ აზერბაიჯანი ატარებს მრავალვექტორულ და დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას.²¹⁴ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აზერბაიჯანისთვის ევროკავშირი უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, ვიდრე საქართველოსთვის, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში პროდასავლური ვექტორი უფრო ნაკლებად მკვეთრია, ვიდრე საქართველოს შემთხვევაში. ასევე, აზერბაიჯანი რუსეთზე ეკონომიკურად უფრო ნაკლებად დამოკიდებულია, ვიდრე საქართველო იყო 2006 წლის ემბარგომდე. შესაბამისად, ეს გარემოება, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადი დამოუკიდებელი ამხსნელობითი უნარის მქონე არ არის და მხოლოდ სხვა ფაქტორების კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. მაგალითად, აზერბაიჯანის სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2011 წელს აზერბაიჯანის წამყვან სავაჭრო პარტნიორებს შორის ვაჭრობის რუსეთის ხვედრითი წილი შეადგენდა მხოლოდ 7.8 %, მაშინ როცა ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან, თურქეთთან და ამერიკასთან 54.4 % (მათ შორის: იტალია - 26.4%, საფრანგეთი - 12.8%, ამერიკის შეერთებული შტატები - 6.7 %, თურქეთი - 4.8 %, გერმანია 3.8 %)²¹⁵. ასევე, განსხვავებით საქართველოსგან, აზერბაიჯანის სავაჭრო ბალანსი (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის) დადებითია, რაც ეკონომიკის დამოუკიდებლობის და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.²¹⁶ მაგალითად, 2011 წლის მონაცემებით აზერბაიჯანის ექსპორტი 3.8

²¹² აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის შედარებითი ანალიზისთვის იხ. Azerbaijan's Foreign Trade: Comparative Analysis (Center for Economic and Social Development. Report. 2012. http://cesd.az/new/wp-content/uploads/2012/03/CESD_Publication_Foreign_Trade_Azerbaijan.pdf

²¹³ "Azerbaijan not planning to join NATO – FM," *Highbeam Business*,

<http://business.highbeam.com/407705/article-1G1-240193935/azerbaijan-not-planning-join-nato-fm>

²¹⁴ "National Security Concept of the Republic of Azerbaijan" (Baku: Ministry of National Security of the Republic of Azerbaijan, 2007), available at <http://www.mns.gov.az/en/>.

²¹⁵ იხ. გრაფიკი 10.

²¹⁶ მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2008 წელს მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად აზერბაიჯანი 157 ქვეყნიდან მე-12 იყო ვაჭრობის ზრდის დინამიკის მიხედვით. იხ. World Bank. 2010.

ჯერ აღემატებოდა იმპორტს²¹⁷, მაშინ როცა საქართველოს შემთხვევაში იმპორტი 4.2 ჯერ მეტია, ვიდრე ექსპორტი. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნები საკუთარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს უქვემდებარებენ ეკონომიკურ ინტერესებს უძლურია ახსნას საქართველოს და აზერბაიჯანის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის ლოგიკით, რადგან აზერბაიჯანისთვის ევროკავშირის და ნატოს ქვეყნებთან ვაჭრობაზე მოდის მნიშვნელოვანი ნაწილი მის საერთო საგარეო ვაჭრობაში, პროდასავლური ვექტორი აზერბაიჯანის შემთხვევაში უფრო მკაფიო უნდა იყოს, ვიდრე საქართველოს შემთხვევაში. ასევე, რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებულება, როგორც ვაჭრობის ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით, აზერბაიჯანს აძლევს უფრო მეტად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების შესაძლებლობას, თუმცა ბოლო პერიოდში და განსაკუთრებით ილჰამ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად ვითარდება და ღრმავდება.

თავი 5

სომხეთის საგარეო პოლიტიკა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სომხეთის საგარეო პოლიტიკის განვითარებაში სამი ეტაპის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველი ეტაპი ტერ-პეტროსიანისა და სომხეთის ეროვნული მოძრაობის მმართველობის პერიოდიდან იწყება და 1997 წლამდე გრძელდება. მეორე ეტაპი კი რობერტ ქოჩარიანის ხელისუფლებაში მოსვლას ემთხვევა და 2008 წლის დასაწყისამდე გრძელდება. მესამე ეტაპი კი პრეზიდენტად სერჟ სარქისიანის არჩევას ემთხვევა და დღევანდელ დღემდე გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ადმინისტრაციის საგარეო

“Azerbaijan Trade Brief.” World Trade Indicators 2009/10: Country Trade Briefs. Washington, DC: World Bank. http://info.worldbank.org/etools/wti/docs/Azerbaijan_brief.pdf

²¹⁷ <http://ann.az/en/?p=90203>

პოლიტიკა უფრო განგრძობითობით და მსგავსებებით ხასიათდებოდა, ვიდრე ცვლილებებით და განსხვავებებით. სამივე ადმინისტრაციის პირობებში სომხეთის საგარეო პოლიტიკა გამოკვეთილად რუსეთთან მოკავშირეობაზე იყო ორიენტირებული. ბუნებრივია გარკვეული განსხვავებები არსებობდა სამი ლიდერის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში, თუმცა საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხები, როგორცაა უსაფრთხოება და სტრატეგიული მოკავშირეების შერჩევა სამივე ლიდერის შემთხვევაში უცვლელი რჩებოდა.

5.1. 1991-1997 წლები - ტერ-პეტროსიანის საგარეო პოლიტიკა

სომხეთის საგარეო პოლიტიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც დღესაც განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტებს საგარეო ურთიერთობებში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთის გეოგრაფიული იზოლირებულობა ძირითადად მეზობელ სახელმწიფოებთან (აზერბაიჯანთან და თურქეთთან) დიპლომატიური ურთიერთობების და ზღვაზე გასასვლელის არ ქონის გამო.²¹⁸ ასევე ისტორიული გამოცდილება, რაც უდავოდ დიდ გავლენას ახდენს და განსაზღვრავს სომხეთის ურთიერთობებს განსაკუთრებით თურქეთთან.²¹⁹ და ბოლოს ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც დღესაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში.

სომხეთის ეროვნულ მოძრაობას, რომელიც ქვეყანას სათავეში 1990 წელს ჩაუდგა, სომხეთის საგარეო ურთიერთობების განვითარების რევიზიონისტული ხედვა

²¹⁸ საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული იზოლირებულობის ფაქტორის მნიშვნელობაზე, იხ. Avinoam Idan, Brenda Shaffer, *The Foreign Policies of Post-Soviet Landlocked States*, (Post Soviet Affairs, 2011. Vol 27. Issue 3. pp. 241-268)

²¹⁹ დაპირისპირებამ ორ ერს შორის პიკს მე-20 საუკუნის დასაწყისში მიაღწია, როდესაც დაახლოებით ორ მილიონამდე სომეხი იქნა მოკლული ოსმანთა იმპერიაში. დღეს საკმაოდ გავლენიანი სომხური დიასპორა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოითხოვს 1915 წლის მოვლენების გენოციდად აღიარებას. თურქეთის მთავრობა კი აცხადებს, რომ ეს მოვლენები პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი ვითარების გამო მოხდა და არაფერი აქვს საერთო სომხების წინააღმდეგ ორგანიზებულ ძალადობასთან. იხ. Anush Begoyan, *National Concepts of Security and the Problem of Integration in Transcaucasia (Iran and the Caucasus)*, 2006, Vol. 10 Issue 2, pp. 289-290

ედო საფუძვლად. ამ ხედვის თანახმად თურქეთსა და სომხეთს შორის არსებულ მძიმე ისტორიულ გამოცდილებას ხელი არ უნდა შეეშალა ამ ორ ქვეყანას შორის პრაგმატული ურთიერთობების განვითარებისათვის.²²⁰ ამ მოსაზრებას ორი მოტივი ედო საფუძვლად: (1) თურქეთი სომხეთის მეზობელი, დიდი სახელმწიფოა, რაც გულისხმობს, რომ სომხეთმა მასთან შეთანხმებას უნდა მიაღწიოს; (2) თანამედროვე თურქეთი დიდად განსხვავდება ოსმანთა იმპერიისაგან; მან უარყო პან-თურქიზმისა და პან-ისლამიზმის იდეები და გამოკვეთილად ევროპული ორიენტაცია აიღო.²²¹ გარდა ამისა, ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე სომხეთის იმდროინდელი ადმინისტრაცია აცნობიერებდა, რომ თუ სომხეთი შეძლებდა თურქეთთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების წამოწყებას და თურქეთს ევროპასთან დამაკავშირებელ სატრანზიტო ხიდად გამოიყენებდა, ეს ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ სომხეთის გეოგრაფიულად მოწყვლადი მდებარეობის ეფექტების შერბილებას, არამედ დროთა განმავლობაში გენოციდის საკითხის მოგვარებასაც გამოიწვევდა.²²² ტერ-პეტროსიანი და მისი ადმინისტრაცია, განსაკუთრებით მათი მმართველობის პირველ წლებში, სწორედ ამ რევიზიონისტული ხედვით ხელმძღვანელობდა და თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად მიიჩნევდა. პეტროსიანი აცნობიერებდა, რომ ამ მიზნის მიღწევა გენოციდის აღიარების მოთხოვნაზე უარის თქმით უნდა დაწყებულიყო. ამ მიმართულებით რამდენიმე ხელშესახები ნაბიჯიც გადაიდგა. პეტროსიანი წინააღმდეგი იყო გენოციდის აღიარების მოთხოვნის სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩადების.²²³ თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა უმრავლესობა და ასევე დიასპორის პარტიები ამგვარი ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამ პარტიებს, გარდა გენოციდის აღიარების

²²⁰ Shireen T. Hunter, *The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States* (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 31)

²²¹ იქვე . . .

²²² Joseph R. Masih, Robert O. Krikorian, *Armenia's Foreign Policy* (In: *Armenia: At the Crossroads*. OPA. 1999. p.98)

²²³ Kamer Kasim, *Armenia's Foreign Policy: Basic Parameters of Ter-Petrosian and Kocharian Era* (*Review of Armenian Studies*, Volume I, Number 1, 2002, pp. 91-92)

საკითხისა, გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიებიც ჰქონდათ თურქეთთან.²²⁴ იმ პერიოდში, უფრო ნაციონალისტურად განწყობილი ძალები მიიჩნევდნენ, რომ გენოციდის საკითხი სომხეთის საგარეო პოლიტიკის ინტეგრალური ნაწილი უნდა ყოფილიყო და თურქეთთან ურთიერთობები გენოციდის აღიარების მოთხოვნით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.²²⁵ ტერ-პეტროსიანის რევიზიონისტულ საგარეო პოლიტიკურ ხედვებს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, როგორც ქვეყნის შიგნით მოღვაწე პარტიების მხრიდან, ასევე დიასპორის მხრიდანაც. განსაკუთრებით აქტიური ამ მხრივ დიასპორის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სომხეთის ურთიერთობები თურქეთთან არ შეიძლებოდა მოწესრიგებულიყო, მანამ სანამ თურქეთი არ აღიარებდა გენოციდს. განსხვავებით დიასპორის წარმომადგენლებისაგან პეტროსიანი და სომხეთის ეროვნული მოძრაობა თვლიდა, რომ თურქეთი არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა სომხეთს. შესაბამისად ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ნორმალიზება იმ პერიოდში სომხეთის ინტერესებში შედიოდა. პეტროსიანის ამგვარმა სტრატეგიამ ნაწილობრივ იმუშავა კიდევ. თურქეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთის დამოუკიდებლობა აღიარა.²²⁶ გარდა ამისა, 1992 წელს თურქეთმა დროებით გახსნა საზღვარი სომხეთთან და მისცა ჰუმანიტარული დახმარების გატარების შესაძლებლობა.²²⁷ იმავე წელს სომხეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას თურქეთის მთავრობასთან, რომლის საფუძველზე თურქეთი ელექტროენერჯიას მიაწვდიდა სომხეთს. თუმცა, 1993 წელს შეთანხმების იმპლემენტაციამდე, ბაქოდან და შიდა ოპოზიციის მხრიდან წინააღმდეგობის პირობებში, თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა შეთანხმება გაეუქმებინა.²²⁸

²²⁴ იქვე . . .

²²⁵ Arus Harutyunyan, Dual Citizenship Debates in Armenia: In Pursuit of National Identity Since Independence (*Demokratizatsiya*, Vol. 14 Issue 2, Spring 2006, p. 287)

²²⁶ F. Stephen Larrabee, Ian O. Lesser, Turkish Foreign Policy in an Age of Uncertainty (RAND 2003, p.106)

²²⁷ Joseph R. Masih, Robert O. Krikorian, Armenia's Foreign Policy (In: Armenia: At the Crossroads. OPA. 1999. p.98)

²²⁸ Scott A. Jones, Turkish Strategic Interests in the Caucasus (In: Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 62)

მიუხედავად ტერ-პეტროსიანის მიერ თურქეთთან ურთიერთობების მოწესრიგების მცდელობისა, ამ პროცესს, გარდა შიდა წინააღმდეგობისა, რასაც აწყდებოდა სომხეთის იმდროინდელი ხელისუფლება ოპოზიციისა და დიასპორის წარმომადგენლების მხრიდან, თურქეთის მიერ გადადგმული რამდენიმე ნაბიჯიც აბრკოლებდა. პირველი, თურქეთის პოზიციამ გენოციდის საკითხთან მიმართებაში ხელი შეუშალა ორ ქვეყანას შორის სტაბილური ურთიერთობების განვითარებას. მეორე, ყარაბაღის ომის მსვლელობისას და მის შემდეგაც თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციების დაცვამ და სომხეთის იზოლაციის მცდელობამ კიდევ უფრო გააღრმავა ის უნდობლობა, რომელიც ისტორიული ნარატივებით იკვებებოდა. და ბოლოს, 1990-იანი წლების დასაწყისში, თურქეთსა და აზერბაიჯანში პან-თურქიზმის იდეების აღზევებამ, დამატებითი ბარიერის როლი შეასრულა ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებაში.²²⁹ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების შეფასებისას, შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სომხეთის პირველი ადმინისტრაციის მცდელობისა განემუხტა ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიულად მტრული ურთიერთობები, ხელშესახები შედეგების მიღწევა ამ მიმართულებით ვერ მოხერხდა. მომდევნო წლებში გაუცხოება ორ სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა.

განსხვავებით თურქეთისაგან, სომხეთის ურთიერთობები მეზობელ ირანთან ფსიქოლოგიური და ისტორიული ბარიერების არარსებობის ფონზე უფრო დადებითი მიმართულებით განვითარდა. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში პოზიტიური წვლილი ასევე რამდენიმე სტრატეგიულმა და ეკონომიკურმა ფაქტორმაც შეიტანა. პირველი, ირანს შეეძლო სომხეთისათვის გარესამყაროსთან დამაკავშირებელი სახელმწიფოს ფუნქცია შეესრულებინა და ამით მეტ-ნაკლებად შეერბილებინა თურქეთისა და აზერბაიჯანის მიერ განხორციელებული ბლოკადის და იზოლირებულობის შედეგები. მეორე, ირანი

²²⁹ Shireen T. Hunter, *The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States* (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000, p. 31)

თავიდანვე საკმაოდ ღირებული ეკონომიკური პარტნიორი გახდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას შეეძლო სომხეთის ენერგო რესურსებით უზრუნველყოფა. მესამე, ირანსაც და სომხეთსაც მსგავსი პოზიცია ეკავათ აზერბაიჯანთან მიმართებაში. სომხეთი აზერბაიჯანს იმ პერიოდში მისი სახელმწიფოებრიობის მთავარ საფრთხედ მიიჩნევდა. ირანი კი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის არსებობის ფაქტს, რომელსაც განსაკუთრებით ელჩიბეის მმართველობის პერიოდში, გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა მასთან, საკუთარი უსაფრთხოებისათვის მთავარ საფრთხედ მიიჩნევდა.²³⁰ და ბოლოს 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთ-ისრაელის კავშირმა, რასაც ემატებოდა აზერბაიჯანის მჭიდრო ურთიერთობები ისრაელთან, ასევე გაზარდა ირანის მხრიდან სომხეთთან მჭიდრო ურთიერთობების განვითარების მოტივაცია.²³¹ ირანსა და სომხეთს შორის არსებული სამოკავშირეო ურთიერთობები, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდა მომდევნო წლებში, ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ რელიგიური სოლიდარობა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია მოკავშირეების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებისას.²³² მუსლიმურმა, შიიტურმა ირანმა, აცნობიერებდა რა საფრთხეს შიიტური აზერბაიჯანის მხრიდან, ქრისტიანულ სომხეთს გაუწია დახმარება აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

ამავე პერიოდში აქტიურდება სომხეთის ურთიერთობები დასავლეთთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუმცა ამ ურთიერთობების მთავარი განმსაზღვრელი უფრო გავლენიანი სომხური დიასპორა იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესები სომხეთთან

²³⁰ Elkhan Nuriyev, Post-September 11 Regional Geopolitics: Azerbaijan and the New Security Environment in the South Caucasus (Connections, The Quarterly Journal, Vol.I, No.3, July 2002. p.18)

²³¹ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 32)

²³² ეს კონკრეტული შემთხვევა გარდა იმისა, რომ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოები მოკავშირეების შერჩევისას პრაგმატული და მათი უსაფრთხოებისათვის მისაღები გათვლებით ხელმძღვანელობენ, ასევე წარმოადგენს განსაკუთრებით რთულ შემთხვევას XX-საუკუნის 1990-იანი წლების ბოლოსათვის გავლენიანი ცივილიზაციათა შეჯახების თეზისისათვის. ცივილიზაციათა შეჯახების თეზისის საკმაოდ კარგი კრიტიკისათვის იხ. Stephen Walt, Building up New Bogeymen (*Foreign Policy*, No. 106, 176-189. Spring, 1997)

მიმართებაში.²³³ დიასპორის აქტიურობის შედეგად მოხდა კონგრესის მიერ თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 907 შესწორების მიღება, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა ამერიკის ურთიერთობებს აზერბაიჯანთან.

თუმცა სომხეთის ურთიერთობები დასავლეთთან და უფრო კონკრეტულად კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან გარკვეულ ნიშნულს ვერ გასცდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაშიც სომხეთისა და დასავლეთის ინტერესები და ხედვები არ ემთხვეოდა ერთმანეთს ეს თურქეთის რეგიონული როლის შეფასება იყო. მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგადად დასავლეთი თურქეთს იმ პერიოდში მათ მთავარ პარტნიორად მიიჩნევდნენ და სურდათ თურქეთის გავლენის გავრცელება კავკასიაში, სომხეთს ამ საკითხთან მიმართებაში განსხვავებული პოზიციები გააჩნდა.²³⁴ ასევე საკითხი, რომელთან მიმართებაშიც სომხეთისა და დასავლეთის ხედვები განსხვავდებოდა, ეს იყო ირანის როლი რეგიონში. მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა ირანის იზოლაციას და რეგიონში მისი გავლენის შემცირებას, სომხეთი პირიქით, ირანს, რუსეთთან ერთად, აღიქვამდა ძალად, რომელიც მას თურქეთის და აზერბაიჯანის და მათგან აღქმული საფრთხის დაბალანსებაში დაეხმარებოდა. ამასვე ემატებოდა ის ფაქტიც, რომ სომხეთი დასავლეთის პოლიტიკას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ უფრო პრო-აზერბაიჯანულად თვლიდა, რადგან დასავლეთის სახელმწიფოები მხარს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვას და მთიანი ყარაბაღის ფართო ავტონომიას უჭერდნენ, ოღონდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში.²³⁵

²³³ იხ. Gerard J Libaridian, Armenia's Strategic Significance (In: Modern Armenia: People, Nation, State. New Brunswick, New Jersey. 2004. pp.283-302)

²³⁴ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 33)

²³⁵ იქვე . . . გვ. 34

სომხეთის ურთიერთობები რუსეთთან თავიდანვე პოზიტიური მიმართულებით განვითარდა. პეტროსიანის მმართველობის პერიოდში, ძირითადად აზერბაიჯანიდან მომავალი საფრთხის პირობებში სომხეთის მთავარი მოკავშირე, რომელიც უზრუნველყოფდა აღქმული საგარეო საფრთხის დაბალანსებას, რუსეთი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ პეტროსიანის ადმინისტრაციას თავიდანვე გამოკვეთილად პრო-რუსული ორიენტაცია არ გააჩნდა, რუსეთში ხელისუფლებაში ელცინის მოსვლისა, ხოლო აზერბაიჯანში პრო-თურქულად განწყობილი ნაციონალისტი ელჩიბეის მოსვლის შემდეგ სომხეთი თანდათან იწყებს დაახლოებას ყოფილ მეტროპოლიასთან.²³⁶ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სომხეთი პირველი იყო, რომელმაც ხელი მოაწერა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქარტიას და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას შეუერთდა იმ იმედით, რომ იგი შეძლებდა დსთ-ს ფარგლებში არსებული უსაფრთხოების სისტემის აქტივირებას აზერბაიჯანის წინააღმდეგ დაპირისპირებაში. თავისმხრივ სომხეთი რუსეთის მთავარი დასაყრდენი გახდა სამხრეთ კავკასიაში. 1993 წლიდან სომხეთის სამხედრო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით რუსეთმა წამოიწყო იარაღისა და სამხედრო ტექნიკის გადაცემა სომხეთისა და ყარაბაღისათვის, რაც ცნობილი გახდა ე.წ. დუმის სკანდალის შემდეგ 1996-1997 წლებში. სომხეთის მილიტარიზაცია საგარეო აქტორის მხრიდან დაადასტურა სომხეთის იმდროინდელმა თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა, როცა განაცხადა, რომ „ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ გავაორმაგეთ ჩვენი სამხედრო შესაძლებლობები, ისე, რომ ამისთვის საკუთარი ბიუჯეტიდან არაფერი დაგვიხარჯავს“.²³⁷ ტერ-პეტროსიანის მმართველობის მომდევნო წლებში სომხეთის ურთიერთობები რუსეთთან, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში, კიდევ უფრო გაღრმავდა. გარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში გაფორმებული შეთანხმებებისა ორ ქვეყანას შორის არაერთი სხვა ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდა. 1995 წელს სომხეთმა ხელი მოაწერა სამხედრო შეთანხმებას რუსეთთან, რომლის საფუძველზეც რუსეთს უფლება

²³⁶ იქვე . . .

²³⁷ RFE/RL, Caucasus Report (30 October, 1998. <http://www.rferl.org/reports/caucasus-report/1998/10/35-301098.asp>)

ეძლეოდა 20000-მდე ჯარისკაცი განეთავსებინა სომხეთის ორ სამხედრო ბაზაზე.²³⁸ 1997 წელს კი ორ სახელმწიფოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელწოდებით „მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის“.²³⁹ ამ ხელშეკრულების საფუძველზე პირველად პოსტ-საბჭოთა ისტორიაში რუსეთი იღებდა ვალდებულებას, რომ დაეცვა მოკავშირე საგარეო აგრესიის შემთხვევაში.²⁴⁰ ამ შეთანხმებას მოყვა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსეთს შეეძლო დამატებით 5000 ჯარისკაცის განეთავსებინა სომხეთის ტერიტორიაზე, რომელიც 1997 წელს რატიფიცირებულ იქნა სომხეთის პარლამენტის მიერ.²⁴¹

რუსეთსა და სომხეთს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობები სამხედრო სფეროში კიდევ უფრო გაღრმავდა მომდევნო წლებში.²⁴² შექმნილი გეოპოლიტიკური სიტუაციის ფონზე სომხეთი რუსეთს საკუთარი უსაფრთხოების მთავარ გარანტად მიიჩნევდა. რუსეთისა და სომხეთი ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის არსებული ფორმალური ალიანსის კლასიკური შემთხვევა იყო. რუსეთთან კავშირში შესვლის გასაზომად სამ ინდიკატორს გვთავაზობს ერიკ მილერი: (1) მოაწერა თუ არა ხელი სახელმწიფომ დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას; (2) დართო თუ არა რუსული სამხედრო ნაწილების განთავსების ნება საკუთარ ტერიტორიაზე; (3) მოაწერა თუ არა ხელი

²³⁸ Elkhan Nuriyev, Geopolitical Breakthrough and Emerging Challenges: The Case of the South Caucasus (*Perceptions, Journal of International Affairs*, Vol. VI, No. 2. June-July 2001. p.3)

²³⁹ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 35)

²⁴⁰ Harry Tamrazian, Armenia/Russia: landmark Treaty Includes Provision for Mutual Defense (*RFE/RL Newslines*, 1997)

²⁴¹ Shireen T. Hunter, The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States (In: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Gary Bertsch, Cassidy Craft, Scott A. Jones and Michael Beck (Eds), Routledge 2000. p. 35)

²⁴² 1991-1997 წლებში მრავალი სხვა სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდა სომხეთსა და რუსეთს შორის. თუმცა 1997 წლის შეთანხმება ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან მასში განსაზღვრულია, რომ საგარეო აგრესიის შემთხვევაში ხელშეკრულების ორივე მხარე ურთიერთდაცვის პასუხისმგებლობას იღებს.

ორმხრივ უსაფრთხოების ხელშეკრულებას რუსეთთან.²⁴³ სომხეთის შემთხვევაში სამივე ინდიკატორი სახეზეა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პეტროსიანი ცდილობდა შედარებით დივერსიფიცირებული გაეხადა სომხეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, რეალურად მთავარი მოკავშირის ფუნქციას, რომელიც საგარეო საფრთხის დაბალანსებაში დაეხმარებოდა, რუსეთი ასრულებდა.²⁴⁴

1997 წელს შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე ტერ-პეტროსიანი იძულებული გახდა გადამდგარიყო და მისი ადგილი მთიანი ყარაბაღის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ქოჩარიანმა დაიკავა. ყველაზე საგულისხმო ფაქტი იმ პერიოდში არა მხოლოდ პეტროსიანის გადადგომა იყო, არამედ ის კონტექსტი, რომელიც ამ მოვლენას ედო საფუძვლად. პეტროსიანის გადადგომა განპირობებული იყო მისი შედარებით ზომიერი მიდგომით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში და ეროვნული უსაფრთხოების იმპერატივებით იყო გამართლებული.²⁴⁵

პეტროსიანის მმართველობის პერიოდის სომხეთის საგარეო პოლიტიკა გამოკვეთილად რუსეთთან მოკავშირეობაზე იყო ორიენტირებული. თუ მივუბრუნდებით ნაშრომის თეორიულ ნაწილში გამოთქმულ მოსაზრებებს ძალთა ბალანსისა და საფრთხის ბალანსის თეორიებს შორის არსებულ ამხსნელობით უპირატესობაზე, მაშინ ამ უკანასკნელის წარმატება სახეზეა.

²⁴³ Eric A. Miller, *To Balance or Not to Balance: Alignment Theory and the Commonwealth of Independent States* (Ashgate Publishing Limited, 2006. p. 26)

²⁴⁴ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პეტროსიანს და ქოჩარიანს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები გააჩნდათ, თუ განვაზოგადებთ სომხეთის საგარეო ურთიერთობებს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორ ლიდერს შორის არსებული განსხვავებები უფრო ზედაპირული იყო, ვიდრე არსებითი ხასიათის. ორივე ადმინისტრაციის პირობებში სომხეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ნიშას რუსეთთან მოკავშირეობა წარმოადგენდა. იხ. Taline Papazian, *From Ter-Petrosian to Kocharian: Explaining Continuity in Armenian Foreign Policy, 1991-2003* (*Demokratizatsiya*, Spring 2006, Vol. 14, Issue 2)

²⁴⁵ Richard Grigorisian, *Redefining Armenian National Security* (*Demokratizatsiya*, Spring 2006, Vol. 14 Issue 2, p.228)

სომხეთმა უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან კავშირში შესვლით დააბალანსა საფრთხე, რომელსაც მას აზერბაიჯანი და თურქეთი უქმნიდნენ. ძალთა ბალანსის თეორიის ლოგიკით, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები მხოლოდ ძლიერების ცვლადით ახდენენ საფრთხის წყაროს იდენტიფიცირებას, მაშინ სომხეთს მოკავშირედ რუსეთი არ უნდა შეერჩია, რადგან რუსეთი ბევრად ძლიერი იყო ვიდრე აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის არსებული კავშირი. გარდა ამისა, დასტურდება კვლევის თეორიულ ნაწილში გამოთქმული მოსაზრება დაბალანსებისა და მიტმასნების სტრატეგიებთან მიმართებაში. საფრთხის წყაროს დაბალანსება უპირატესი არჩევანია სახელმწიფოსთვის, ვიდრე მასთან მიტმასნება. რაც უფრო დიდია საფრთხის აღქმა მით უფრო იზრდება მისი დაბალანსების მიზნით მოკავშირის მოძიების ტენდენცია. თუ პეტროსიანის მმართველობის პირველ წლებში თურქეთის წინააღმდეგ დაბალანსების მოტივაცია ნაკლებად გამოკვეთილი იყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პეტროსიანი და სომხეთის ეროვნული მოძრაობა იმ პერიოდში თურქეთს რეალურ საფრთხედ არ მიიჩნევდა. თურქეთის მხრიდან აგრესიული, პრო-აზერბაიჯანული პოლიტიკის წამოწყების პარალელურად ააქტიურებს სომხეთი მის ურთიერთობებს რუსეთთან. სომხეთი საფრთხის წყაროსთან მიტმასნების ნაცვლად, მის დაბალანსებას ამჯობინებს. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საგარეო საფრთხის დაბალანსების ტენდენცია და რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება, სომხეთის მომდევნო პრეზიდენტის, ქოჩარიანის მმართველობის წლებში კიდევ უფრო გამოკვეთილი ხდება.

5.2 1998-2008 - რობერტ ქოჩარიანის საგარეო პოლიტიკა

1998 წლის აპრილში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ხდება. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქოჩარიანმა მისი წინამორბედის საგარეო პოლიტიკური კურსი გააგრძელა და ფუნდამენტურ სტრატეგიულ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბევრს მიაჩნდა, რომ ქოჩარიანი უფრო მკაცრ პოზიციას დაიჭერდა ყარაბაღის

კონფლიქტთან მიმართებაში, არსებითი განსხვავება მასსა და მის წინამორბედს შორის არ ყოფილა. ახალი ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ იგი კონფლიქტის დარეგულირების იმ გზას დასთანხმდებოდა, რომელიც ყარაბაღის სომხებისთვის იქნებოდა მისაღები.²⁴⁶ თუმცა ქოჩარიანის ადმინისტრაციამ თავიდანვე სცადა დიასპორის პოლიტიკური მიზნების ინკორპორირება საკუთარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში.²⁴⁷ თავიდანვე აშკარა იყო, რომ ქოჩარიანის ადმინისტრაცია პეტროსიანის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გარკვეულ ნაწილს მაინც გადახედავდა. ამ კორექტირების თვალსაჩინო მაგალითად იქცა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვართან ოსკანიანის განცხადება, რომ სომხეთი გენოციდის აღიარების საკითხს თურქეთთან ურთიერთობების დღის წესრიგში დააყენებდა.²⁴⁸ საგარეო პოლიტიკური კურსის ნაწილობრივი ცვლილების მცდელობა იმ ფაქტითაც დადასტურდა, რომ პეტროსიანის ადმინისტრაციამ 1998 წლის მაისში რადიკალურ-ნაციონალისტურად განწყობილი პარტიის დაშნაკვუტუნის ლეგალიზაცია მოახდინა.²⁴⁹ ასე რომ, ხელისუფლებაში ქოჩარიანის მოსვლა ადასტურებდა, რომ სომხეთის ურთიერთობები თურქეთთან უფრო გართულდებოდა, ვიდრე ტერ-პეტროსიანის მმართველობის პერიოდში. ასევე გაუარესდა ურთიერთობები აზერბაიჯანთან. პრეზიდენტობის პირველ წლებში ქოჩარიანს არ სურდა პირისპირ შეხვედროდა ჰეიდარ ალიევს მთიანი ყარაბაღის პრობლემების განსახილველად და ამტკიცებდა, რომ ალიევს მოლაპარაკებები პირდაპირ მთიანი ყარაბაღის ადმინისტრაციასთან უნდა გაემართა.²⁵⁰ 2002 წლის აგვისტოში, ჰეიდარ ალიევმა შესთავაზა კიდევ ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა სომხეთს, მის მიერ ირანის საზღვართან დაკავებული ოთხი ტერიტორიის გათავისუფლების სანაცვლოდ. თუმცა პრეზიდენტ ქოჩარიანის უარმა განეხილათ ამგვარი შემოთავაზება, ერთი მხრივ,

²⁴⁶ Edmund Herzig, *Politics in Independent Armenia*, (In: *The Armenians: Past and Present in the Making of National Identity*, Edmund Herzig and Marina Kurkchian (Eds). Routledge Curzon. 2005. p.175)

²⁴⁷ Leila Alieva, *Reshaping Eurasia: Foreign Policy Strategies and Leadership Assets in Post-Soviet South Caucasus* (*Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies*, Working Paper Series, Winter 1999-2000. p. 16)

²⁴⁸ Svante E. Cornell, *Small Nations and Great Powers: A study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus* (Routledge Curzon. 2001. p. 305)

²⁴⁹ Svante E. Cornell, *Small Nations and Great Powers: A study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus* (Routledge Curzon. 2001. p. 305)

²⁵⁰ Kamer Kasim, *Armenia's Foreign Policy: basic Parameters of Ter-Petrosian and Kocharian Era* (*Review of Armenian Studies*, Volume I, Number 1, 2002, pp. 94-95)

კიდევ უფრო გაართულა ორ სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობები, ხოლო მეორე მხრივ, დაარწმუნა აზერბაიჯანის ადმინისტრაცია, რომ კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა სამხედრო გზით ჩარევა იყო.²⁵¹ ქოჩარიანის პრეზიდენტობა იმ ფაქტითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ დიასპორის გავლენა სომხეთის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე კიდევ უფრო გაიზარდა.

თუმცა აზერბაიჯანთან გართულებული ურთიერთობების ფონზე კიდევ უფრო გაღრმავდა სომხეთის ურთიერთობები ირანთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, ხოლო 2002 წელს ირანისა და სომხეთის თავდაცვის მინისტრებმა ერევანში შეხვედრისას ღიად წამოიწყეს საუბარი სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.²⁵²

ქოჩარიანის მმართველობის წლებში ასევე კიდევ უფრო განმტკიცდა რუსეთსა და სომხეთს შორის არსებული ურთიერთობები, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკის სფეროებში. 2001 წელს სომხეთი ერევანში გამართულ დსთ-ს სამიტზე პრეზიდენტ პუტინის პირადი ინიციატივით შექმნილ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას შეუერთდა.²⁵³ ამ ორგანიზაციის ფორმატით სომხეთი რუსეთთან ერთად რეგულარულად ატარებს სამხედრო წვრთნებს.²⁵⁴ 2003 წლის ნოემბერში კი რუსეთსა და სომხეთს შორის ახალი შეთანხმების ხელმოწერა მოხდა, რომლის საფუძველზეც რუსეთს უფლება ეძლეოდა ესარგებლა ყველა სომხური სამხედრო ბაზით და სომხეთის სამხედრო ნაწილების მოდერნიზაცია მოეხდინა.²⁵⁵ გარდა სამხედრო თანამშრომლობის სფეროში მიღწეული შედეგებისა, ქოჩარიანის მმართველობის მომდევნო წლებში დიდად გაიზარდა სომხეთის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე,

²⁵¹ Fariz Ismailzade, Latest Efforts to Solve Nagorno-Karabakh Dispute Fails, Killing Talks of Economic Cooperations (*Central Asia-Caucasus Analyst*, 9 October, 2002)

²⁵² Geoffrey Gresh, Coddling the Caucasus: Iran's Strategic Relationship with Azerbaijan and Armenia (*Caucasian Review of International Affairs*, Vol.1 (1) Winter 2006. p. 11)

²⁵³ Svante E. Cornell, Roger N. McDermott, William O Malley, Vladimir Socor, S. Frederick Starr, Regional Security in the South Caucasus: The Role of NATO (Central Asia-Caucasus Institute, 2004. p. 24)

²⁵⁴ Marcel De Haas, Andrej Tibold, Vincent Cillessen, Geo-Strategy in the South Caucasus: Power Play and Energy Security of States and Organizations (Clingendael Institute, November 2006. p. 26)

²⁵⁵ Ilan Berman, The New battleground: Central Asia and the Caucasus (*The Washington Quarterly*, Winter, 28:1, 2004-05. p. 66)

განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. დღესდღეობით სომხეთის ელექტროენერჯის მწარმოებელი ელექტროსადგურების 80 პროცენტზე მეტს ფლობენ ან აკონტროლობენ რუსული კომპანიები.²⁵⁶

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქოჩარიანის მმართველობის პერიოდში სომხეთის საგარეო პოლიტიკა გამოკვეთილად რუსეთთან მოკავშირეობაზე ორიენტირებული რჩება. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. სომხეთი რუსეთთან ალიანსში ყოფნას საკუთარი და მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად მიიჩნევდა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკას იმდროინდელი ადმინისტრაცია მრავალმხრივს უწოდებდა, აშკარაა, რომ საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს კვლავ რუსეთთან მოკავშირეობა და ამ კავშირზე დაყრდნობით საგარეო საფრთხეების დაბალანსება შეადგენდა.²⁵⁷

5.3 სერჟ სარქისიანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი ხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, სარქისიანის საგარეო პოლიტიკა უფრო განგრძობითობით ხასიათდება, ვიდრე ცვლილებებით. სომხეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი რჩება ყარაბაღის კონფლიქტი და ურთიერთობები აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, ასევე ურთიერთობების განმტკიცება რუსეთთან, რომელიც სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს გარანტად მიიჩნევა.

რუსეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობები ახალი ადმინისტრაციის პირობებში კიდევ უფრო მყარდება. სომხეთი განაგრძობს უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას. ასევე, სომხეთი მნიშვნელოვნად დამოკიდებული ხდება

²⁵⁶ Emil Danielyan, Russia Tightens Grip on Armenian Energy Sector, (*Eurasianet, Business&Economics*, 9/28/05. <http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav092805.shtml>)

²⁵⁷ სომხეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების და პრიორიტეტების შესახებ იხ. National Security Strategy of the Republic of Armenia (Ministry of the Defense of the Republic of Armenia, 2007. <http://www.mil.am/files/NATIONAL%20%20SECURITY%20STRATEGYeng.pdf>)

რუსეთზე ეკონომიკური თვალსაზრისით.²⁵⁸ რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში არსებულმა კომპანიებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს საკუთარი წილობრივი მონაცემები ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორებში, როგორცაა რკინიგზა, ტელეკომუნიკაციები და ენერჯეტიკა. ასევე, მზარდი დინამიკით გამოირჩევა რუსეთის ინვესტიციები სომხეთში. მაგალითად, 2007 წელს რუსულმა ინვესტიციებმა 1 მილიარდი ამერიკული დოლარი, ხოლო ორ ქვეყანას შორის ვაჭრობამ 800 მილიონი დოლარი შეადგინა. ინვესტიციების და ვაჭრობის მზარდი დინამიკის მიღმა რუსეთი სომხეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია ფულადი გზავნილების რეკორდული მაჩვენებლების გამოც. რუსეთში მცხოვრები სომხური დიასპორა ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიარდი ამერიკული დოლარის მოცულობის ფულად გზავნილებს აგზავნის სომხეთში.²⁵⁹ მიუხედავად რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციისა, ასევე საგულისხმოა, რომ სომხეთი დღეს აგრეგირებული მონაცემების მიხედვით უფრო მეტს ვაჭრობს ევროკავშირთან, ვიდრე რუსეთთან. მაგალითად, 2010 წლის მონაცემებით სომხეთის იმპორტის 27.5 % მოდიოდა ევროკავშირის ქვეყნებზე, მაშინ როცა რუსეთთან 22.3 %. ექსპორტის თვალსაზრისით სხვაობა კიდევ უფრო მკაფიოა. 2010 წლის მონაცემებით სომხეთის ექსპორტის 48,1% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო რუსეთზე 15,4 %.²⁶⁰ ბუნებრივია, აღნიშნული სტატისტიკა სომხეთისთვის რუსეთის ეკონომიკურ მნიშვნელობას არ ამცირებს, თუმცა ასევე ცალსახაა, რომ აგრეგირებული მონაცემების თვალსაზრისით სომხეთისთვის ევროკავშირი უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, ვიდრე რუსეთი.

თუ შევაჯამებთ სომხეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკას, რამდენიმე განზოგადებადი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი. დამოუკიდებლობის აღდგენის

²⁵⁸ სომხეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ იხ. Grigor Hayrapetyan, Viktoriya Hayrapetyan, Regional and International Trade of Armenia: Perspectives and Potentials (Economics Education and Research Consortium, Working Paper Series, Working paper No11/14E, 2011 <http://www.armstat.am/file/doc/99471553.pdf>)

²⁵⁹ Simon Saradzhan, Sarkisian to Stay Foreign Policy Course (ISN Security Watch. 2008 <http://www.isn.ethz.ch/isn/layout/set/print/content/view/full/73?ots591=cab359a3-9328-19cc-a1d2-8023e646b22c&lng=en&id=88682>)

²⁶⁰ Armenia, EU Bilateral Trade and Trade with the World 21 March 2012. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113345.pdf

შემდეგ სომხეთის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს თავიდანვე რამდენიმე საკვანძო საკითხი განაპირობებდა. პირველი, კონფლიქტი აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის გამო. მეორე, გენოციდის აღიარების საკითხი, რაც პირდაპირ გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს სომხეთის ურთიერთობებზე მეზობელ თურქეთთან. და მესამე, დიასპორის გავლენა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების კომბინაცია განაპირობებდა სომხეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა სომხეთის სამივე ადმინისტრაციას. ტერ-პეტროსიანის და სომხეთის სახალხო მოძრაობის რევიზიონისტული საგარეო პოლიტიკური ხედვები საწყის ეტაპზე განაპირობებდა კიდევაც მეზობელ თურქეთთან შედარებით ნორმალური ურთიერთობების განვითარებას. თუმცა მიუხედავად თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის მცდელობისა, სომხეთის მთავარ საგარეო მოკავშირეს რუსეთი წარმოადგენდა. საწყის ეტაპზე პეტროსიანი აზერბაიჯანთანაც ცდილობდა ურთიერთობების მოწესრიგებას, თუმცა ყარაბაღის კონფლიქტის გამო დიდი წარმატებების მიღწევა ამ მიმართულებით ვერ მოხერხდა. რამდენად ხსნის საფრთხის წონასწორობის თეორია პეტროსიანის მმართველობის დროინდელ სომხეთის საგარეო პოლიტიკურ ქცევებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მივუბრუნდეთ ნაშრომის თეორიულ ნაწილში გამოთქმულ მოსაზრებებს დაბალანსებისა და ზოგადად თეორიული მოდელების შესახებ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დაბალანსებაც და მიტმასნებაც თეორიული მოდელებია, რომელთა მთავარი ფუნქციაა რეალობის განზოგადებული და გამარტივებული სურათი დაგვანახოს. საფრთხის წყაროს წინააღმდეგ დაბალანსების სტრატეგიის არჩევა არ გულისხმობს საფრთხის წყაროსთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე უარის თქმას. სახელმწიფო, რომელიც საგარეო საფრთხის დაბალანსების სტრატეგიას მიმართავს მოკავშირეების მოძიებით, ასევე შესაძლოა საფრთხის წყაროსთან არსებული ურთიერთობების ნორმალიზაციაზეც ზრუნავდეს. სწორედ ამგვარი სტრატეგია ჰქონდა შერჩეული პეტროსიანს. აცნობიერებდა რა თურქეთის რეგიონულ როლს და ასევე იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანთან და თურქეთთან დიპლომატიური კავშირების არ ქონა გამოიწვევდა სხვას არაფერს თუ არა სომხეთის იზოლაციის

გაღრმავებას, ცდილობდა შედარებით მრავალმხრივი გაეხადა სომხეთის საგარეო ურთიერთობები. თუმცა ამის პარალელურადვე სომხეთი კიდევ უფრო აღრმავებდა კავშირებს რუსეთთან სამხედრო სფეროში, რის ნათელ დადასტურებადაც იქცა ორ სახელმწიფოს შორის 1997 წელს ხელმოწერილი „მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის“, რომელსაც ფორმალურ და ინსტიტუციონალიზებულ დონეზე აყავდა რუსეთსა და სომხეთს შორის არსებული ურთიერთობები. რაც შეეხება ქოჩარაიანის მმართველობის პერიოდს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საგარეო საფრთხეების დაბალანსების მოტივაცია კიდევ უფრო გამოიკვეთა, რასაც სომხეთი რუსეთთან და ირანთან მოკავშირეობის საფუძველზე ახორციელებს.

და ბოლოს, განსხვავებით საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან, სომხეთის საგარეო პოლიტიკა ბოლომდე საგარეო საფრთხის დაბალანსების სტრატეგიაზე იყო ორიენტირებული და არა მიტმასნების. აქაც თუ მივუბრუნდებით მიტმასნებასთან მიმართებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თეორიული დაშვებები მართლდება. სომხეთს, განსხვავებით საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან, თავიდანვე ყავდა საგარეო მოკავშირე, რომელიც საგარეო საფრთხეების დაბალანსებაში დაეხმარებოდა.

ასევე, სომხეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადს დამოუკიდებელი ამხსნელობითი უნარი არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი სომხეთის უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, ვიდრე რუსეთი, სომხეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობაა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სახელმწიფოები ეკონომიკურ ინტერესებს უსაფრთხოების იმპერატივებს უქვემდებარებენ და შესაბამისად ახდენენ საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის დაგეგმვას და იმპლემენტაციას.

ასევე, თუ განვაზოგადებთ სომხეთის საგარეო პოლიტიკის განვითარებას დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აშკარად სახეზეა საფრთხის წონასწორობის თეორიის უპირატესობა ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში. სახელმწიფოები მხოლოდ ძლიერების ცვლადზე დაყრდნობით, რომ ახდენდნენ საფრთხის წყაროს იდენტიფიცირებას, მაშინ სომხეთს კავშირი არა რუსეთთან, არამედ მის წინააღმდეგ უნდა შეეკრა. თუმცა, რადგან ძლიერება საფრთხის აღქმაში მხოლოდ ერთი და არა მაინცდამაინც ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, სომხეთი სწორედ იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ ამჯობინებს კავშირში შესვლას, რომელთაც ყველაზე დიდ საფრთხეებად აღიქვამს.

დასკვნა

კვლევის შედეგების მიმოხილვა და დისკუსია

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ძალთა და საფრთხის წონასწორობის, ასევე ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიების დაშვებების გადამოწმების საფუძველზე შეესწავლა, თუ რომელ ფაქტორებს იღებენ პატარა ქვეყნები მხედველობაში მოკავშირეების შერჩევას. კვლევის ეს ბოლო დასკვნითი ნაწილი კვლევის შედეგების განხილვას და შეჯამებას დაეთმობა. თუმცა სტრუქტურულად ორ ნაწილად დავყოფ შეჯამების ამოცანას. პირველი ნაწილი კიდევ ერთხელ შეაჯამებს კვლევის შედეგად მიღებულ თეორიულ დასკვნებს. მეორე კი განაზოგადებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს და შეაჯამებს ემპირიულ შედეგებს.

კვლევის თეორიული ნაწილის შეჯამებისთვის კიდევ ერთხელ განვიხილოთ ის ძირითადი საკვლევი ჰიპოთეზები, რომელთა გადამოწმება ნაშრომის საკვანძო ამოცანას წარმოადგენდა:

H1. სახელმწიფოები კავშირებში შესვლისას ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ან რეგიონულ სისტემაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს დაბალანსების მოტივაციით;

H2. სახელმწიფოები აბალანსებენ საერთაშორისო ან რეგიონული სისტემის ყველაზე ძლიერ აქტორებს სისტემის უფრო სუსტ აქტორებთან კავშირში შესვლის გზით;

H3. რაც უფრო მეტად ხდება ძლიერების კონცენტრაცია სისტემის ერთ რომელიმე სახელმწიფოში, მით უფრო მეტად ეცდებიან სისტემის სხვა აქტორები მზარდი სახელმწიფოს წინააღმდეგ კავშირების ფორმირებას მისი დაბალანსების მიზნით.

H4. ეკონომიკური დამოკიდებულება ზღუდავს დამოკიდებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ თავისუფლებას;

H 5. რაც უფრო მეტად არის ერთი ქვეყანა მეორეზე ეკონომიკურად დამოკიდებული, მით უფრო მეტად თავსებადი იქნება ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები;

H6. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილება დამოკიდებულია მისი სხვა სახელმწიფოზე ეკონომიკური დამოკიდებულების მოცულობის ცვლილებაზე. შესაბამისად, რაც უფრო იზრდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზღუდება დაქვემდებარებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი და პირიქით, რაც უფრო მცირდება ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო იზრდება დაქვემდებარებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი;

H 7 სახელმწიფოები კავშირებში შესვლისას არ ხელმძღვანელობენ სისტემაში ძლიერების (საერთაშორისო სისტემაში ან რეგიონში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს) დაბალანსების მოტივაციით, არამედ მათი მთავარი საზრუნავი იმ სახელმწიფოს დაბალანსებაა, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მათ;

H 8 საგარეო საფრთხის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო კავშირს შეკრავს სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან საფრთხის წყაროს დაბალანსების მიზნით;

H 9. პატარა ქვეყნები უფრო მეტად ირჩევენ საფრთხის წყაროს დაბალანსების, ვიდრე მასთან მიტმასნების სტრატეგიას;

მიტმასნების სტრატეგიას სახელმწიფოები შემდეგი გარემო-პირობების არსებობის შემთხვევაში მიმართავენ:

H.10. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ იგი მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს;

H.11 სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს მაშინ, როცა მოკავშირეები არ ყავს, სხვა არჩევანი არ აქვს;

H.12 სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას აირჩევს მაშინ, როცა თვლის, რომ მისი ამ ნაბიჯით საფრთხის წყაროს დააშოშმინებს.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით გადამოწმებულ თეორიებთან მიმართებაში რამდენიმე თეორიული დასკვნის გაკეთება შესაძლებელია.

ნაშრომის ემპირიულ ნაწილში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია ადეკვატურად ვერ ხსნის სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიული მოკავშირეების არჩევის გადაწყვეტილებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თეორიის თანახმად სახელმწიფოები აბალანსებენ საერთაშორისო ან რეგიონულ სისტემებში ყველაზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებს. თუმცა, როგორც ემპირიული ანალიზი ადასტურებს, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიერ სტრატეგიული მოკავშირეების შერჩევისას ძლიერების კონცენტრაცია ძირითადი ფაქტორი არ არის. შესაბამისად, არ მართლდება ძალთა წონასწორობის თეორიის საფუძველზე გამოთქმული დაკვირვებადი ჰიპოთეზები, კერძოდ, **H1**, **H2** და **H3**. განსხვავებით ძალთა წონასწორობის თეორიის ვარაუდისგან, ემპირიული ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოები სტრატეგიული მოკავშირეების შერჩევისას და საფრთხეების შეფასებისას მხოლოდ ძლიერების კონცენტრაციის ან ძალთა განაწილების ცვლილებების ფაქტორებს არ იღებენ მხედველობაში და სტრატეგიული

მოკავშირეების შერჩევისას საფრთხეების შეფასების უფრო კომპლექსურ მოდელს ეყრდნობიან.

ასევე, არ გამართლდა ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის საფუძველზე გამოთქმული ჰიპოთეზები კერძოდ **H4**, **H5** და **H6**. ნაშრომში გამოჩნდა, რომ ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადი დამოუკიდებელი ამხსნელობითი უნარის მქონე არ არის და უძლურია ახსნას საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. როგორც ეკონომიკური დამოკიდებულების გასაზომად შერჩეული ცვლადების (სავაჭრო დამოკიდებულება და ენერგეტიკული დამოკიდებულება) სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოთა რეალურ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს/ქცევებს და ეკონომიკური დამოკიდებულების მაჩვენებლებს შორის თანხვედრა არ არის. საქართველო, რომელიც 2006 წლის ემბარგომდე რუსეთზე მნიშვნელოვნად იყო როგორც ვაჭრობით, ასევე ბუნებრივი რესურსების კუთხით დამოკიდებული, საკუთარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს არ უქვემდებარებს რუსეთის ინტერესებს. ამავდროულად, თვალსაჩინოა, რომ 2003-2006 წლებში რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდის მიუხედავად, სწორედ ამ წლებში ღრმავდება და აქტიურდება საქართველოს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ნატოსთან და ევროკავშირთან. ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის ლოგიკით საქართველოს მხრიდან რეალურად საპირისპირო ქცევას უნდა ჰქონოდა ადგილი და საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების უფრო მეტად დაახლოება უნდა მომხდარიყო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

მსგავსი სურათი იქმნება აზერბაიჯანის შემთხვევაშიც. მიუხედავად, იმ გარემოებისა, რომ განსხვავებით საქართველოსგან, აზერბაიჯანი უფრო მეტს ვაჭრობს ევროკავშირთან და ნაკლებს რუსეთთან, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა უფრო დაბალანსებულია, ვიდრე პროდასავლური. მსგავსი სიტუაციაა სომხეთთან მიმართებაშიც. ბუნებრივია რუსეთი სომხეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია, თუმცა როგორც მონაცემები ცხადყოფს აგრეგირებულ დონეზე

ევროკავშირი უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ამ გარემოების მიუხედავად, სომხეთის საგარეო პოლიტიკა არის უფრო ნაკლებად პროდასავლური, ვიდრე საქართველოსი და გამოკვეთილად რუსეთთან პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეობაზე ორიენტირებული. შესაბამისად, ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიის ამხსნელობითი შესაძლებლობების შესახებ ემპირიული ანალიზის საფუძველზე რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: პირველი, აღნიშნული თეორიის მოლოდინები არ დასტურდება ემპირიული გადამოწმების საფუძველზე. მეორე, ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადი არ წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით. და მესამე, გარდა იმ გარემოებისა, რომ ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადსა და სახელმწიფოთა რეალურ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს და ქცევებს შორის თანხვედრა არ არის, ასევე ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია უძლურია ახსნას, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები.

როგორც ემპირიული ანალიზი ცხადყოფს საფრთხის წონასწორობის თეორიის საფუძველზე გამოთქმული ჰიპოთეზები უფრო ადეკვატურად ხსნის სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს. კერძოდ, გამართლად ნაშრომის თეორიულ ნაწილში გამოთქმული მოსაზრებები, რომ სახელმწიფოები სტრატეგიული მოკავშირეების შერჩევას მხედველობაში იღებენ საფრთხის შეფასების უფრო კომპლექსურ მოდელს, რომელიც ძლიერების, აგრესიული განზრახვების და გეოგრაფიული სიახლოვის ცვლადების კომბინაციას წარმოადგენს. როგორც კვლევის ემპირულმა ნაწილმა დაადასტურა ჰიპოთეზები **H7** და **H8** გამართლდა. შესაბამისად, საფრთხის წონასწორობის თეორია უფრო ადეკვატურად ხსნის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ სტრატეგიული მოკავშირეების შერჩევის გადაწყვეტილებებს და საფრთხეების შეფასებას, ვიდრე ძალთა წონასწორობის ან ეკონომიკური დამოკიდებულების თეორიები. ამ ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები სწორედ რომ საფრთხეების განსხვავებული შეფასებით აიხსნება და არა მხოლოდ ძალთა განაწილების ან ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლადებით.

კვლევაში გამოიკვეთა, რომ საფრთხის ადეკვატურად გასაზომად მხოლოდ ძლიერების ცვლადზე დაყრდნობა ვალიდური შედეგების მომტანი ვერ იქნება. საფრთხე კომპლექსური ფენომენია და მის შესაფასებლად იმ დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო, როგორცაა გეოგრაფიული სიახლოვე და აგრესიული განზრახვები.

ეს ბოლო თეორიული დასკვნა, ასევე, ერთი საინტერესო ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს უოლცის ძალთა წონასწორობის თეორიასთან მიმართებაში. უოლცის თეორიას საერთაშორისო პოლიტიკის ჰობსისეული ხედვა (ყველას ომი ყველას წინააღმდეგ) უდევს საფუძვლად. შესაბამისად იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებმა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში უნდა დააბალანსონ ძლიერება და არა განზრახვები. რადგანაც, განზრახვები შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, კერძოდ, დღევანდელი მეგობარი ხვალ შეიძლება მტერი გახდეს, უმჯობესი და უფრო სანდო სტრატეგიაა ძლიერება დაბალანსდეს. თუმცა როგორც ამ და სხვა კვლევებმა აჩვენა,²⁶¹ სახელმწიფოები ისე არ იქცევიან, როგორც უოლცი თვლის, რომ უნდა იქცეოდნენ. სახელმწიფოები უფრო საფრთხეს აბალანსებენ, ვიდრე ძლიერებას. ასე რომ, სტრუქტურული ძალთა წონასწორობის თეორია საერთაშორისო პოლიტიკისადმი უოლცის სუბიექტური დამოკიდებულების პროდუქტი უფროა, ვიდრე ემპირიული რეალობის ამსახველი თეორიული მოდელი.*

ასევე, ნაშრომში არ დადასტურდა პატარა ქვეყნების შესახებ არსებული გაბატონებული მიდგომა, რომ პატარა ქვეყნები საგარეო საფრთხესთან მიმართებაში

²⁶¹ იგულისხმება ის კვლევები, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის რეგიონებზე ჩატარდა. იხ. Stephen M. Walt, *The Origins of Alliances* (Cornell University Press. 1987), ასევე, Stephen M. Walt, *Testing Theories of Alliance Formation: The Case of Southwest Asia* (*International Organization*, Vol.42, No. 2. 1988)

* ეს დასკვნა შესაძლოა საკმაოდ წინააღმდეგობრივი ჩანდეს მითუმეტეს იმის ფონზე, რომ უოლცი ერთ-ერთი პირველი რეალისტი მეცნიერი არის, რომელმაც მის თეორიას პოზიტივისტური ხედვები დაუდო საფუძვლად და ამით დაუპირისპირდა, როგორც ნორმატიულ თეორიულ მოდელებს (როგორი უნდა იყოს სამყარო), ასევე იმ მეცნიერებს (მორგენტაუ, ქარი, ტომპსონი, ბული, უაითი და სხვები), რომლებიც ტრადიციულ (ისტორიულ) მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეისწავლიდნენ საერთაშორისო ურთიერთობებს.

უფრო მიტმასნების სტრატეგიას ეყრდნობიან, ვიდრე დაბალანსების. რეალურად ემპირიული ანალიზი საპირისპიროს აჩვენებს. სამივე განხილული ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უფრო საგარეო საფრთხის/საფრთხეების დაბალანსებაზე არის ორიენტირებული, ვიდრე მიტმასნებაზე. საფრთხის წყაროსთან მიტმასნება შედარებით იშვიათი მოვლენაა და ამ სტრატეგიის არჩევას გარკვეული წინაპირობები უძღვის ხოლმე, როგორც წესი, წინ. შესაბამისად, მიტმასნების ის შემთხვევები, რომელიც ემპირიული ანალიზის პროცესში გამოიკვეთა უფრო გამონაკლის შემთხვევებს შეადგენს და ადვილად აიხსნება ნაშრომის თეორიულ ნაწილში გამოტყმული ჰიპოტეზებით მიტმასნებასთან მიმართებაში. კერძოდ, ჰიპოთეზები H.10, H.11 და H.12, რომლებიც განსაზღვრავს იმ გარემო-პირობებს, რომელიც ხელს უწყობს მიტმასნების ალბათობის ზრდას, დადასტურდა. გარდა ამისა, კვლევის პროცესში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. მიტმასნებას ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ კავშირების ფორმირების ერთ-ერთი სტრატეგია. ნაშრომის ემპირიულ ნაწილში ცალსახად გამოჩნდა, რომ მიუხედავად საფრთხის წყაროსთან მიტმასნებისა, არც საქართველო და არც აზერბაიჯანი რუსეთის მოკავშირეებად არ განიხილებოდნენ. ასე რომ, მიტმასნება უფრო შექმნილი გეოპოლიტიკური თუ შიდა პოლიტიკური რეალობისადმი პასუხად შეიძლება ჩავთვალოთ, ვიდრე კავშირების ფორმირების ერთ-ერთ გზად.

რაც შეეხება შეჯამების ემპირიულ ნაწილს რამდენიმე მოსაზრება შეიძლება გამოითქვას. პირველი, ჩვენს მიერ ემპირიულ შემთხვევებად შერჩეული სახელმწიფოები (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მოკავშირეების შერჩევისას არ ხელმძღვანელობენ მხოლოდ ძალთა განაწილების ცვლადზე დაყრდნობით, არამედ მოკავშირეებს არჩევენ იმის გათვალისწინებით, თუ რომელი სახელმწიფოა მზად საგარეო საფრთხეების დაბალანსებაში დაეხმაროს. მეორე, რეგიონის სახელმწიფოები ძირითად საგარეო საფრთხეებად მათ უშუალო მეზობლებს აღიქვამენ (კიდევ ერთი დადასტურება გეოგრაფიული სიახლოვის ცვლადის დამოუკიდებელი როლისა). მესამე, რეგიონის თითოეული სახელმწიფო ძლიერ გარე აქტორებს მიიჩნევს მისი უსაფრთხოების მთავარ გარანტებად და

მოკავშირეებად მეზობლების წინააღმდეგ. და მეოთხე, იმ ფაქტს, რომ ეს სახელმწიფოები განსხვავებულად აღიქვამენ საფრთხეებს გარდა თეორიული მნიშვნელობისა, ერთი ძალიან საგულისხმო და ამავდროულად ნეგატიური დატვირთვა აქვს. საფრთხეების განსხვავებული აღქმა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბებას და ამ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებს უშლის ხელს.

და ბოლოს, წინამდებარე კვლევამ ანალიზის მხოლოდ ერთ დონეზე დაყრდნობით შეისწავლა სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული ალიანსების ფორმირების გამომწვევი მიზეზები. იმედს ვიტოვებ, რომ ნაშრომი წახალისებს სამეცნიერო დებატებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს აღწერილი პროცესების დამატებით შესწავლის სურვილს გაუჩენს.

How Do Small States Choose their Strategic Alliances?

Balanacing and Bandwagoning Strategies in the South Caucasus

Resume

Aim of the Research and Research Questions

By testing the influential theories of alliances and alignments the present research aimed at exploring how small states choose their strategic allies and alliances. Balance of Power, Balance of Threat and Economic Dependence theories have been tested to answer the major research questions of the study.

The study explored following research questions:

1. How do small states choose their strategic alliances?
2. Are small states more likely to bandwagon with a threatetning great powers rather than balance against them?

Methodology

Methodologically the study is qualitative one and is based on extensive use of case study approach. Besides detailed analysis of three independent cases, study heavily relies on within case variation to increase the external validity and the generality of research results. In order to demonstrate that correlation among the variables is not spurious and clear cause-effect relationship exists, study uses process tracing approach that gives an opportunity to explore how independent and dependent variables relate to each other. Besides testing study's major hypotheses, research tests the alternative explanations of the dependent variable. At the same time, study uses such specific methodological techniques as: analysis of secondary sources, elite interviews and content analysis.

Research Hypothesis

Based on the abovementioned theories of alliances and alignment the following testable hypotheses were formulated:

H1. States ally/balance against the accumulations of power in regional or international systems;

H2. States form alliances with weaker states to balance the strongest powers in regional or international systems;

H3. The stronger the major power becomes, the tendency to balance the rising state by forming counterweight alliances increases;

H4 Economic dependence constraints the foreign policy maneuverability of dependent state;

H5 When economic dependence is high/low, a state is more/less likely to adopt a pro-dependence foreign policy;

H6 Variation in a state's foreign policy aims and strategies is the result of variation in its level of economic dependence on another state;

H7 States do not ally/balance against the major concentrations of power (whether in regional or international systems) rather they ally/balance against the most threatening states;

H8 States tend to form alliances to balance the threatening powers;

H9 Small states are more likely to balance threatening great powers, rather than bandwagon with them;

The Propensity towards bandwagoning increases if the following conditions are present

H 10. The weaker the state more likely it will adopt bandwagoning strategy;

H11. Credible balancing alliances are not available;

H12. The state is more likely to adopt bandwagoning strategy if it believes that by this move the threatening great power will be terminated;

Discussion of Empirical Results

By testing the abovementioned research hypotheses the following conclusions are drawn:

The empirical part of the research demonstrates that Structural Balance of Power theory could not provide the adequate explanation of the alignment choices in the South Caucasus. As we have already noted, according to this theory states balance against the strongest regional or international powers by forming counterweight alliances. Contrary to the theory's predictions, the empirical analysis demonstrates that the variable of distribution of power

whether in regional or international systems is not the major cause of alignments in the South Caucasus. The analysis demonstrates that hypotheses H1, H2 and H3 were falsified. In contrary to Balance of Power theory, the study demonstrates that South Caucasian states rely on more complex threat assessment model than one predicted by the abovementioned theory.

At the same time, the hypotheses H4, H5 and H6 that were deduced based on the predictions of Economic Dependence theory have been falsified as well. The study demonstrated that the variable of economic dependence could not provide the satisfactory explanation of the variation in dependent variable. As the data based on the operationalization of economic dependence demonstrates, in most instances the actual behavior of states is not congruent with the theory's predictions. For instance, Georgia pursued and even more intensified pro-western foreign policy despite the fact that Russia used to be the major trade and energy partner for Georgia. Until 2006 economic embargo, 1/5 of Georgia's external trade came on Russia and Russia used to be the sole natural gas provider for Georgia, as 100% of Georgia's natural gas imports came from Russia. At the same time, the statistical data on trade demonstrates that Georgia's trade with Russia has been increasing, especially since 2003. The rising level of trade should have tightened constraints on Georgia's alignments decisions, following the logic of economic dependency theory, but Georgia instead pursued more balancing than bandwagoning.

The theory of economic dependence could not provide satisfactory explanation of Azerbaijan's foreign policy behavior as well. With its vast oil and gas resources, however, Azerbaijan has always been less economically dependent on Russia than Georgia. Yet Baku has never strayed too far from Moscow, except during the brief presidency of Abulfaz Elçhibey. Even though the trade data show that the EU is a more important trade partner for Azerbaijan than for Georgia, Azerbaijan is nonetheless much less pro-Western in its foreign policy orientation.

The similar situation is in case of Armenia. Despite the fact that Russia is very important economic partner for Armenia, at aggregate Armenia has more trade with EU countries. Despite this, Armenia is less pro-western than Georgia and is oriented towards tight political-military alliance with Russia.

Based on the empirics described above, the following conclusions could be drawn around the theory of economic dependence. First, the actual behavior of South Caucasian states contradicts the predictions of Economic Dependence theory. Second, the variable of economic dependence does not determine the nature of political relations among states. And the third, the theory of economic dependence is insufficient and deficient to explain the variation in foreign policy priorities and behavior of South Caucasian States.

As the empirical research demonstrates the theory of Balance of Threat provides better explanation of dependent variable than its two alternatives. The detailed analysis of strategic choices that South Caucasian states make demonstrates that states balance against the most threatening powers and the later need not be the most powerful states in international or regional systems. States choose their strategic partners based on the more complex threat assessment model that combines the variables of power, geographic proximity and aggressive intentions. Thus, the hypothesis H7 and H8 have been verified by the findings of the research. Accordingly, the study argues that the theory of Balance of Threat is superior to Balance of Power and Economic Dependence theories in explaining the alignment decisions of South Caucasian states. The findings demonstrate that the variation in foreign policy priorities and behavior is the result of different threat perceptions rather than of variation in distribution of material power capabilities or in the level of economic dependence.

